

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

075-15/2
986

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

2.1986

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1986, № 3



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



2. 1986

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი
ТБИЛИСИ

სარედაქციო კოლეგია: ა. გუნია (რედაქტორი), ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, პ. გუგუშვილი, ვ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, ვ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიქვაძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პახუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гуния А. Л. (редактор), ГамкRELИДзе О. К., ГвЕлЕСИანი М. И., ГугუШვილი П. В., Тодуа Г. С., ЛИЛУАШВИლი Т. С., НАДАРЕИШВИლი Г. Н., ПУТҚАРАДзе Я. В., ЧИКАВА Л. Л., ЧИКВАИДзе Т. Н., (зам. редактора), ШАВГУЛИДзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия

©

„საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცენ“,
ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1986, № 2.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14

Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

ტელეფონი 93-22-60 телефон

გადაეცა წარმოებას 21. 3. 86; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 5. 86; შეკვ. № 867; ანაწყობის
ზომა 7× 12; ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბახი 10,8; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბახი 8,6; უე 04664; ტირაჟი 900;

ფასი 85 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мециниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

პროლოგა

უ. სამადაზვილი, რ. ხარბაძია, წინსვლის რეალური პროგრამა	5
დ. არბოლიზვილი, ფასის ფუნქციები და მათი განვითარება სოციალიზმის დროს	18
დ. დინახაშიძე, მიწის გამოყენების ეფექტიანობა საქართველოს სსრ მთის რაიონებში აგროსამრეწველო ინტეგრაციის პირობებში	28
თ. ბრალიძე, სამეურნეო მექანიზმების სრულყოფის ზოგიერთი საკითხი სამეურნეობათა შორისო საწარმოებში	38
ბ. ქართველიზვილი, მშრომელთა ეკონომიკური განათლების როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში	44
ნ. ცოგია, თ. ლორთქიფანიძე, რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი რგოლი	56
მ. ენუაშა, ინტენსიური ფაქტორების გავლენის ანალიზი ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებზე აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობაში	60

სამართალი

თ. წაბთელი, ვ. მასაზვილი, დანაშაულის ცნება სისხლის სამართალში	71
ბ. ლეშავა, რ. ბაბანიძე, არასრულწლოვანთა დანაშაულობასთან ბრძოლის პრობლემა საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოლოკვიუმზე	87
ა. ხოშბარია, პატივი და ღირსება, როგორც პიროვნების სისხლისსამართლებრივი წესით დაცული მორალური სიკეთე	92
ბ. თოდრაძე, არასრულწლოვანთა დანაშაულებანი — დედაქალაქის პრობლემა	101
რ. შინაელი, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ზრდა და მისი სამოქალაქო სამართალსუბიექტობის შინაარსი	103
მ. კეპელია, საბჭოთა სამართალი და ეროვნული ჩვეულება-ტრადიციები	106
ა. ბაბიანი, ლობობასთან და ალკოპოლიზმთან ბრძოლის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები თანამედროვე ეტაპზე	109

რევიზია, ინფორმაცია, პრონია

ვ. კოვანის მონოგრაფიის „სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სოციალური მექანიზმი“ განხილვა	112
ღვალთოსილი მეცნიერის ხსოვნას	116
სონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებზე	120

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИКА

САМАДАШВИЛИ У. И., ХАРБЕДИЯ Р. С. Реальная программа движения вперед	5
АРБОЛИШВИЛИ Д. И. Функции цены и их развитие при социализме	18
ДИАСАМИДЗЕ Д. С. Эффективность использования земли горных районов в условиях агропромышленной интеграции	28
БРЕЛИДЗЕ Т. А. Некоторые вопросы совершенствования хозяйственного механизма межхозяйственных предприятий	38
КАРТВЕЛИШВИЛИ Г. А., Роль экономического образования трудящихся в развитии научно-технического прогресса	44
ЦОМАЯ Н. Л., ЛОРДКИПАНИДЗЕ Т. Д. Важное звено производственной инфраструктуры районного агропромышленного комплекса	56
ЭСЕБУА М. В. Анализ влияния интенсивных факторов на показатели экономической эффективности сельскохозяйственного производства Абхазской АССР	60

ПРАВО

ЦЕРЕТЕЛИ Т. В., МАКАШВИЛИ В. Г. Понятие вины в уголовном праве	71
ЛЕЖАВА Г. Ш., БАКАНИДЗЕ Р. М. Проблема борьбы с преступностью несовершеннолетних на советско-американском коллоквиуме	87
ХОШТАРИЯ А. Г. Честь и достоинство как уголовно-правоохраняемое моральное благо личности	92
ТОДРИЯ Г. Г. Преступность несовершеннолетних—проблема столичного города	101
ШЕНГЕЛИЯ Р. П. Возрастание экономической роли Советского государства и содержание его гражданской правосуднообъективности	103
КЕКЕЛИЯ М. М. Советское право и национальные обычаи-традиции	106
ГАБИАНИ А. А. Социально-экономические вопросы борьбы с пьянством и алкоголизмом на современном этапе	109

РЕЦЕНЗИЯ, ИНФОРМАЦИЯ, ХРОНИКА

Обсуждение монографии В. М. Когана «Социальный механизм уголовно-правового воздействия»	112
Памяти заслуженного ученого	116
Конкурс работ молодых ученых	120



152

უზანგი სამაღაშვილი, რომან ხარბაღია

წინსვლის რეალური პროგრამა

სკკ პარტიის XXVII ყრილობამ საშინაო და საგარეო ვითარების სიღრმისეული ანალიზის შედეგად მოგვცა სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საფუძველზე საბჭოთა საზოგადოების კომუნისტური შექმნის პროგრამა, რაც, ჯერ ერთი, მიგვანიშნებს იმაზე, რომ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება საზოგადოების განვითარების შესახებ ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ დოგმათა კრებული კი არ არის, არამედ შემოქმედებითი ხასიათის სახელმძღვანელოა, რომელიც იცვლება და ვითარდება სოციალურ ცხოვრებასთან ერთად, და მეორე, — სუბიექტური ფაქტორის, კერძოდ, კომუნისტური პარტიის მზარდ როლზე საზოგადოების განვითარების დაჩქარების საქმეში.

იბადება კითხვა — რა აუცილებლობით არის ნაყარნახევი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება? იგი განპირობებული ვახლავთ, როგორც საშინაო, ისე საგარეო ვითარებით. დასმულ კითხვას თუ უფრო დეტალურად გავცემთ პასუხს მაშინ პუნქტობრივად უნდა ჩამოვთვალოთ ყველა ის ძირითადი მიზეზი, რომელიც ობიექტურად მოითხოვს განვითარების დაჩქარებას. ეს მიზეზებია:

პირველი, პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის უზენაესი მიზანი — ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუზრევი აღმავლობა; ცნობილია, როგორც მატერიალური, ისე სულიერი მოთხოვნილებანი იზრდება, ჯერ ერთი, მოსახლეობის გამრავლების გამო, და მეორე, იმიტომ, რომ უკვე დღეს არსებული მოთხოვნილებების გვერდით იბადება სულ უფრო ახალ-ახალი მოთხოვნილებანი. ცხადია, ასეთი მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ წარმოების დაჩქარებული ზრდით;

მეორე, მართალია ბოლო 25 წლის მანძილზე, ე. ი. სკკ მესამე პროგრამის მიღების შემდეგ, საბჭოთა კავშირმა საგრძნობ წარმატებებს მიაღწია (შვიდჯერ გაიზარდა სახალხო მეურნეობის ძირითადი წარმოებითი ფონდები, ეროვნული შემოსავალი თითქმის ოთხჯერ, მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავალი 2,6-ჯერ, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები 5-ჯერ და მეტად, აშენდა 54 მილიონი ბინა და ა. შ.), მაგრამ, იმის გამო, რომ 70-იანი წლების დამლევეს და 80-იანი წლების დამდეგს მიმდინარე ობიექტურ მოვლენებს, პროცესებს და შეცვლილ ეკონომიკურ სიტუაციას დროულად ვერ ავუღეთ ალღო, ვერ მოვახდინეთ ეკონომიკის უპირატესად ინტენსიურ რელსებზე გადაყვანა, რამდენადმე შენეულა წარმოების ზრდის ტემპები, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა XI ხუთწლედის მთელი რიგი მაჩვენებლების, მათ შორის, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების

საქ. სსრ კ. მარქსის
საქ. საბ. რესპუბ.

დავალების შესრულებაზეც. იმისათვის რომ ამ ჩამორჩენის კომპენსაცია მოვახდინოთ, აუცილებელია განვითარების შემდგომი დაჩქარება;

მესამე, ჩვენი ქვეყნის და მსოფლიო სოციალისტური სისტემის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა, მშვიდობის დაცვა, რაც საკმაოდ სოლიდურ სახსრებს მოითხოვს. გასულ ხუთწლედში საერთაშორისო ვითარების გამწვავების გამო სსრ კავშირი იძულებული იყო განეხორციელებინა დამატებითი ღონისძიებანი სამხედრო-სტრატეგიული პარტიტის უზრუნველსაყოფად. ცხადია, დამატებითი ღონისძიებებისათვის საჭირო დამატებითი სახსრები მოხმარებისა და დაგროვებისათვის განკუთვნილი ეროვნული შემოსავლიდან გავიდა და იგი ხალხს დააკლდა. აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ შევინარჩუნოთ „უღრუბლო ზეცა“ და ამასთან ხალხის კეთილდღეობაც სათანადო ღონეზე ავიყვანოთ, კვლავ აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება;

მეოთხე, საერთაშორისო არენაზე საბჭოთა სახელმწიფოს და მთლიანად მსოფლიო სოციალისტური სისტემის ავტორიტეტისა და პრესტიჟის განმტკიცება. — რისთვის გვჭირდება ყოველივე ეს? იმისათვის, რომ განვითარების სოციალისტურ გზას ახალ-ახალი ქვეყნები დაადგენ და ამით კიდევ უფრო გავაფართოოთ და გავაძლიეროთ მსოფლიო სოციალისტური სისტემა. დღეს, როგორც ცნობილია, სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოების გვერდით არსებობენ განვითარებადი ქვეყნებიც, რომლებიც არც ერთს მიეკუთვნებიან და არც მეორეს. ისინი ხატონად რომ ვთქვათ, გზაჯვარედინზე დგანან და ფიქრობენ: კაპიტალისტურ გზას გაუყვანენ თუ — სოციალისტურს. იმისათვის, რომ ამ სახელმწიფოებმა არჩევანი სოციალიზმზე შეაჩერონ, საჭიროა დავარწმუნოთ, რომ სოციალიზმი კაპიტალიზმთან შედარებით უფრო პროგრესული, პერსპექტიული და იმედიანი წეს-წყობილებაა როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ჩვენ მთელი რიგი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით კაპიტალისტური სისტემების ლიდერს — აშშ-ს (კერძოდ, ჩვენი ეროვნული შემოსავალი აშშ-ს ეროვნული შემოსავლის 67 პროცენტს შეადგენს, ხოლო შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში აშშ-ს შრომის ნაყოფიერების დონის მხოლოდ 55 პროცენტია), მაშინ წარმოების ზრდის დაჩქარება კიდევ უფრო გადაუდებელ ამოცანად წარმოგვიდგება. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით მესამე ათასწლეულის დასაწყისისათვის შრომის ნაყოფიერება უნდა გავზარდოთ 2, 3-2,5-ჯერ და ამით მსოფლიო მიღწევების უმაღლეს დონეზე გავიღებთ.

როგორც დავინახეთ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება თვითმიზანი კი არაა, არამედ საზოგადოების კეთილდღეობის შემდგომი ამოღების საშუალება ყოფილა.

რა გზით შეიძლება წარმოების ასეთი ზრდის უზრუნველყოფა? წარმოების შედეგიანობის გადიდების ორი გზა არსებობს: ექსტენსიური და ინტენსიური.

ექსტენსიური მეურნეობრიობის პირობებში შედეგიანობის ზრდა ხდება წარმოების ნივთობრივი (შრომის საშუალებები და საგნები) და პიროვნული (სამუშაო ძალა) ფაქტორების მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების გზით, თვისებრივის (ხარისხობრივის) შეუცვლელად, მოკლედ, მაქსიმალური დანახარჯებით — მაქსიმალური შედეგების მიღება.

წარმოების ინტენსიფიკაცია კი, ექსტენციფიკაციისაგან განსხვავებით, შედეგიანობის გადიდებას გულისხმობს წარმოების ნივთობრივი და პიროვნული ფაქტორების თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ხარჯზე, რაოდენობრივის შეუცვლელად, ან შემცირებით, სხვაგვარად, მინიმალური დანახარჯებით — მაქსიმალური შედეგების მიღებას.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე რომელი გზაა უკეთესი? რა თქმა უნდა ინტენსიური! საქმე ისაა, რომ მთელი რიგი ობიექტური სიძნელენი (შრომითი რესურსების დეფიციტი, მატერიალური რესურსების გაძვირება, საერთაშორისო ვითარების გამწვავება და სხვა), არ იძლევიან იმის საშუალებას რომ წარმოების შედეგიანობა ექსტენსიური (რაოდენობრივი) ფაქტორების ხარჯზე გავზარდოთ. თუმცადა, ეს რესურსები თავსაყარიც რომ გვექონოდა მეურნეობის ექსტენსიური გზით წარმართვა მაინც გაუმართლებელი იქნებოდა, რადგანაც უპირატესად ინტენსიურ რელსებზე გადაყვანადი ეკონომიკის ამოცანა ის კი არ არის, რომ მაქსიმალური დანახარჯებით მივიღოთ მაქსიმალური შედეგი, არამედ მინიმალური დანახარჯებით მივალწიოთ მაქსიმალურად საუკეთესო საბოლოო შედეგს. ამის შესახებ სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა: „ჩვენმა ეკონომიკამ ისეთ მიჯნას მიაღწია, როდესაც შეუძლია ვითარდებოდეს და ვითარდებოდეს სწრაფად, — არა რესურსების სულ უფრო მეტი ზრდის ხარჯზე, როგორც ეს წინათ იყო, არამედ წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის — მთელ ფრონტზე ინტენსიფიკაციის გზით“¹.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, უზრუნველყოფილი უნდა იქნას წარმოების უპირატესად ინტენსიურ რელსებზე გადაყვანით. ამაზე ლაპარაკობს კონკრეტული ციფრობრივი მონაცემებიც. თუ მეთერთმეტე ხუთწლედში ეროვნული შემოსავლის მატების მხოლოდ 90% იქნა მიღებული შრომის ნაყოფიერების ზრდით, XII ხუთწლედში იგი მთლიანად უნდა უზრუნველყოფილი იქნას საშუალებით. ამასთან, უკვე საუკუნის დამლევისათვის ეროვნული შემოსავალი თითქმის ერთიორად უნდა გავზარდოთ, ხოლო მისი ენერგოტეკადობა — 1,4-ჯერ და ლითონტექვადობა კი თითქმის 2-ჯერ შევამციროთ. საბოლოოზე, ენერგიაზე, ნედლეულსა და მასალებზე მოთხოვნილების მატების 75-80 პროცენტი უნდა დავაკმაყოფილოთ მათი ეკონომიის გზით. ეს იმიტომ, რომ ერთი ტონა ნედლეულის დაზოგვა ორ-სამჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მისი მოპოვება.

თავის მხრივ, წარმოების ინტენსიფიკაციის უმთავრესი საშუალებაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია. აქ საქმე ეხება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და მოქმედი ტექნოლოგიის არა ნაწილობრივ სრულყოფას, არამედ თვისებრივად ახალ ტექნიკაზე და ტექნოლოგიაზე გადასვლას. ამ მიზნით XII ხუთწლედში გამოიყოფა 200 მილიარდ მანეთზე მეტი კაპიტალდაბანდება, რაც წინა ათწელიწადში გამოყოფილზე მეტია. ამასთან, საჭიროა სტრუქტურული და საინვესტიციო პოლიტიკის შეცვლა. კერძოდ, აქცენტი უნდა გადავიტანოთ იმ დარგებზე, რომლე-

¹ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა სამსახურის თავმჯდომარის ანხანავ ნ. ი. რიკოვის მოხსენება 1986 წლის 3 მარტს. ვაზ. „კომუნისტი“, 4 მარტი, გვ. 2.



ბიც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კატალიზატორებად, დამაჩქარებლებად არიან ცნობილნი, და რომლებზეც, გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქცია. ესენია: მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური, ქიმიური მრეწველობა და სხვა.

სწორედ ამიტომ ნავარაუდევია უკვე XII ხუთწლედში მანქანათმშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისათვის გამოიყოს გასულ ხუთწლედთან შედარებით 1,8-ჯერ მეტი კაპიტალდაბანდება, რის შედეგადაც 40%-ით და მეტად გაიზრდება მანქანა-მოწყობილობის გამოშვება, გაუმჯობესდება მათი ხარისხობრივი მახასიათებლები. ყოველგვ ამით შევძლებთ ყოველწლიურად დაახლოებით 12 მილიონი კაცის შრომის დაზოგვას.

სამართლიანობა შოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ ამჟამად სახალხო მეურნეობაში დასაქმებული 128 მილიონი კაციდან 50 მილიონი კაცი ხელის, მძიმე ფიზიკური, მონოტონური და ნაკლებმიზიდველი შრომითაა დაკავებული. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობაში მომუშავეთა 40%-ზე მეტი ხელით შრომობს. მანქანათმშენებლობის საწარმოებში გამოყენებული მოწყობილობის მესამედზე მეტი 15 წლისა და მეტი ხნისაა, რაც საწარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დაბალ დონეზე ლაპარაკობს. ეს კი თავის მხრივ იმაზე — რომ ჩვენში მეცნიერება და ტექნიკა ვითარდება არა რევოლუციურად, არამედ ევოლუციურად. ბუნებრივია, იბადება კითხვა — საბჭოთა მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები თავიანთი შესაძლებლობებით ხომ არ ჩამორჩებიან საზღვარგარეთელ კოლეგებს? პირიქით! 1974 წლიდან მოყოლებული რეგისტრირებული გამოგონებების რაოდენობის მიხედვით ჩვენს ქვეყანას პირველი ადგილი უჭირავს მთელს მსოფლიოში². მაშ რატომაა, რომ იაპონიაში 14 250 რობოტი³, აშშ-ში 6 ათასი, დასავლეთ გერმანიაში 3,5 ათასი და სსრ კავშირში მხოლოდ 1 ათასი რობოტი ფუნქციონირებს? ამის მიზეზია ის, რომ ბევრი მეცნიერული აღმოჩენა, დიდი გამოგონება წლობით, ზოგჯერ კი ათწლეულობით ვერ პოულობს პრაქტიკულ გამოყენებას⁴. მაგალითად, არც თუ იშვიათად ახალ დაზგაზე დოკუმენტაციის დამტკიცებისათვის ასობით ხელმოწერაა საჭირო, რის გამოც გაუმართლებლად იკარგება თევები და ზოგჯერ წლებიც. ამის შემდეგ ძალიან ძნელია გაირკვეს თუ ვის მიუძღვის ბრალი იმაში, რომ იწარმოება მოძველებული პროდუქცია. უწყებათა და ორგანიზაციათა შეთანხმების ასეთმა მრავალსაფეხურიანმა სისტემამ ზოგიერთი სპეციალისტი და მეურნე გადააჩვია იმას, რომ წავიდეს გამართლებულ რისკზე. იკისროს პასუხისმგებლობა პროდუქციის როგორც ხარისხზე, ისე ტექნიკურ დონეზე⁵.

მეცნიერთა აზრით ტექნიკური სიახლის დანერგვის ვადების 2-2,5-ჯერ შემცირებით სახალხო მეურნეობას შეუძლია მიიღოს მილიარდობით დამატებითი ეკონომიკური ეფექტი. მაშასადამე, საჭიროა „ფართოდ ვავუხსნათ გზა საიმედო, პრაქტიკით შემოწმებულ ტექნიკურ სიახლეთა მასობრივ გამო-

2 გაზ. „კომუნისტი“, 1985 წ. 26 თებერვალი.

3 О б у х о в В. Изобрести и использовать. Газ. «Правда», 1986 г. 7 января.

4 Экономическая газета, 1984, № 32, с. 21.

5 სკკპ ცკ-ის პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობას. სკკპ ცკ-ის გენერალური მდივნის აბხ. ბ. ს. გორბაჩოვის მოხსენება 1986 წლის 25 თებერვალს. გაზ. „კომუნისტი“, 1986 წ. 26 თებერვალი, გვ. 5.

6 Алексеев В. Курсом ускорения. «Правда», 14 ноября. 1985 г.

ყენებას, რათა მივღოთ მაქსიმალური უკუგება, სანამ ეს სიახლენი მორალურად მოძველდებოდეს“⁷.

აღსანიშნავია, რომ მეცნიერული იდეების დროულ მატერიალიზაციას ხელს უშლის აგრეთვე კონსტრუქტორების, ინჟინრების შრომის პრესტიჟის დაცემა, ანაზღაურებაში არსებული უზუსტობანი. მაგალითად, მანქანათმშენებელ საწარმოში 2-3 წლის სტაჟის მუშის თვიური ხელფასი 250-300 მანეთს აღწევს, ხოლო კონსტრუქტორისა, რომელსაც ამ პროფესიით მრავალი წლის მუშაობის სტაჟი აქვს, 150-170 მანეთს არ აღემატება. ამას ხშირად შედეგად ის მოსდევს, რომ უმაღლესი და სპეციალურ-ტექნიკური განათლების მუშაკები ამკობნიებიან იმუშაონ მუშებად, რადგან აქ ხელფასი აცილებით მაღალია, ხოლო პასუხისმგებლობა — ნაკლები. სამწუხაროდ ეს ერთეული შემთხვევა როდია. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში აღრიცხულია 900 კაცამდე, ვისაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვს, მაგრამ მუშად მუშაობს. მათგან ასზე მეტი, ადმინისტრაციის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად უარს აცხადებს ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის თანამდებობის დაკავებაზე⁸. აქედან გამომდინარე, უნდა უზრუნველვყოთ ინჟინერთა, მეცნიერთა, კონსტრუქტორთა შემოქმედებითი შრომის საჭირო ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული წინამძღვრები. ვინაიდან, სწორედ მეცნიერ-კონსტრუქტორები წარმოადგენენ მეცნიერული იდეებისა და ნამუშევრების გენერატორებს, სწორედ მათზე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებული წარმოების ტექნიკური დონე⁹.

ზოგჯერ საქმე გვაქვს მონოტონურ, ნაკლებმომზიდველ, მძიმე ფიზიკურ შრომასთან, რის გამოც ჭირს მუშების დამაგრება. გამოსავალს კი იმაში პოულობენ, რომ მუშაკებს დაუმსახურებლად უმაღლებენ ხელფასს. ეს, საბოლოო ახგარიშში, იწვევს იმას, რომ ირღვევა შრომის ნაყოფიერების ზრდის წინგამსწრები ტემპი ხელფასთან შედარებით, რაც მეტად არასასურველი მოვლენაა. ამ უკანასკნელის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა უპირატესად ასეთ სამუშაო ადგილებზე გამოვიყენოთ რობოტტექნიკა¹⁰. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ „რკინის მუშას“ ადამიანთან შედარებით მთელი რიგი უპირატესობა გააჩნია, კერძოდ, იგი არ იღლებს, ავად არ ხდება, საკმელს არ თხოულობს, შესვენებაზე არ გადის, კვალიფიკაციის ამაღლებას (სწავლას) არ საჭიროებს, საცხოვრებელ ბინას არ მოითხოვს, არც ავტობუსი უნდა სახლში წასასვლელად და სამუშაოზე მოსასვლელად, წარმოებაში კი ადამიანს

7 სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება 1986 წლის 3 მარტს. გაზ. „კომუნისტი“, 4 მარტი, გვ. 2.

8 დ. ძნელაძე; ს. ვარდოშვილი, ინჟინრული შრომა და მისი პრესტიჟი. გაზ. „თბილისი“, 1985 წ. 20 ნოემბერი.

9 სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება 1986 წლის 3 მარტს. გაზ. „კომუნისტი“, 1986 წ. 4 მარტი, გვ. 3.

10 სიტყვა „რობოტი“ ჩეხური წარმოშობისაა. „რობ“ მონას ნიშნავს, ხოლო „რობოტი“ — მონურ შრომას, ეს ადამიანის მოქმედების ანალოგიური მანქანები ხომ მართლაც ადამიანის შრომის შემსუბუქების მიზნით შეიქმნა.



შესანიშნავად ცვლის¹¹. სწორედ ამ უპირატესობების გამოა, რომ XII ხუთწლედში მათი წარმოება 3-ჯერ უნდა გაიზარდოს.

არც თუ იშვიათად ესა თუ ის სიახლე დროულად კი ინერგება, მაგრამ იმის გამო, რომ მუშები ვერ ფლობენ ექსპლოატაციის ხერხებს, ისინი მალე გამოდიან მწყობრიდან, ან საერთოდ უმოქმედოდ დგანან, არავითარ უკუგებას არ იძლევიან. იმისათვის, რომ თავი ავარიდოთ ასეთ დანაქარგებს, საჭიროა ახალი ტექნიკის წარმოებაში დაყვანამდე მოვხდინოთ მუშათა სათანადო მომზადება. ეს სავსებით კანონზომიერი მოვლენა გახლავთ: მოწინავე ტექნიკა — მოწინავე, მაღალი კვალიფიკაციის მუშას მოითხოვს.

როგორც დავინახეთ, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის გზით სახალხო მეურნეობის ძირეული რეკონსტრუქცია სხვადასხვა რგოლის, სხვადასხვა კატეგორიის მუშაკების (მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, უშუალო მწარმოებლების და ა. შ.) ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებას მოითხოვს. ამ უკანასკნელის მიღწევა კი მხოლოდ სრულყოფილი სამეურნეო მექანიზმით არის შესაძლებელი.

სამეურნეო მექანიზმი (მართვა, დაგეგმვა, ხელფასი, ფასი, მოგება, პრემია და ა. შ.) ისე უნდა „იმუშაოს“ რომ მეცნიერება უფრო ენერგიულად შემობარუნოს სახალხო მეურნეობის საჭიროებისაკენ, ხოლო წარმოებამ მაქსიმალურად და თავისდროულად აითვისოს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები. იმისათვის, რომ სამეურნეო მექანიზმი „წარმატებით შეასრულოს“ თავისი ფუნქციები საჭიროა მართვაში ცენტრალიზმის და დემოკრატიზმის ოპტიმალური შეხამება. კერძოდ, გავაძლიეროთ ეკონომიკური ცენტრის როლი სტრატეგიული ამოცანების გადაჭრაში, ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარებაში, სახალხო მეურნეობრივი პროპორციების განსაზღვრაში და სხვა. ხოლო ოპერატიული ამოცანების გადაჭრა გადავაციროთ ქვემდგომ სამეურნეო რგოლებს, დავძლიოთ მათ საქმიანობაში ცენტრის ჩარევის პრაქტიკა; სამეურნეო ანგარიშიან მეთოდებს უპირატესობა მივანიჭოთ ადმინისტრაციულ, დირექტიულ მეთოდებთან შედარებით; გავაიაფოთ და გავამარტივოთ მართვის აპარატი.

უნდა შევნიშნოთ, რომ როგორც მეცნიერებაში და ტექნიკაში რევოლუციისათვის, სოციალისტურ საწარმოთა მეტარიალურ-ტექნიკური ბაზის ძირეული გარდაქმნისათვის, ისე სამეურნეო მექანიზმის ყოველმხრივი სრულყოფისათვის დაგვიჩრდება საკმაოდ დიდი დრო, ორი და მეტი წელიწადი. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში პასიური მეთვალყურის როლში კი არ უნდა გამოვიდეთ — თუ როდის იტყვის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია თავის გადაწყვეტ სიტყვას, როდის გამოიღებს ყოველმხრივ სრულყოფილი სამეურნეო მექანიზმი საბოლოო შედეგს, არამედ საჭიროა დღესვე ვავლენდეთ გამოუყენებელ რეზერვებს და ვრთავდეთ სამეურნეო ბრუნვაში, რათა ამთავითვე დავაჩქაროთ ზრდის ტემპები. სხვაგვარად ვერ შევძლებთ სამ ხუთწლედში ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაორკეცებას. აღსანიშნავია, რომ მრავლადაა ასეთი რეზერვები შრომის დისციპლინის განმტკიცებასა და წესრიგის დამკვიდრებაში, ადამიანის მიერ იფაქტორის გააქტიურებაში, რე-

¹¹ ლ. ჩიქავა, შრომის მწარმოებლურობა და მისი ამაღლების გზები. თბ., 1985 წ. გვ. 42.

სურსებების მომჭირნეობით¹² და გონივრულ გამოყენებებში, რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ხარისხობრივზე¹³, რესურსმფლანგველი მეურნეობრიობიდან, რესურსდამშოგველ მეურნეობრიობაზე გადასვლაში. სხვათა შორის ამ რეზერვების ამოქმედება არ მოითხოვს დიდ სახსრებს, წარმოებას კი სწრაფად და საგრძნობლად ზრდის.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ძირითადად წარმოებითა ფონდებმა ტრილიონ-ნახევარ მანეთს გადააჭარბა, მაგრამ მათ ყველგან სრული უქუცებით როდი იყენებენ. მაგალითად, მეტალურგიაში ლითონსაჭრელ ჩარხებს ერთ ცვლაზე ცოტა მეტ ხანს ამუშავენ, რის გამოც ქვეყანას ყოველწლიურად მილიარდობით მანეთის პროდუქცია აკლდება. მაშასადამე, უნდა ავამაღლოთ უკვე მოქმედი შოწყობილობის ცვლიანობის კოეფიციენტი. ეს იმიტომ, რომ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში ძირითადი წარმოებითი ფონდების მორალური გაცვეთის (დაძველების) პერიოდი გაცილებით უფრო ხანმოკლეა, ვიდრე ფიზიკური გაცვეთის ვადა. სწორედ ამიტომ, საჭიროა მაქსიმალურად შევამციროთ ეს განსხვავება, ე. ი. გავახანგრძლივოთ ძირითადი წარმოებითი ფონდების სადღეღამისო გამოყენების დრო, ანუ ავამაღლოთ მათი ცვლიანობის კოეფიციენტი. მართო მძიმე მრეწველობაში ეს პროდუქციის მატების ტემპის თითქმის გაორკეცების საშუალებას შექმნიდა.

ქვეყნის ეკონომიკას შესამჩნევ ზარალს აყენებს არარიტმული მომარაგება. საიდუმლო როდია, რომ ბევრ საწარმოში თვის დამღევს მოცდენა უფრო ხშირია, ვიდრე მუშაობა. სამაგიეროდ თვის დამღევს იწყება იერიშიანობა, რასაც როგორც წესი, უხარისხო პროდუქციის წარმოება და ხალხის სამართლიანი ვულისწყრომა მოსდევს.

წარმოების დიდძალი ნარჩენებია მოპოვებით მრეწველობაში. არსებული მონაცემების მიხედვით, მიწის წიაღში რჩება საბადოში არსებული ქვანახშირის მარაგის 30-40%-მდე, გაზის—50, ნავთობის—70, რკინის მადნის—20%-მდე¹⁴. ამას დაუმატოთ ისიც, რომ ნაკლებ სრულყოფილი ტექნოლოგიის გამოყენების გამო მნიშვნელოვანი რაოდენობის ლითონი იკარგება წარმოების პროცესშივე. მაგალითად, მანქანათმშენებლობაში ჭრის მოძველებული მეთოდით ლითონის დამუშავების გამო დიდი რაოდენობით წარმოიქმნება ბურბუშელა, რომელიც დღეისათვის 28 პროცენტს აღწევს (აშშ-ში ასეთი დანაკარგები ლითონის წნეხითი მეთოდით დამუშავების საფუძველზე 5-6 პროცენტამდეა დაყვანილი). დიდძალ დანაკარგებს იწვევს, აგრეთვე, მძიმე, ლითონტევადი, უხარისხო დეტალების, აგრეგატებისა და სხვა ნაწარმის

¹² მომჭირნეობა სიძუნწე კი არ არის, არამედ მზრუნველი მეურნის, გონიერი და ანგარიშვანი სამეურნეო მუშაკის ერთ-ერთი ნიშანთვისებაა. სოციალისტური საკუთრების მომჭირნედ, ყიარათიანად გამოყენება ხელს უწყობს, როგორც მთლიანად საზოგადოების, ისე კოლექტივის და პირადი ინტერესების ეფექტიან რეალიზაციას.

¹³ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არა მარტო რაოდენობრივი ცვლილებები იწვევენ ხარისხობრივს, არამედ, ხარისხობრივიც — რაოდენობრივს. ასე მაგალითად, თუ საქონლის ხარისხის ამაღლების გამო ხანვამძლეობა ორჯერ გაიზარდა, ეს გარკვეულწილად პროდუქციის წარმოების გაორკეცებასაც ნიშნავს, თანაც, დაახლოებით ორჯერ ნაკლები რესურსებით.



გამოშვება¹⁵. თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ნარჩენების გონივრულ გამოყენებას, ამის კარგ მაგალითს იძლევა თბილისის ხის დამამუშავებელი კომბინატი. ეს უკანასკნელი დარგათშორის ეკონომიკურ ექსპერიმენტამდე ერთ კუბურ მეტრ ხის ნარჩენ გვერდულას 4 მანეთამდე ყიდდა, როგორც შეშას. ამჟამად კი იგივე ნარჩენებისაგან შესაბამისი საწარმოები ამზადებენ 1000 მანეთის ღირებულების ფეხსაცმლის ქუსლებს და საოჯახო დანიშნულების სხვადასხვა მოხმარების საგნებს.

როგორც სამეურნეო პრაქტიკა გვიჩვენებს, რიგ საწარმოებში ქმედითად ვერ იყენებენ გაცდენების წინააღმდეგ ბრძოლის იმ საშუალებებს, რომლებიც შრომის დისციპლინის განმტკიცების დამატებით ღონისძიებების შესახებ დადგენილებითაა გათვალისწინებული. მაგალითად, მარტო გაცდენების შედეგად რესპუბლიკის მრეწველობამ გასული წლის ცხრა თვის განმავლობაში მომხმარებელს დააკლო 10,3 მილიონი მანეთის პროდუქტია. ყოველ დღე საწარმოო უბნებზე საშუალოდ არ ცხადდებოდა 425 მუშა. მაგრამ ყველას მიმართ რადი ღებულობდნენ სათანადო ზომებს. ასეთი გაცდენების გამო კვების მრეწველობის სისტემაში მორიგი შვებულება შეუმცირდა გამცდენთა მხოლოდ 16%-ს, ბათუმის ელექტრომექანიკურ ქარხანაში — ექვსს — 33-დან.

ასევე იშვიათად გადაჰყავდათ დისციპლინის დამრღვევები მცირე ხელფასიან თანამდებობებზე. ვაერთიანება „კავკასტრანსფორმატორში“ ეს ზომა გამოიყენეს 71 გამცდენიდან ხუთისადმი, გორის ბამბულის საწარმოო ვაერთიანებაში — 502 კაციდან სამისადმი და ა. შ. მთლიანად, რესპუბლიკაში მცირე ხელფასიან თანამდებობაზე გადაყვანილია ბრალეულთა მხოლოდ 1,1%¹⁶.

დიდა რეზერვები კადრების დენადობასთან დაკავშირებითაც. ამჟამად რესპუბლიკის მრეწველობაში კადრების დენადობა წარმოების ეფექტიანობის ზრდის სერიოზული შემფერხებელი ფაქტორია, ვინაიდან, საწარმოდან განთავისუფლებული მუშაკი ახალ სამუშაოზე მისვლამდე გარკვეული დროის განმავლობაში არ მონაწილეობს საზოგადოებრივ წარმოებაში. უფრო მეტიც, ახალ სამუშაოზე შისვლის პირველ პერიოდში მან უნდა აითვისოს გარკვეული ოპერაცია, ან დაეუფლოს სხვა სპეციალობას, რის გამოც იგი ვერ მუშაობს სრული უკუგებით, დაბალია შრომის ნაყოფიერება. ასევე დაბალია შრომის ნაყოფიერება ძველ სამუშაო უბანზე ბოლო სამი თვის განმავლობაშიც. გაანგარიშებულია, რომ ყოველი განთავისუფლებული მუშა ახალ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით საშუალოდ 15-18 დღეს კარგავს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სამუშაოს მაძიებელს, მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და ინფორმაციის ბიუროში სჭირდება სულ რაღაც 5-7 დღე. შარშან თბილისის შრომითი მოწყობის ბიუროში გამოცხადდა 18. 874 მოქალაქე. მათგან საგზურით სამუშაოზე მოსაწყობად გაიგზავნა 17. 577, რომელთაგან სამუშაო პირობებით დაკმაყოფილდა და წარმოებაში დარჩა 14. 515 კაცი¹⁷.

¹⁵ ლ. ჩიქავა. მეთერთმეტე ხუთწლედის ძირითადი ამოცანები და მათი განხორციელების გზები. თბ., 1981, გვ. 98.

¹⁶ საქართველოს ცსს მასალების მიხედვით.

¹⁷ გაზ. „თბილისი“, 1985 წ. 22 ივნისი.



სწორედ ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია ფართოდ გავრცელებს ასეთი ბიუროკრატების ქსელი და უფრო ჭმედითი გახდეს მათი საქმიანობა.

მომავალ ხუთწლეულებში ნავარაუდევია ყოველი ღონით ხელი შეეწყოს საზოგადოებრივ წარმოებაში ქალთა აქტიურ მონაწილეობასთან დედობის შეხამების უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნას. ამ დებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი დედაქალაქისათვის, რამეთუ თბილისში მცირე როდია შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხვი, რომელიც ჩამბული არ არის საზოგადოებრივ წარმოებაში. მათგან ბევრი დიასახლისია, რომელთაც სურთ მუშაობა, მაგრამ რაკი გვაკლია საბავშვო ბალები და ბაგები, ხოლო ზოგან მათი მუშაობის დონე არ აკმაყოფილებთ, იძულებული არიან თვითონ მოჰკიდონ ბავშვთა აღზრდას ხელი და საზოგადოებრივ წარმოებაში ჩაბმასზე უარი თქვან. ამ მიმართებით, კარგი გამოცდილება დაგროვდა თბილისის პირველი მაისის სახელობის სამეკრვალ ფაბრიკაში. ამჟამად აქ 160 ქალი 4-საათიან სამუშაო ცვლაში საქმიანობს. ისინი წარმატებით ასრულებენ გვემას და გამოიმუშავენ 90-100 მანეთს. ამასთან, მათი უფლებები ისეთივეა, როგორც სრულ ცვლაში მომუშავეებისა (საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურება, ბავშვის ადგილი საბავშვო ბაღში, პიონერთა ბანაკში). ყოველივე ეს დიასახლისებს საშუალებას აძლევს წარმოებაში მუშაობა გონივრულად შეუთავსონ საოჯახო საქმეებს, ბავშვების აღზრდას.

შრომითი რესურსების ყაირათიანი გამოყენების კარგი საშუალებაა მომიჯნავე პროფესიების ცოდნა. სამწუხაროდ რესპუბლიკის მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა მხოლოდ 15% ფლობს ორ ან მეტ პროფესიას, რაც შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის განუვითარებლობაზე და კოლექტიური დამრიგებლობის ფორმალურობაზე ლაპარაკობს.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი გარღვევები მშრომელთა აქტიურობის დაბალ დონეზე მიგვანიშნებენ, რაც, თავის მხრივ, იმით უნდა აიხსნას, რომ მშრომელები მზრუნველად არ ეკიდებიან სახალხო დოვლათის ყაირათიან გამოყენებას და გამრავლებას, რომ მათში ვერ დგას სათანადო დონეზე საზოგადოებრივი წარმოების თანამესაკუთრის გრძნობა. იბადება კითხვა — როგორ ვადაწესებოთ ეს ამოცანა? გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ბატონ-პატრონის გრძნობის ჩანერგვა და განვითარება სიტყვით შეიძლებოდა. საქუთობისადმი დამოკიდებულებას აყალიბებს ადამიანის შესაძლებლობა — გავლენა მოახდინოს წარმოების ორგანიზაციაზე, შრომის შედეგების განაწილებასა და გამოყენებაზე⁸¹. აქედან გამომდინარე, საჭიროა წარმოების მართვაში მშრომელთა აქტიური ჩაბმა, ვინაიდან, მართვა სწორედ მესაკუთრის პრეროგატივაა. აქვე შევნიშნავთ იმასაც, რომ მართვაში მშრომელთა ჩაბმა თვითმიზანი კი არ არის, არამედ მიზნის მიღწევის საშუალებაა. ასე მაგალითად, მუშაკი მონაწილეობს რა მართვაში, რწმუნდება იმაში, რომ იცის წარმოების და მისი შედეგების რეალური მესაკუთრეა და რომ, რასაც იგი ქმნის მის კეთილდღეობას უნდა მოხმარდეს. სწორედ ამის გამო ინტერესდება იგი, რაც შეიძლება გააქტიურდეს შრომაში. ამ საქმეს ემსახურება „კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ“, რომელიც 1983 წლის აგვისტოში მივიღეთ. ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, ზოგიერთი საწარმოო კოლექტივის მიერ ჯერაც არა-

⁸¹ სკკ ცკ-ის პოლიტიკური მოხსენება XXVII ყრილობას. სკკ ცკ-ის გენერალური მდივნის ანხანავ მ. ს. ვორბაჩოვის მოხსენება 1986 წლის 25 თებერვალს. გაზ. „კომუნისტი“, 1986 წ. 26 თებერვალი, გვ. 6.



ეფექტურად გამოიყენება ამ კანონით მინიჭებული უფლებები. რაც, უწინარეს ყოვლისა, იმით უნდა აიხსნას, რომ ბევრი მშრომელი დღემდე არ იცნობს კანონში ასახულ დებულებებს. უფრო მეტიც, ზოგჯერ ვაწყდებით ისეთ კურონოსაც, როცა ცალკეულმა მუშაკმა ამ კანონის არსებობის შესახებაც კი არ იცის. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას სახელმძღვანელო წარმოების მართვაში შრომითი კოლექტივების მონაწილეობის შესახებ და ისწავლებოდეს იგი როგორც უმაღლეს, ისე ტექნიკურ და საშუალო-პროფესიულ სასწავლებლებში. ასევე, მშრომელთა ეკონომიკური სწავლებისას საჭიროა გათვალისწინებული იქნას, თუ მართვის რომელ საზოგადოებრივ ინსტიტუტში მონაწილეობენ ისინი. მაგალითად, თუ მუშაკი ეკონომიკური ანალიზის საზოგადოებრივი ბიუროს წევრია, მაშინ, ცხადია, მისი სწავლებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ანალიზის და ბუჰხალტრული აღრიცხვის ძირითად საკითხებზე.

მშრომელში ბატონ-პატრონის გრძნობის განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ანგარიშის შემდგომ გაღრმავებასაც, კერძოდ: პირველი, მჭიდრო კავშირი უნდა დამყარდეს საწარმოო კოლექტივების საბოლოო შედეგებსა და მათ მიერ გამომუშავებულ ფონდებს (წარმოების განვითარების, სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და ბინათმშენებლობის, მატერიალური სტიმულირების ფონდები) შორის; მეორე, შევწყვიტოთ ზემდგომი ორგანოების ჩარევა საწარმოო კოლექტივების კანონიერ უფლებებში, თვით მათ მივცეთ შესაძლებლობა რათა ეს ფონდები საკუთარი შეხედულებისა და საჭიროებისამებრ გამოიყენონ; მესამე, გავაძლიეროთ თითოეული მუშაკის შრომის ანაზღაურების დამოკიდებულება საბოლოო შედეგებში მათ პირად წვლილზე. აღმოვფხვრათ ზოგის უყაირათო საქმიანობის სხვების კარგი საქმიანობის შედეგებით დაფარვის პრაქტიკა. გავზარდოთ პასუხისმგებლობა ცენტრალიზებული წესით დაგეგმილი მაჩვენებლების შესრულებაზე.

აღბათ, მომწიფდა იმის აუცილებლობაც, რომ საერთო კრებებს შუა პერიოდში არა მარტო ბრიგადებში, არამედ საწარმოთა დონეზეც ფუნქციონირებდეს შრომითი კოლექტივის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, მუშები, სპეციალისტები¹⁹.

ბოლო პერიოდში სავსებით სამართლიანად გაიზრდება მოთხოვნები ადამიანების შიშართ. სხვათა შორის ეს მოთხოვნა ძალიან კონკრეტულია: „ვერ ართმევ თავს მინდობილ საქმეს — ჩამოგვცილდი!“ თუმცაღა, როგორც პრაქტიკა გვკარნახობს, ეს პრინციპი უმეტესად ცალმხრივ — „ზევიდან — ქვევით“ მოქმედებს. ვფიქრობთ, ფრიად მნიშვნელოვანია სრული უკუგებით ამოქმედდეს „ქვევიდან — ზევით“ კონტროლის მექანიზმიც.

არცთუ იშვიათად ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომელსაც რესურსების სიჭარბის, ექსტენსიური მეურნეობრიობის პირობებში ჩამოუყალიბდა ეკონომიკური აზროვნება, ინერციის ძალით მოძველებული მეთოდებით განაგრ-

¹⁹ სკვბ ცკ-ის პოლიტიკური მოხსენება სკვბ XXVII ყრილობას. სკვბ ცკ-ის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გობაშვილის მოხსენება 1986 წლის 25 თებერვალს. ვაზ. „კომუნისტი“, 1986 წ. 26 თებერვალი, გვ. 8.

ძობს საქმიანობას. ბევრ მათგანს ჰგონია, რომ თუ მშრომელთა აზრის და წინადადებების გაუთვალისწინებლად მიიღებს მმართველურ გადაწყვეტილებას, ამით დასახული მიზნისაკენ მიმავალ გზას გაამარტივებს, შეამოკლებს, სინამდვილეში კი პირიქით ხდება—ეს გზა ხელოვნურად კიდევ უფრო რთულდება და გრძელდება. ეს იმიტომ, რომ საზოგადოებრივი წარმოების გიგანტური მასშტაბებისა და რთული სამეურნეო კავშირების პირობებში მეურნეობის ოპტიმალური მართვა ყოველად შეუძლებელია მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის გარეშე. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობის ყველა რგოლის შეთანხმებული ფუნქციონირება, ლოკალური ინტერესების საზოგადოებრივი ინტერესებისადმი დაქვემდებარება, ანუ დემოკრატია, წარმოუდგენელია ცენტრალიზმის გარეშე. საქმე ის გახლავთ, რომ მეურნეობრიობის დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპში წამყვანია დემოკრატია (ხელისუფლების სახალხოობა), ხოლო ცენტრალიზმი ამ უკანასკნელის რეალიზაციის საშუალება. აქედან გამომდინარე, ჩვენში ადგილი აქვს არა უბრალოდ ცენტრალიზმს, არამედ დემოკრატიულ ცენტრალიზმს. ვინაიდან, წარმოების ცენტრალიზებული მართვა ხდება საზოგადოების დავალებით და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

უშუალო მწარმოებელთა აქტიურობის, რეალური მეპატრონის გრძნობის გამოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა მალაქხარისხოვანი პროდუქციის წარმოება. როგორც ცნობილია, ხარისხის პრობლემას მთელი მეთაე ხუთწლედი მივუძღვენიტ, მაგრამ ეს პრობლემა დღემდე მაინც ვერ გადაეჭერთ. ამაზე ლაპარაკობს კონკრეტული ციფრებიც. გასულ ხუთწლედში მარტო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის საწარმოთა საწყობებში დაგროვდა 150 მილიონი მანეთის ძნელადსარეალიზაციო, უსარგებლო, უხარისხო პროდუქცია. სხვათა შორის ეს არის ქალაქის მთელი მრეწველობის ორი კვირის მუშაობის შედეგი, რომელშიც დასაქმებულია 140 ათასი კაცი²⁰. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი მრავალია. მათ შორის მთავარი მაინც უშუალო მწარმოებელთა შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა. მაგრამ იმისათვის, რომ აღამიანმა შეიყვაროს თავისი სამუშაო, კეთილსინდისიერად მოეპყროს მას, იგი უნდა იყოს მიმზიდველი, შინაარსიანი, საინტერესო. რა მდგომარეობაა ამ მხრივ? უკანასკნელ წლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები ერთი და იგივე შედეგს იძლევიან: გამოკითხულთა ნახევარზე მეტი სამუშაოს შეცვლის მიზეზად ასახელებს არა შრომის ანაზღაურებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, შრომის პირობებით და შინაარსით უკმაყოფილებას²¹. ეს ფაქტი იმაზედაც მიგვანიშნებს, რომ სოციალისტური სამართლიანობის დამკვიდრების და ამ გზით უშუალო მწარმოებელთა გააქტიურების მიზნით საჭიროა მკაცრად დავიცვათ სოციალიზმის მთავარი პრინციპის „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — გაღებული შრომის მიხედვით“, არა მხოლოდ მეორე ნაწილი — „თითოეულს — გაღებული შრომის მიხედვით“, არამედ პირველი ნაწილიც — „თითოეულისაგან — უნარის მიხედვით“.

სამუშაო, როგორც სამეურნეო პრაქტიკა გვკარნახობს, მხოლოდ შრომის ანაზღაურების სრულყოფით ცდილობენ მშრომელთა გააქტიურებას,

20 ვაზ. „თბილისი“, 1985 წ. 30 დეკემბერი.
21 ჟურნ. «Плановое хозяйство», 1984, № 1, с. 79.

რაც უმეტესად უშედეგოდ მთავრდება. შევნიშნავთ, რომ შრომის მიხედვით განაწილება მაშინ ახდენს წარმოების ზრდაზე დადებით ზემოქმედებას, როცა შესასრულებელი სამუშაო სრულად შეესატყვისება მუშაკის უნარს და შესაძლებლობებს. აღსანიშნავია, რომ თუკი მუშაკი იქ არის, სადაც არ უნდა იყოს, სადაც იგი თავისი უნარის, შესაძლებლობების და შემოქმედებითი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციას ვერ ახდენს, რაც არ უნდა ღონისძიებები გატარდეს განაწილებითი ურთიერთობების სრულყოფის მიზნით, მაინც ვერ მივიღებთ სასურველ შედეგს, ვერ გავზრდით უშუალო მწარმოებელთა შრომით აქტიურობას.

მაშასადამე, აუცილებელია აღამიანები გამოვიყენოთ მათი ფიზიკური, პროფესიული და სოციალური შესაძლებლობების მიხედვით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გადაიქცევა შრომა მიმზიდველად, საინტერესოდ და ხარისხიანი პროდუქციის შექმნის წყაროდ. ამ საქმეში თავისი გადამწყვეტი სიტყვა სწორმა პროფესიულმა ორიენტაციამ უნდა თქვას.

მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოება დიდადაა დამოკიდებული სთანადო დონეზე დაყენებულ კონტროლზე. სამუშაოზე, კონტროლის გაუმჯობესების საქმეში უცნაურ წინააღმდეგობებს ვაწყდებით. მაგალითად, ტექნიკური კონტროლის განყოფილების ინჟინრები არსებული წესის თანახმად ადმინისტრაციულ-მმართველურ პერსონალს მიეკუთვნებიან. ეს აპარატი კი, როგორც ცნობილია, რეგულარულ შეკვეცას ექვემდებარება. ეს მაშინ, როცა საკონტროლო ოპერაციები, რომლებიც ტექნოლოგიური პროცესების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდნენ, სულ უფრო რთულდებიან და პასუხსაგები ხდებიან. მაშასადამე, ტექნიკური კონტროლის განყოფილების ინჟინრთა ადმინისტრაციულ მმართველური აპარატისადმი მიკუთვნება აშკარა მოუფიქრებლობაა.

ან კიდევ, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს პრემიას აძლევენ იმავე მაჩვენებლების (მათ შორის მიწოდებული პროდუქციის მოცულობის ვეგმის) მიხედვით, რითაც საწარმოს ხელმძღვანელებს. აქედან გამომდინარე, საგულდაგულო გამოსავალი კონტროლის და პროდუქციის დაწუნების შემთხვევაში საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შეიძლება შემცირდეს, რის გამოც ტექნიკური კონტროლის განყოფილების გამგე მიიღებს ნაკლებ პრემიას, ან შეიძლება საერთოდ დაკარგოს იგი²². ამ გარღვევის თავიდან აცილების მიზნით, ვფიქრობთ, საჭიროა ტექნიკური კონტროლის განყოფილების გამოყვანა დირექციის დაქვემდებარებიდან და მასზე არასაუწყებო ორგანოს სტატუსის მინიჭება. კარგად ვიცით, რომ ამის გაკეთება საკმაოდ რთულია და გარკვეულ სიძნელებთანაა დაკავშირებული, მაგრამ არც იმის შეგუება შეიძლება, როცა მაკონტროლებელი ჯილდოს ღებულობს არა მაღალხარისხიანი პროდუქციისათვის, არამედ დიდი რაოდენობის, მაგრამ უხარისხო პროდუქციისათვის.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ სკკპ XXVII ყრილობის მასალების სახით ჩვენ, საზოგადოებათმცოდნეებს ხელთა გვაქვს ქვეყნის დაჩქარებუ-

²² Трапезников В. Еще раз о качестве, техническом прогрессе и стимулах газ. «Правда», 1985 г. 2 октября.

ლი წინსვლის მეცნიერულად დასაბუთებული, რეალური პროგრამა. ახლა ამოცანა ის გახლავთ, ჯერ ერთი, ზეპირი თუ ბეჭდვითი სიტყვით თითოეულ მშრომელს სწორად გავაგებინოთ მასში ასახული ყველა ნოვატორული იდეა, თუ ძირითადი დებულება, ვინაიდან, როგორც ცნობილია, პარტიის იდეები და გეგმები მხოლოდ მაშინ გადაიქცევიან მატერიალურ ძალად, როდესაც მასების შეგნებას დაეუფლებიან, და მეორე, პირად მაგალითს ვიძლეოდეთ ამ იდეების განხორციელებისათვის. თითოეულ ადამიანს ვუღვიძებდეთ ინტერესს და სურვილს მხარი დაუჭიროს პარტიის გეზს ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში ღრმა თვისებრივ გარდაქმნებს, ხელს ვუწყობდეთ მათს შრომით და სოციალური აქტიურობის ამოღლებას.

У. И. САМАДАШВИЛИ, Р. С. ХАРБЕДИЯ

РЕАЛЬНАЯ ПРОГРАММА ДВИЖЕНИЯ ВПЕРЕД

Резюме

В статье в свете материалов XXVII съезда КПСС обоснована объективная необходимость ускорения социально-экономического развития нашей страны. Подчеркнуто, что ускорение — не самоцель, а средство достижения цели нашего общества. Противопоставляются экстенсивный и интенсивный пути хозяйствования и обосновывается, что на данном этапе развития нашего общества единственный правильный путь — это преимущественно интенсивный путь развития экономики. На обширном фактическом материале анализируются такие средства осуществления интенсификации общественного производства, как научно-техническая революция, совершенствование хозяйственного механизма, укрепление дисциплины труда, установление социалистической справедливости и повышение активности человеческого фактора.

Даны также конкретные предложения теоретического и практического характера, реализация которых, по мнению авторов, будет способствовать дальнейшему повышению трудовой и общественной активности трудящихся и на этой основе — ускорению социально-экономического развития социалистического общества.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის განყოფილებამ



დალი არბოლიშვილი

ფასის ფუნქციები და მათი განვითარება სოციალიზმის დროს

XXVII ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ან. მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის აქტიური ინსტრუმენტი უნდა გახდეს ფასები. გეგმაზომიერად უნდა გარდავქმნათ ფასების სისტემა, როგორც ერთი მთლიანი, ქმედითი სამეურნეო ანგარიშის მოგვარების ინტერესებისათვის და მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდების ამოცანათა შესაბამისად. ფასებს უნდა მივანიჭოთ მეტი მოქნილობა, დაუჟეავშიროთ მათი დონე არა მარტო დანახარჯებს, არამედ აგრეთვე საქონლის სამომხმარებლო თვისებებს, ნაწარმის ეფექტიანობას, საზოგადოებრივ მოთხოვნილებებთან და მოსახლეობის მოთხოვნასთან წარმოებული პროდუქტის შეწონასწორების დონეს“¹. ხოლო სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში საცალო ფასების შესახებ ნათქვამია, რომ აუცილებელია მათში უფრო სრულად ავსახოთ აგრეთვე „ნაწარმისა და მომსახურების ხარისხი და სამომხმარებლო თვისებები. უზრუნველყოთ სხვადასხვა ჯგუფის საქონლის ფასების ეკონომიკურად და სოციალურად დასაბუთებული თანაფარდობა. შევამციროთ ცალკეული საქონლის ფასები მისი წარმოების ეფექტიანობის გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების, სავაჭრო სასაქონლო და საფინანსო რესურსების დაგროვების კვალობაზე“².

აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თეორიულად გავარკვიოთ, როგორ იცვლება და ვითარდება ფასის ფუნქციები სოციალისტურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით — თანამედროვე ეტაპზე. გეგმური ფასის ფუნქციათა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს ფასზე დაკისრებული დიდი ეკონომიკური და სოციალური დანიშნულების ამოცანების შესრულება.

გეგმური ფასი მიღებულია, ორი საწყისის შეერთების შედეგად. როგორც ფასი, იგი საქონელწარმოების კატეგორიას, ანუ სტიქიური სასაქონლო მეურნეობის შემკვიდრეს წარმოადგენს. მაგრამ სოციალისტური წარმოება გეგმიანია, სტიქიური სასაქონლო წარმოება აქ აღარ არსებობს, საქონელწარმოების რეგულატორი — ღირებულების კანონი — აქ მოქმედებს, მაგრამ მისი მოქმედება შეზღუდულია. ამის შესაბამისად, გეგმური ფასიც გამოხატავს პირველ რიგში უშუალოდ საზოგადოებრივ, გეგმაზომიერ ურთიერთობებს, რომლებიც ეწინააღმდეგება საქონელწარმოების ურთიერთობებს. საქონელ-

1 მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობისადმი, ვაზ. „კომუნისტი“, 26 თებერვალი, 1986 წ. გვ. 5.

2 სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986—1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, ვაზ. „კომუნისტი“, 9 მარტი, 1986 წ. გვ. 5.

წარმოების ურთიერთობები კომუნის პირველ ფაზაში შემონახულია და ხდება მათი შეერთება, დაქვემდებარება გეგმაზომიერი ურთიერთობისადმი. ამის შესაბამისად, გარდაიქმნება ფასის ფუნქციებიც. გეგმური ფასის ფუნქციები გეგმური მეურნეობის მიზნებს ექვემდებარება. იმისათვის, რომ იგი კიდევ უფრო სრულად მოემსახუროს სოციალისტური საზოგადოების მიზნებს, საჭიროა კარგად გავარკვიოთ მისი ფუნქციების განვითარების კანონზომიერებები.

ფასის ფუნქციები გარკვეულ თანაფარდობაშია ფულის ფუნქციებთან, რადგან ფასი ღირებულების ფულად გამოხატულებას წარმოადგენს. ფული, როგორც განსაკუთრებული საქონელი, რომელშიც განივთებულია შრომა, თვითონ ზომავს სხვა საქონელთა ღირებულებას. ეს, როგორც ვიცით, არის ფულის პირველი ფუნქცია. ამიტომ ფულით გამოხატული საქონლის ღირებულება ანუ ფასი ნიშნავს მოცემულ საქონელში განხორციელებული საზოგადოებრივი შრომის აღრიცხვას, ამრიგად, ფულისა და ფასის პირველი ფუნქციები ერთი და იმავე ნიშანს გამოხატავს.

ფულის შემდეგი ფუნქციაა, როგორც ვიცით, მიმოქცევის საშუალება, განძის შექმნის ანუ დაგროვების საშუალება, გადახდის საშუალება და მსოფლიო ფული. ეს ფუნქციები უკვე აღარ გამოხატავს ფასის ფუნქციებს. მაგალითად, ფული შეიძლება დაგროვდეს, მაგრამ ეს არ გვიჩვენებს, ასტიმულირებს ფასი წარმოების განვითარებას თუ არა, ან ასრულებს თუ არა განმანაწილებელ ფუნქციას. ასევე, ფული შეიძლება გადახდის საშუალებად გამოიყენონ, მაგალითად, ყმა გლეხმა ფეოდალს რენტა ფულადი ფორმით გადაუხადოს, ფასს კი არ ჰქონდეს ადგილი. მაგრამ ფულის ფუნქციებსა და ფასის ფუნქციებს შორის კავშირი მაინც არსებობს. იმისათვის, რომ ფასის ფუნქციები განვითარდნენ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა უნდა არსებობდეს და ფული თავის ყველა ფუნქციას უნდა ასრულებდეს.

ფასის ფუნქციები გამოხატავს ღირებულების კანონის მოქმედებას, ღირებულების კანონი მარეგულირებელ როლს ფასების მეშვეობით ახორციელებს. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, „ღირებულება არის ფასთა კანონი“³. სასაქონლო ფულადი ურთიერთობის რეგულირებას ღირებულების კანონი ახორციელებს იმიტომ, რომ ფასები ასახავენ ღირებულებას — საქონელში განივთებულ საზოგადოებრივად აუცილებელ შრომას, გადაიხრებიან მისგან, მაგრამ ამავე დროს მუდამ უახლოვდებიან მას.

ღირებულების კანონის მოქმედების შეზღუდვამ სოციალიზმის დროს არ შეიძლება არ გამოიწვიოს ფასის ფუნქციების ცვლილება. ფასების ფუნქციები იცვლება აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალიზმის დროს შესაძლებელი ხდება ფასი გეგმაზომიერად გადაიხაროს ღირებულებიდან.

გეგმური ფასის ფუნქციათა შესახებ საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში გერ არ არის მიღწეული საერთო აზრი. გამოთქმულია ბევრი სხვადასხვა მოსაზრება. ზოგიერთი მეცნიერი ეკონომისტი, მაგალითად, არ ცნობს მასტიმულირებელ ფუნქციას, რადგან თითქოს სტიმულირება ფასის ფუნქცია კი არაა, არამედ მისი შედეგია, და ფასი ისევე არ შეიძლება მასტიმულირებელი იყოს, როგორც ფული, რომელშიც ფასია გამოხატული⁴. მაგ-

³ ვ. ი. ლენინი, სოციალიზმის კიდევ ერთი განადგურება, თბზ., ტ. 20, გვ. 237.

⁴ დ. ალახვერდიანის რეცენზია კ. პლოტნიკოვისა და ა. გუსაროვის წიგნზე,



რამ ჩვენი აზრით, ფულის ფუნქციების შესრულება ისე შეუძლებელია, თუ ფასი წარმოების სტიმულირებას არ მოახდენს. შედარებით ნაკლებად გვხვდება მოსაზრება, რომ გვემური ფასი ასრულებს მხოლოდ ერთ ფუნქციას — საზოგადოებრივად აუცილებელი შრომის აღრიცხვის ფუნქციას. ამ მოსაზრებას მომხრენი ჰყავდა უფრო მეტად 50-იან წლებში და 60-იანი წლების დასაწყისში, იგი ემყარებოდა ჩვენს სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულ კონცეფციას, რომ სოციალიზმის დროს ღირებულების კანონი საერთოდ არ ასრულებს რეგულატორის ფუნქციას. ღირებულების კანონი არაა სოციალისტური წარმოების რეგულატორი, მაგრამ იმის უარყოფა, რომ იგი განსაზღვრულ დამხმარე მარეგულირებელ ფუნქციებს ასრულებს, არ შეიძლება. ამ ფუნქციებს ღირებულების კანონი ინარჩუნებს სოციალიზმის ფაზაში.

აღნიშნული კონცეფციის წარმომადგენელი (ი. მალიშევი⁵, ვ. სობოლოვ, ნ. ხესინი⁶ და სხვ.) არ უარყოფენ, რომ სოციალიზმის დროს სასაქონლო წარმოების ნაშთები შენარჩუნებულია, მაგრამ მათთვის დამახასიათებელია მტკიცება, რომ ღირებულების კანონი უკვე „ჩამოდის ისტორიის სცენიდან“⁸ და სოციალისტურ საზოგადოებას არ სჭირდება იგი. მაგალითად, ი. მალიშევი წერს: არასწორი იქნებოდა და უბრალოდ შეუძლებელიცაა, აშკარა ფაქტების საპირისპიროდ, უარგვეყო სასაქონლო წარმოების კვალის არსებობა სოციალიზმის დროს. მაგრამ უფრო მეტად არასწორი იქნებოდა მიგვენიჭებინა მათთვის ძალა, რომელიც ტოლი იქნებოდა სოციალიზმის საკუთარი ეკონომიკური კანონების ძალისა⁹. როდესაც ლაპარაკობენ ფასის აქტიურ გამოყენებაზე სოციალისტურ წარმოებაზე ზემოქმედებისათვის, აგრძელებს ავტორი, პრაქტიკულად მხედველობაში აქვთ ფასის ამალგება რომელიმე პროდუქტზე მისი წარმოების სტიმულირების მიზნით, ან პირიქით, ფასის შემცირება... სოციალისტურ საზოგადოებაში არავითარი თეორიული და პრაქტიკული აუცილებლობა არ არსებობს ამ მიზნით მივმართოთ ფასები. სახელმწიფოს ამისათვის აქვს პირდაპირი, უშუალო ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოვყოთ განვივთებული და ცოცხალი საზოგადოებრივი შრომის აუცილებელი რესურსები, სასურველი ტემპები წარმოების ამა თუ იმ სექტორის განვითარებისათვის¹⁰. ეს, ი. მალიშევის აზრით, იქნებოდა საზოგადოებრივი შრომის დანახარჯებიდან ფასის მოწყვეტა, რაც აუცილებელი არ არის საზოგადოებრივი წარმოების პროპორციული განვითარებისათვის, მასში დარგთა შორის ისეთი თანაფარდობის მიღწევისათვის, რომელიც საუკეთესოდ დააკმაყოფილებდა საზოგადოებრივ მოთხოვნალებებს მოცემულ ისტორიულ მომენტში¹¹.

⁵ Малышев И. С. Общественный учет труда и цена при социализме. М., Соцгиздат, 1960.

⁶ Соболев В. А. Очерки по вопросам баланса народного хозяйства, М., Госполитиздат, 1960.

⁷ Хесин Н. В., В. И. Ленин о сущности и основных причинах товарного производства. М., 1968.

⁸ იქვე, გვ. 179, 183.

⁹ ი. მალიშევი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 70.

¹⁰ იქვე, გვ. 106—108.

¹¹ იქვე, გვ. 109.

ამრიგად, ი. მალიშევი ცდილობს ფასი განთავისუფლოს მასტიმულირებელი და განმანაწილებელი ფუნქციებისაგან, რომელთა დაქისრებას იგი ცდილობს სახელმწიფოს უშუალო ბერკეტებისათვის. სოციალიზმის დროს საქონელწარმოების მოწინააღმდეგეთა მტკიცებები მას შემდეგაც ძირითადად ამ დებულებებს ემყარებოდა. ჩვენ არ შევეცდებით ვავარკვიოთ შეიცავს თუ არა ასეთი მტკიცებები რაციონალურ მარცვალს, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, ასეთ რაციონალურ მარცვალს ისინი რომ შეიცავდეს კიდევ, მთლიანად ფასის განთავისუფლება მასტიმულირებელი და განმანაწილებელი ფუნქციებისაგან არ შეიძლება. ამიტომ ამ წინადადების განხორციელება სოციალიზმის დროს ნიშნავს მართვის ადმინისტრაციული მეთოდების უფრო ფართო გამოყენებას, რაც შეზღუდავდა მართვის ეკონომიკურ მეთოდებს. ხოლო მთავარი, რაზედაც ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ის არის, რომ როგორც მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, ავტორი გვერდს უვლის საკითხის მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან მხარეს.

ფასის გადახრა ღირებულებიდან მხოლოდ წარმოებაზე ზემოქმედების მიზნით კი არ ხორციელდება, არამედ მოხმარებაზე ზემოქმედების მიზნითაც. სოციალიზმის დროს ფასი მოხმარებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება, ქმედითი ბერკეტი ხდება. მაგალითად ფართო მოხმარების საგნებზე (პური, ხორცისა და რძის ნაწარმი, ბავშვის ტანსაცმელი, მედიკამენტები და სხვ.), რომლებიც განსაკუთრებულ საარსებო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, ფასის გადახრა ღირებულებიდან ქვემოთ ასტიმულირებს მათი მოხმარების გაფართოებას. ჩვენთვის ცნობილია კანონი, რომ ღირებულებათა ჯამი უნდა უდრიდეს ფასების ჯამს, ამიტომ აქედან თავისთავად გამოდის, რომ ფართო მოხმარების საქონელზე ფასის გადახრა ღირებულებიდან ქვემოთ ნიშნავს სხვა საქონელზე ფასის გადახრას ღირებულებიდან ზემოთ, ანუ მათი მოხმარების გარკვეულ შეზღუდვას. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ საქონელს, რომელთა მოხმარებაც საზოგადოებრივი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ შეიძლება ჩაითვალოს (სპირტიანი სასმელები, თამბაქო და სხვ.)

ამ ფაქტორის გვერდის ავლა 50-60-იან წლებში კიდევ შეიძლებოდა, რადგან მაშინ მოსახლეობის ცხოვრების დონეზე და პირადი მოხმარების სტრუქტურაზე ასეთი ზემოქმედება შედარებით ნაკლებად ხორციელდებოდა. მაშინ უფრო მეტი იყო საბითუმო ფასების გადახრა ღირებულებიდან ქვემოთ, განსაკუთრებით — წარმოების იარაღებზე, აგრეთვე სხვა წარმოების საშუალებებზე. შემდგომში, სამეურნეო რეფორმამ, რომელიც 1965 წლის სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით დაიწყო, და, კერძოდ, 1967 წლის ფასების რეფორმამ მიუახლოვა საბითუმო ფასები წარმოების დანახარჯების დონეს. მეორე მხრივ, განვლილ პერიოდში შეინიშნება საცალო ფასების გარკვეული ზრდა. ასეთ პირობებში აუცილებელი გახდა, რომ სახელმწიფოს მტკიცედ დაეცვა პირველი მოხმარების საგნებზე ფასების სტაბილურობის კურსი, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში შეემცირებინა კიდევ ისინი. ამიტომ ამ საგნებზე ფასები თანდათან დასცილდა მათზე გაწეული საზოგადოებრივი შრომის დანახარჯებს, გადაიხარა მათგან ქვემოთ. ამრიგად, გამოიკვეთა ფასების სხვადასხვა დონე, რომელთაგან ერთნი გადაიხრებიან ღირებულებიდან ზემოთ, მეორენი ქვემოთ, რაც ხდება პირადი მოხმარების რეგულირების მიზნით.

ჩვენი აზრით, პირადი (მოხმარების რეგულირების ფუნქცია არ ნიშნავს იმას, რომ ფასს თვისებრივად ახალი ფუნქცია გაუჩნდა, რომელიც ფუნქციათა კლასიფიკაციაში ცალკე შეიძლება გამოიყოს. ეს ფუნქცია ფასის მასტიმულირებელი და განმანაწილებელი ფუნქციების შემადგენელი ელემენტია. განსხვავება იმაშია, რომ ფასი აქ ასტიმულირებს არა წარმოებას, არამედ მოხმარებას. როცა ფასი ღირებულებაზე მაღალია, მოხმარების შეზღუდვად განსაზღვრულ უარყოფით სტიმულს იძლევა, ხოლო ფასის მეშვეობით ღირებულების განაწილება ამ შემთხვევაში ხდება მოსახლეობასა და მთელ საზოგადოებას, სახელმწიფოს შორის, განსხვავებით საბითუმო ფასების მეშვეობით ღირებულების განაწილებისაგან, როდესაც განაწილება ხდება სახალხო მეურნეობის დარგებს შორის.

ეს არ გამორიცხავს იმას, რომ პირადი მოხმარების რეგულირების ფუნქცია პრინციპულად ახალია. იგი მხოლოდ გეგმურ ფასს შეიძლება ჰქონდეს. მართალია, სტიქიური სასაქონლო მეურნეობის პირობებშიც ფასი წარმოებისა და მოხმარების კავშირის ამსახველი კატეგორიაა, ფასის ამაღლება ზღუდავს, ხოლო მისი შემცირება ასტიმულირებს მოხმარებას. მაგრამ თავისუფალი კონკურენციის დროს ფასის მერყეობა მოხმარების რეგულირების მიზნით არ ხორციელდება. მოხმარება იქ მაშინ იზღუდება, ანუ საქონელი ძვირი მაშინ ღირს, როცა იგი ძვირი ჯდება, როცა მის წარმოებაზე ბევრი საზოგადოებრივი აუცილებელი შრომა იხარჯება. ხოლო ფასის შემცირებას იქ საბოლოო ანგარიშით, თუ შემთხვევით გადახრებს არ მივიღებთ მხედველობაში, იწვევს მხოლოდ საზოგადოებრივად აუცილებელი დანახარჯების შემცირება. ამ პროცესებს არეგულირებს ღირებულების კანონი, რომელიც სტიქიურად მოქმედებს, განსაზღვრავს წარმოებაში ღირებულების ცვლილებას. თავისუფალი კონკურენციის პირობებში არ შეიძლება არსებობდეს წარმოებით ურთიერთობათა ისეთი სუბიექტი, რომელიც სპეციალურად გადახრის ფასს ღირებულებიდან იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს მოხმარების გაფართოებას ან მის შეზღუდვას.

ასეთი სუბიექტი არ არსებობს იმპერიალიზმის დროსაც. მონოპოლიური ფასები ღირებულებიდან გადახრილია, მონოპოლიები ახერხებენ წარმოების არამონოპოლიზებულ სექტორში ღირებულებაზე დაბალ ფასში შეიძინონ მათ საწარმოებში გამოსაყენებელი წარმოების საშუალებები, ხოლო ღირებულებაზე მაღალ ფასში გაყიდონ წარმოებული საქონელი. ამით ისინი თავიანთი წარმოების განვითარებისათვის, ანუ თავიანთი საწარმოო მოხმარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიან ფასების მეშვეობით ღირებულების განაწილების გზით. მაგრამ მონოპოლიების ასეთი მოქმედება და მისი შედეგი მიმართულია არა მოხმარების რაციონალიზაციისაკენ, არამედ მონოპოლიური მოგების ამაღლებისაკენ, კერძო ინტერესების განხორციელებისაკენ. მართალია, სახელმწიფო ამჟამად აქტიურად იყენებს ფასების რეგულირებასაც, მაგრამ ამ რეგულირების მიზანიც არის არა მოხმარების რაციონალიზაცია, არამედ მონოპოლიათა ინტერესების დაცვა — მათი გამდიდრება, საერთოდ კაპიტალისტური ეკონომიკის „გაჯანსაღება“, ეკონომიკის ანტიკრიზისული რეგულირება. ყოველივე ამით ბურჟუაზიული სახელმწიფო ცდილობს იხსნას კაპიტალისტური წყობილება მოახლოებული კრახისაგან.

როგორც უკვე ითქვა, საწარმოო სფეროში ჩვენს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა წარმოების საშუალებათა საბითუმო ფასის დაწესებას ღირებულება-

ზე დაბალ დონეზე, რითაც დიდხანს სახელმწიფო ასტიმულირებდა ტექნიკურ პროგრესს. 60-იანი წლებიდან საბითუმო ფასებს იმდენად აღარ წაეყენებათ ასეთი მოთხოვნა. სამაგიეროდ წინა პლანზე იწევს საცალო ფასის გადახრა ღირებულებიდან. როგორ უნდა განვითარდეს მომავალში ფასის ეს ფუნქცია, რომელიც მიზნად ისახავს პირადი მოხმარების რეგულირებას? ეს პრობლემა ფრიად აქტუალური ხდება იმასთან დაკავშირებით, რომ პარტია მოგვიწოდებს განუხრელად განვამტკიცოთ სოციალური სამართლიანობის პრინციპი. სკკპ XXVII ყრილობაზე ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა ხაზი გაუსვა, რომ დაჩქარების კურსი „ითვალისწინებს აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის თანმიმდევრულ დამკვიდრებას“¹². ფასს, როგორც წარმოებასა და მოხმარებაზე მოქმედ ბერკეტს, შეუძლია აქტიური როლი ითამაშოს ამ ამოცანის გადაწყვეტაში.

ამავე დროს ამ პრობლემას სამეცნიერო-ეკონომიკურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ ექცევა ის ყურადღება, რომელსაც იგი იმსახურებს. გაზეთ „ლუმანიტეს“ კითხვაზე — კიდევ არის თუ არა რიგები ჩვენს ქვეყანაში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა უბასუხა: „არის განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი საქონლისათვის, რომელზეც მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება.“

ამასთან მინდა დავძინო, რომ ამ პრობლემის გადაჭრის ყველა გზა როდი გვაქვს გახსნილი, თუ თქვენთან, დასავლეთში, რომელიდაც სახეობის საქონელზე მოთხოვნა მიწოდებას აღემატება, საქონელი ძვირდება. ჩვენ ასე არ ვვფრებით ან თითქმის არ ვვფრებით, ყოველ შემთხვევაში, მასობრივ მოთხოვნის საქონელთან დაკავშირებით, ამას შედეგად მოსდევს დეფიციტი...

...ნაკლოვანებანი — და ამას მტკიცედ მოვითხოვთ — კი არ უნდა გავამართლოთ, უნდა გამოვასწოროთ. სწორედ ამისათვის დავიწყეთ ახლა მეურნეობის, ყველა ეკონომიკური მექანიზმის სერიოზული გარდაქმნა“¹³. გარდაქმნა ეხება არა მხოლოდ წარმოებას, არამედ ფასის ზემოქმედებასაც მოხმარების დონესა და სტრუქტურაზე. მაღალხარისხოვან პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდა კანონზომიერია, რადგან მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდასთან დაკავშირებით ადამიანები სულ უფრო მეტად მიისწრაფიან მაღალხარისხოვანი პროდუქციისაკენ, რომლის მოხმარება საპრესტიჟო ხდება.

1985 წ. ნოემბერში თბილისში გამართულ საკავშირო კონფერენციაზე ა. დერიაბინმა წამოაყენა მოსაზრება, რომ ამ პრობლემის გადაჭრა შეიძლება ფასების მკვეთრი დიფერენციაციით პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების შესაბამისად. მისი აზრით, საჭიროა განვსაზღვროთ პროდუქციის ძირითადი სამომხმარებლო თვისებები, ისეთები, როგორცაა, მაგალითად, მანქანისათვის — სიჩქარე, წიგნისათვის — შინაარსი და არა გაფორმება, და ა. შ. ამის მიხედვით დავაწესოთ მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომი ფასი, საქონლის დიდი მასა გამოვუშვათ ამ მოთხოვნების აუცილებელი დაცვით, ხოლო საქონლის ნაწილი გამოვუშვათ ძვირფასად გაფორმებული, რაიმე არამთავარი თვისებებით გაუმჯობესებული, და მასზე დავაწე-

12 მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება სკკპ XXVII ყრილობისადმი, გაზეთი „კომუნისტი“, 26 თებერვალი, 1986 წ. გვ. 4.

13 მ. ს. გორბაჩოვის პასუხი გაზეთ „ლუმანიტეს“ კითხვებზე, გაზ. „კომუნისტი“, 8 თებერვალი, 1986 წ.

სოთ გაცილებით უფრო მაღალი ფასი¹⁴. ალბათ, საჭიროა გარკვეული დრო, რომ ამ შოსაზრების დადებითი ან უარყოფითი მხარეები შევისწავლოთ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი საინტერესოა. მაგალითად, თუ წიგნები ყველა განსაკუთრებული ყდით, განსაკუთრებულად გაფორმებული გამოვეშვით და გავაძვირეთ, ისინი შეიძლება გაიყიდოს, მაგრამ მათი შექმნა მძიმე ტვირთად დაწვება შრომელთა საოჯახო ბიუჯეტს. ხოლო თუ საშუალოდ გაფორმებული წიგნებიც ბევრი გამოვეშვით, მათ იყიდის პირველ რიგში ის, ვისაც წიგნი წასაკითხად უნდა და არა მხოლოდ ბიბლიოთეკის შესავსებად.

ამავე კონფერენციაზე მ. გველესიანმა წამოაყენა დებულება, რომ ერთი და იმავე პროდუქციაზე საჭიროა ორი დონის ფასის დაწესება. ერთი, მაღალი ფასი, გააწონასწორებს მოთხოვნა-მიწოდებას, ხოლო მეორე, დაბალი, შელავათიანი ფასი, რომლითაც საქონელი განაწილდება უშუალოდ. მაგრამ რაოდენობრივი ზღვარი, რომლითაც ავტორის აზრით, ეს საქონელი განაწილდება, უნდა განისაზღვროს არა ყოველი ცალკეული საქონლისათვის, როგორც ეს საბარათო სისტემისათვისაა დამახასიათებელი, არამედ შემდეგნაირად: ყოველმა ჩვენგანმა ხელფასის გარკვეული ნაწილის ფარგლებში აირჩიოს მისთვის საჭირო პროდუქტები შელავათიან ფასში. ამ შემთხვევაში, როგორც ავტორი, ჩვენი აზრით, სამართლიანად მიუთითებს, ფასის ყოველი ამდღებუ კომპენსირებული იქნებოდა შელავათიანი განაწილების გაფართოებით¹⁵.

ამ მოსაზრების გაანალიზებაც გარკვეულ დროს და ადგილს მოითხოვს. აქ ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ასეთი წინადადებები, რომლებიც მოხმარების დონესა და სტრუქტურაზე ფასის ზემოქმედების პრობლემის არსებით გადაწყვეტას ისახავს მიზნად, განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან პრობლემა, ჩვენი აზრით, არ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ წარმოების განვითარებით. როგორ სწრაფადაც არ უნდა განვითაროთ წარმოება, სოციალიზმის ფაზაში მაინც აუცილებელი იქნება ფასის მეშვეობით ცხოვრების დონეზე აქტიური ზემოქმედება. ეს კი ნიშნავს ფასის მიერ მოხმარების ფუნქციის განვითარებას.

რატომ არ შეიძლება, რომ ეს ფუნქცია ცალკე გამოვეყოთ, როგორც ფასის ერთ-ერთი ფუნქცია? ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, დაირღვეოდა პრინციპი, ადგილი ექნებოდა დუბლირებას, რადგან ფასის გადახრა ღირებულებიდან ასტიმულირებს ან ზღუდავს მოხმარებას და ამიტომ იგივე სტიმულირების ფუნქციას წარმოადგენს, ამავე დროს იგი ახდენს აგრეთვე ყოველ ცალკეულ გაცვლით ურთიერთობაში ღირებულების განაწილებას მოხმარებლის სასარგებლოდ ან საზიანოდ. ამრიგად, ჩვენ მივგაჩნია, რომ ფასის სამი ფუნქცია რჩება. ეს ფუნქცია ეკონომიკურ ლიტერატურაში უფრო ხშირად ჩამოყალიბებულია, როგორც: 1. გეგმურ-საალრიცხვო; 2. მასტიმულირებელი; 3. განმანაწილებელი ფუნქციები¹⁶. განვითარება ეხება თვით ამ ფუნქციებს, და არა ახალი ფუნქციების წარმოშობას.

¹⁴ Дерябин А. А., Проблемы совершенствования системы розничных цен. Повышение уровня жизни трудящихся и система розничных цен. (тезисы докладов и выступлений на Всесоюзной научной конференции). М., 1985, с. 9—14.

¹⁵ Гвелеснани М. И., Цены и модель социалистического потребления, в указ. сб., с. 142—144.

¹⁶ Дерябин А. А., Салимжанов И. К., Цена — инструмент управления экономикой, М., 1985, с. 23.

სოციალისტური წარმოების განვითარება და მისი გეგმაზომიერი საფუძვლების ზრდა იწვევს ფასის ფუნქციების განვითარებას არა მხოლოდ იმას, თან დაკავშირებით, რომ ფასმა უფრო მეტი ზემოქმედება მოახდინოს მოხმარების დონესა და სტრუქტურაზე. მანამდე, სანამ ფასი გადაიხრება ღირებულებიდან მოხმარების რეგულირების მიზნით, უნდა განისაზღვროს მისი ის დონე, რომელიც მოთხოვნასა და მიწოდებას გააწონასწორებდა. ამასთან დაკავშირებით სკკპ პროგრამის ახალ რედაქციაში აღნიშნულია, რომ უნდა ვიღვაწოთ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დინამიკური შესაბამისობისათვის¹⁷. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოთხოვნა-მიწოდების გაწონასწორება ფასის განსაკუთრებულ ფუნქციას შეადგენს, როგორც ამას ბევრი ეკონომისტი მიიჩნევს. ამგვარმა მოსაზრებამ განსაკუთრებული გავრცელება პოვა 60-იანი წლიდან, როდესაც გამწვავდა ფასში გადახდისუნარიანი მოთხოვნის ასახვის პრობლემა. კერძოდ, ცნობილი კონცეფციის — ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირების სისტემის წარმომადგენელთა მტკიცებით, „რადგან ფასი უნდა წარმოადგენდეს ხიდს, რომელიც აკავშირებს მწარმოებელსა და მომხმარებელს ერთმანეთთან, ფასის ნორმალურ დონედ უნდა მივიჩნიოთ ის, რომელიც ამყარებს წონასწორობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის“¹⁸.

ასეთ მოსაზრებაში სწორია ის, რომ ფასში უნდა აისახოს მოთხოვნა და მიწოდება, მაგრამ აქედან გამომდინარე არ შეიძლება ვამტკიცოდ, რომ ფასის ცალკე ფუნქცია მათი გაწონასწორებაა¹⁹. ეს ფუნქცია იგულისხმება საზოგადოებრივი შრომის აღრიცხვაში, სტიმულირებასა და განაწილებაში, რომელთაც ფასი ახორციელებს, ამიტომ, ჩვენი აზრით, გეგმურ ფასს აქვს საში და არა ოთხი ფუნქცია, როგორც ამას ბევრი ეკონომისტი ფიქრობს.

ზოგჯერ სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოჩნდება ხოლმე აგრეთვე მოსაზრება, რომ ხალხის კეთილდღეობის ამაღლება გეგმური ფასის ფუნქციაა²⁰. ეს თითქოს ახლოს დგას მოხმარების დონესა და სტრუქტურაზე ფასის ზემოქმედების ფუნქციასთან, მაგრამ როგორც ვნახეთ, ამ ფუნქციის ცალკე გამოყოფა არ არის სწორი. გარდა ამისა, მოტიანილი ფორმულირება საერთოდ არაა სწორი. ფასი ვერ შეასრულებს ამ ფუნქციას, რადგან ფასების ჯამი უნდა უდრიდეს ღირებულების ჯამს და მასზე დაბლა ფასების დაწვევა შეუძლებელია. ა. ევოვი, რომელიც ცდილობს ფართოდ დაასაბუთოს ეს ფუნქცია, რომელიც, ავტორის აზრით, უპირველესია გეგმური ფასისათვის, მასთან ერთად, იქვე ასახელებს კიდევ ექვს ფუნქციას. ესენია: მეორე, ფასი, როგორც სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვის ინსტრუმენტი; მესამე, ფასი, როგორც საზოგადოებრივი შრომის აღრიცხვის საშუალება; მეოთხე, ფასი, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მასტიმულირებე-

¹⁷ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა ვაშ. „კომუნისტი“, 7 მარტი, 1986 წ. გვ. 5.

¹⁸ Петраков Н. Я., Управление экономикой и экономические интересы. «Новый мир», 1970, № 8, с. 180.

¹⁹ Шехет Н. И., Плановая цена в системе экономических категорий социализма. М., 1972, с. 168—169, Плотников К. Н., Гусаров А. С., Методика и практика ценообразования. М., 1975, с. 10, Ежов А. Н., Экономический механизм планового управления ценами при социализме. М., 1981, с. 105.

²⁰ Малафеев А. Н. Актуальные вопросы ценообразования в СССР. М., 1974, с. 22, Ежов А. Н., Указ. монография, с. 117.

ლი; მეხუთე, ფასი, როგორც ეროვნული შემოსავლის, ფულადი და შრომითი რესურსების განაწილებისა და გადანაწილების საშუალება; მეექვსე, ფასი, როგორც წარმოებისა და მოხმარების, მშრომელთა შემოსავლებისა და გასავლების დაბალანსების იარაღი; მეშვიდე, ფასი, როგორც საზოგადოებრივი შრომის გამოყენებაზე კონტროლის საშუალება. ჩვენი აზრით, ფუნქციების ასეთი დაყოფა ზედმეტია. ფასი, როგორც სახალხომეურნეობრივი დაგეგმვის ინსტრუმენტი, არსებითად წარმოადგენს საზოგადოებრივი შრომის გეგმიანი აღრიცხვის საშუალებას, თუმცა ეს შრომა ჯერ დახარჯული არაა და გეგმითაა გათვალისწინებული. რაც შეეხება ბოლო ფუნქციას, იგი ამავე (აღრიცხვის) ფუნქციისაგან ხელოვნურად არის გამოყოფილი.

ასევე ზედმეტია, ჩვენი აზრით, ზოგიერთი პუნქტი დ. იაკობიძის მიერ მოცემულ ფასის ფუნქციათა კლასიფიკაციაში. კერძოდ, ავტორი ჩამოთვლის ასეთ ფუნქციებს: — ფასი როგორც საზოგადოებრივი შრომის დანახარჯებისა და შედეგების გაზომვის საშუალება;

— ფასი როგორც წარმოების საშუალებათა და კონკრეტული შრომითი საქმიანობის ცალკეულ სახეობათა ეფექტიანობის განსაზღვრის საშუალება;

— ფასი როგორც ინდივიდუალური კვლავწარმოების ობიექტურ ეკონომიკურ პირობათა გამოთანაბრების საშუალება;

— ფასი როგორც ეროვნული შემოსავლის განაწილებისა და გადანაწილების საშუალება;

— ფასი როგორც მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის მიღწევის საშუალება²¹.

ჩვენ არ შევჩერდებით იმ საკითხზე, საჭიროა თუ არა პირველ ფუნქციაში შედეგების გაზომვის აღნიშვნა. მეორე ფუნქცია კი, ჩვენი აზრით, არის შედეგებისა და დანახარჯების მიმართება და ეს ფუნქცია ზედმეტად მიგვაჩნია. რაც შეეხება მესამე ფუნქციას, გეგმური ფასი მიწოდებულია გამოთანაბროს სხვადასხვა საწარმოო ინდივიდუალური კვლავწარმოების პირობები, მაგრამ არის თუ არა ეს ცალკე ფუნქცია? პირობების გამოთანაბრება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სტიმულირებას, რომელიც არ არის მოტიანი კლასიფიკაციაში, სტიმულირება კი, რომელიც გეგმიანად, გონივრულად წარმართება გულისხმობს საწარმოთათვის კვლავწარმოების თანაბარი პირობების შექმნას. პირობების გამოთანაბრება შეუძლებელია აგრეთვე, თუ არ გადანაწილდება ღირებულება სხვადასხვა საწარმოებს შორის.

ყოველივე ზემოთქმული იმას გვიჩვენებს, რომ სოციალისტური მეურნეობრიობის განვითარება იწვევს ფასის ფუნქციების განვითარებასაც, და ეს პროცესი ასახვას პოულობს ეკონომიკურ ლიტერატურაში დამატებითი ფუნქციების ჩამოყალიბების სახით (ცხოვრების დონის ამაღლების ფუნქცია, კვლავწარმოების პირობების გამოთანაბრების ფუნქცია). სინამდვილეში კი ცალკე ფუნქციების ჩამოყალიბება კი არ ხდება, არამედ იმავე ფუნქციების განვითარება, ვარაქმნა გეგმური მეურნეობის ახალი პირობებისათვის.

²¹ Якобидзе Д. А., Содержание и механизм функционирования плановой цены. В сб.: «Повышение уровня жизни...», с. 39—40.

დ. ი. არბოლიშვილი

ФУНКЦИИ ЦЕНЫ И ИХ РАЗВИТИЕ ПРИ СОЦИАЛИЗМЕ

Резюме

В свете решений XXVII съезда КПСС анализируются новые экономические процессы, вызывающие развитие функций плановой цены, особенно ее воздействие на уровень и структуру потребления. Рассмотрены условия социализма, порождающие эту новую функцию цены. Обосновывается, что это не означает изменение классификаций функции цен, распространенных в нашей научно-экономической литературе. Критически рассматриваются классификации, предложенные отдельными учеными.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონო-
მიის განყოფილებამ

დურსუნ დინასამიძე

 მიწის გამოყენების ეფექტიანობა საქართველოს სსრ მიწის
რაიონებში აგროსამართლებლო ინტეგრაციის პირობებში

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მიწის გამოყენების გაუმჯობესება, რამდენადაც მიწა სოფლის მეურნეობაში წარმოების მთავარი საშუალებაა.

თუ როგორია მიწის გამოყენების მაჩვენებლები საქართველოს სსრ-ში და როგორი ცვლილებები განიცადა მან 1965 წლის შემდეგ ჩანს ცხრილიდან (იხ. ცხრილი 1).

როგორც ვხედავთ 1965-1983 წლებში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია თითქმის ორჯერ გაიზარდა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი მხოლოდ 12,8%-ით, ამის შედეგად ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე წარმოებული მთლიანი პროდუქციის ღირებულება გაიზარდა 72,4 %-ით. მიწის ფართობის ერთეულზე პროდუქციის გამოსავლიანობის ასეთი ზრდა დაკავშირებული იყო დიდ კაპიტალდაბანდებასთან, რაც ბოლო ხანებში სოფლის მეურნეობაში განხორციელდა. თუ 1965 წელს სახელმწიფო და კოლმეურნეობათა კაპიტალდაბანდება სოფლის მეურნეობაში შეადგენდა 178 მლნ მანეთს, 1983 წელს იგი 511 მლნ მანეთს უდრიდა, ანუ თითქმის სამჯერ მეტს. შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის მეურნეობაში შრომის ფონდშეიარაღებისა და ფონდუზრუნველყოფის დონე.

ცხრილი 1

მიწის გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებლები საქართველოს სსრ
სოფლის მეურნეობაში¹ (%-ით)

წლები	ზრდის ტემპები (%-ით)				
	სოფ. მეურნ. მთლიანი პროდუქცია (1973 წ. დასებით)	სას. სამ. სავარგულები	მოდის ერთ ჰა სავარგ. სოფ. მეურ. მთლიანი პროდუქცია	შრომის ფონდშეიარაღება	ფონდუზრუნველყოფა
1965	100	100	100	100	100
1970	128,6	107,5	119,6	139	134
1975	149,4	110,9	134,6	186	188
1980	183,6	112,2	163,6	273	261
1981	194,6	112,4	173,1	302	263
1982	186,5	114,2	163,2	305	266
1983	194,5	112,8	172,4	306	270

¹ Народное хозяйство Грузинской ССР в 1983 году. Тб. 1984, с. 85, 90.

პირველი აღნიშნულ პერიოდში სამჭერ და მეტად გაიზარდა, ხოლო მეორე — 2,7-ჯერ, ანუ, უფრო მეტად ვიდრე პროდუქციის გამოსავლიანობა ფართობის ერთეულზე, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, პროდუქციის გამოსავლიანობის ზრდა საეარგულების ერთეულზე ამავე დროს ხასიათდებოდა პროდუქციის ფონდტევადობის კიდევ უფრო მეტი ზრდით. უნდა მივალწიოთ იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია იყოს არა ფონდტევადი, არამედ ფონდდამზოგველი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ ფართობის (საეარგულების) ერთეულზე მთლიანი პროდუქციის მაჩვენებელი საზოგადოებრივ სექტორში ჯერ კიდევ დაბალია. 1983 წლის მონაცემებით კოლმეურნეობებში ეს მაჩვენებელი უდრიდა 427 მანეთს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში 375 მანეთს. ამ მაჩვენებელზე გარკვეულ გავლენას ახდენს ის, რომ საზოგადოებრივი სექტორის საეარგულებში დიდი ხვედრი წონა უკავია ისეთ შედარებით დაბალ პროდუქტიულ საეარგულებს, როგორცაა სათიბები და განსაკუთრებით საძოვრები, მაშინ როდესაც მოსახლეობათა მეურნეობებში მათი ხვედრიწონა ძალზე მცირეა, ხოლო შესაბამისად მეტია მრავალწლიანი ნარგავების ხვედრიწონა.

თუ კოლმეურნეობათა ცალკეულ ჯგუფებს განვიხილავთ ფართობის ერთეულზე მიღებული შემოსავლების მიხედვით, ასეთ სურათს მივიღებთ:

ცხრილი 2

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა დაჯგუფება 100 ჰექტარ სახნავზე მიღებული მთლიანი შემოსავლის ოდენობის მიხედვით² (%-ით)

	1975	1980	1981	1982	1983
ყველა კოლმეურნეობა	100	100	100	100	100
მათ შორის:					
რომელთაც 100 ჰა სახნავზე აქვთ მთლიანი შემოსავალი					
5 ათას მან-მდე	0,4	0,1	0,9	1,6	10,2
5-დან 10-მდე	0,7	—	2,2	2,3	2,0
10-დან—15-მდე	1,4	0,1	1,0	2,0	1,3
15-დან—20-მდე	2,1	1,0	0,4	2,8	1,2
20-დან—30-მდე	2,9	3,0	6,7	3,9	1,0
30-დან—40-მდე	11,7	3,5	5,2	4,1	1,9
40-ზე მეტი	80,1	90,5	82,2	83,2	82,3
რომელთაც არ აქვთ მთლიანი შემოსავალი	10,7	0,4	0,1	0,1	—

როგორც ვხედავთ, ფართობის ერთეულზე მცირე შემოსავლიან კოლმეურნეობათა ხვედრიწონა (რომელთაც ერთ ჰექტარ სახნავზე აქვთ შემოსავალი 5 ათას მან-მდე და 5 ათასიდან 10 ათას მანეთამდე) გაიზარდა 1,1 %-დან 12,2 %-მდე კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობის მიმართ. შემცირდა ისეთ კოლმეურნეობათა ხვედრიწონა, რომლებიც ერთ ჰექტარზე ღებულობენ მთლიან შემოსავალს 10 ათასი მანეთიდან 40 ათას მანეთამდე — 18,1 %-დან 5,5 %-მდე. გაიზარდა ისეთ კოლმეურნეობათა ხვედრიწონა, რომელთა შემოსავალი ერთ ჰექტარ სახნავზე 40 ათას მანეთს აღემატება 80,1 %-დან

2 იქვე, გვ. 106.



82,3 %-მდე და 1983 წლიდან უკვე აღარა გვყავს ისეთი კოლმეურნეობები, რომელთაც მთლიანი შემოსავალი არ გააჩნიათ. ასეთ მეურნეობათა რიცხვი 1975 წელს იყო 0,7 % ანუ 6 კოლმეურნეობა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ კოლმეურნეობებს, რომელთა შემოსავალი ჰექტარზე 40 ათას მანეთს აღემატება, დანარჩენი კატეგორიის მეურნეობებში მაჩვენებლები 1975-1983 წლებში რამდენადმე გაუარესებულა, ვინაიდან მნიშვნელოვნად გაზარდილია დაბალშემოსავლიან მეურნეობათა რიცხვი და, პირიქით, საგრძნობლად შემცირებულია შედარებით მაღალშემოსავლიან მეურნეობათა რიცხვი. მაგრამ საერთოდ რესპუბლიკაში შემოსავლიანობა იზრდება ვინაიდან ისეთ კოლმეურნეობათა რიცხვი, რომელნიც ერთ ჰექტარ სახნავზე მაღალ შემოსავალს — 40 ათას მანეთზე მეტს ღებულობენ არის კოლმეურნეობათა მთელი რაოდენობის ოთხ მეხუთედზე მეტი და ამდენად ისინი განმსაზღვრელ გავლენას ახდენენ კოლმეურნეობათა მთელი რაოდენობის საშუალო მაჩვენებელზე. მართლაც 1975-1983 წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მთლიანად შემოსავალი ერთ ჰექტარ სახნავზე 242 მან-დან 458 მანეთამდე ანუ 89,2 %-ით გაიზარდა*.

საქართველო მთიანი რესპუბლიკაა. მთებს მისი ტერიტორიის 53,6 % უკავია, მთისწინებს — 33,4 %, ხოლო ვაკეს — მხოლოდ 13 %. მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი (52,6 %) მდებარეობს ზღვის დონიდან 1000 მ. ზევით. ეს განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაბალ ხვედრწილს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაში (45,7 %), ამიტომ მიწის რაციონალური გამოყენება ჩვენი რესპუბლიკის პირობებში მეტად აქტუალური საკითხია. საქართველოს სსრ-ში ერთ მცხოვრებზე მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 4-ჯერ ნაკლები და სახნავი მიწების 5-ჯერ ნაკლები ოდენობა, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში. თავისებურია სავარგულების სტრუქტურაც, მასში სახნავ მიწებზე მოდის 21,3 %, მაშინ როცა კავშირის მასშტაბით ეს მაჩვენებელი უდრის 40,7 %, მოლდავეთის სსრ-ში 69,2 %, უკრაინის სსრ-ში 81,4 % და ა. შ.

მიწით უზრუნველყოფის დონის მიხედვით საქართველოს უკავია ერთ-ერთი ბოლო ადგილი მოქმე რესპუბლიკებში. იგი რამდენადმე წინ უსწრებს მხოლოდ სომხეთის სსრ-ს, ხოლო სახნავით უზრუნველყოფის მხრივ მასაც ჩამორჩება. ჩვენთან მოსახლეობის ერთ სულზე მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები 0,16 ჰა და სახნავი მიწები 0,15 ჰა.

მიწის ნაკლებობა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არაბელსაყრელი სტრუქტურა გარკვეულწილად კომპენსირდება მისი უფრო ინტენსიური გამოყენებით, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ისეთი კულტურების მაღალი ხვედრი წილით, როგორცაა ჩაი, ყურძენი, ხილი, ციტრუსები, თამბაქო, ეთერზეთები.

მრავალწლიანი ნარგავების ხვედრიწონა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში შეადგენს 12 %, ხოლო მთლიანად ქვეყნის მიხედვით ერთ პროცენტზე ნაკლებია (0,9 %). რადგანაც მრავალწლიანი ნარგავების პროდუქცია უფრო ძვირია, ამიტომ მთლიანი პროდუქციის ღირებულების

* აქ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოებაც, რომ მთლიანი შემოსავალი გაიანგარიშება ფაქტური ფასებით და ამდენად ფასების ზრდამაც მოახდინა მასზე გავლენა.

გამოსავლიანობის მაჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 1 ჰექტარზე რესპუბლიკაში მაღალია და შეადგენს 662 მანეთს, ე. ი. თითქმის 3-ჯერ მეტს, ვიდრე მთლიანად კავშირის მიხედვით (229 მან), მაგრამ ამისდა მიუხედავად მოსახლეობის ერთ სულზე პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი რესპუბლიკაში ჩამორჩება საერთო საკავშიროს დაახლოებით 10-12 %-ით. ამ ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 1 ჰექტარზე წარმოებული იქნას არა 3-ჯერ, არამედ 4-5-ჯერ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. მიწათმოქმედების სტრუქტურის გაუმჯობესება; მისი სპეციალიზაციის გაღრმავება მრავალწლიანი ნარგავების უფრო ინტენსიური ზრდის ხარჯზე, რაც გათვალისწინებულია პერსპექტივაში, იძლევა საფუძველს აღნიშნული ამოცანის გადაჭრისათვის.

მიწის უფრო ეფექტური გამოყენების აუცილებლობა საერთოდ ნაკარნახევია ისეთი გარემოებებით, როგორცაა ქალაქების და დასახლებული პუნქტების ზრდა, რაც ამცირებს სახნავ ფართობს, ხდება აგრეთვე სოფლის მეურნეობისათვის ძვირფასი მიწების გაუვარგისება უარყოფითი ბუნებრივი და სამეურნეო ფაქტორების მოქმედების შედეგად. 1960 წელთან შედარებით სახნავის ფართობი ერთ მცხოვრებზე შემცირდა ქვეყნის მასშტაბით 20 %-ით, ხოლო რესპუბლიკაში — 37,5 %-ით.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოითიშა 557 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რაც გამოყენებული იყო არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის, მინდორსაცავი ტყის ზოლის დასარგავად, შიდასამეურნეო მშენებლობისათვის, მიწის სამელიორაციოდ მომზადებისათვის, მიწის ნაწილი გამოვიდა ბრუნვიდან ეროზიული პროცესების გამო და ა. შ. მაგრამ ამავე დროს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩაერთო ახალი მიწები, რის გამოც სავარგულების საერთო ფართობი იზრდება. მაგრამ ფართობის ზრდის საშუალება სულ უფრო მცირდება, რაც დღის წესრიგში მწვავედ აყენებს მიწის უფრო ინტენსიური გამოყენების საკითხს.

თუ რამდენად ინტენსიურად გამოიყენებოდა მიწა ვასულ წლებში, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: 1965 წელთან შედარებით დამუშავებაში მყოფი მიწის ფართობი (სახნავი და მრავალწლიანი ნარგავები) გაიზარდა უმნიშვნელოდ, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია ამ პერიოდში გაორკეცდა.

მიწის პროდუქტიულობის გადიდებას ხელი შეუწყო კაპიტალურ დაბანდებათა სწრაფმა ზრდამ. ამის შედეგად მნიშვნელოვანწილად აიწია სოფლის მეურნეობის ფონდტურნველყოფის დონემ და განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

მაგრამ, როგორც მონაცემთა ანალიზი გვიჩვენებს, კაპიტალდებათა და ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდამ გაუსწრო მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპს, ე. ი. მიწის გამოყენების ეფექტურობას მოცემულ პერიოდში თან სდევდა პროდუქციის ფონდტევადობის ზრდა დაახლოებით 53 %-ით (1,7 მანეთიდან 2,6 მანეთამდე).

მაგრამ როგორც ცნობილია, პროდუქციის ფონდტევადობის ზრდა არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც მუდმივი კანონზომიერების გამოვლენა, ეს დროებითი მოვლენაა, რომელიც დაკავშირებულია დაბანდებათა სწრაფ

ზრდასთან სოფლის მეურნეობაში, რაც ბუნებრივია დაუყოვნებლივ ვერ მოგვცემს უკუგებას.

ამჟამად სოფლის მეურნეობაში სჭარბობს გაფართოებული კვლავწარმოების ფონდტევადი პროცესი. იგი შეიძლება ვაგრძელდეს უახლოეს მომავალშიც. მაგრამ ამავე დროს ამ პროცესს თან ახლავს შრომის ნაყოფიერების ზრდა, რაც საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტურობის საერთო დონეს.

საქართველო ხასიათდება ბუნებრივი და სამეურნეო პირობების დიდი მრავალფეროვნებით. მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა განსაზღვრავს რესპუბლიკის შედარებით მცირე ტერიტორიაზე წარმოების პირობების დიდ სხვადასხვაობას.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სოფლის მეურნეობის საწარმომო სპეციალიზაციის 13 ზონიდან და 11 ქვეზონიდან, რელიეფის ხასიათის, ვაისომეტრული და იზოთერმული თვისებების და სხვა მაჩვენებლების მიხედვით 4 ზონა და 3 ქვეზონა წარმოადგენს ტიპურ მთიან რაიონებს. ეს ზონები და ქვეზონები განლაგებულია რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში — დიდი კავკასიონის კალთებსა და სამხრეთ ნაწილში — მცირე კავკასიონის რაიონში. ყველა ამ ზონასა და ქვეზონაში სოფლის მეურნეობის მთავარ დარგს წარმოადგენს მეცხოველეობა, დამატებითს კი კონკრეტული პირობების მიხედვით — მეთამბაქოეობა, მეკარტოფილეობა ან მეხილეობა.

იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთიანია, ჩვენ არ ვაგვაჩნია საერთო აზრი, საერთო კრიტერიუმი მთიანი და დაბლობი რაიონების გამიჯვნისათვის. ისტორიულად მთას ვაკისაგან გამოყოფდნენ ძირითადად ვენახის განლაგების სიმაღლის მიხედვით, სხვანი განსაზღვრავენ მას წმინდა ვაისომეტრული თვისების მიხედვით და მთად თვლიან ტერიტორიის იმ ნაწილს, რომელიც ზღვის დონიდან 800-1000 მ და უფრო ზევითაა განლაგებული, ზოგიერთი ავტორი ამას არ ეთანხმება და არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს აგრეთვე რელიეფის ფორმას, ტერიტორიის დანაწევრებას და დაქანებას. ამის არგუმენტად მოჰყავს ის, რომ საქართველოში ქართლის დაბლობი, ანდა სომხეთში არარატის დაბლობი, რომლებიც განლაგებულია ზღვის დონიდან 800-1000 მ, არ ითვლება მთიან ტერიტორიად მათი სწორი რელიეფის გამო. როგორც წესი, როდესაც მთიან ტერიტორიას გამოჰყოფენ დაბლობისაგან გამოყოფის ერთეულად იღებენ ადმინისტრაციულ რაიონს. მაგრამ, ხშირად იგი მოიცავს როგორც მთიან ისე ვაკე ტერიტორიას, რაც იწვევს შეუთანხმებლობას მთიანი რეგიონის განსაზღვრისას. ასე მაგალითად, რესპუბლიკის 69 სოფლის ადმინისტრაციული რაიონიდან მკვლევართა ნაწილი მთიან ზონაში აერთიანებს 17 რაიონს, სხვანი — 21, მესამენი — 25, მეოთხენი 28 და ა. შ.

რამდენადაც ახლა მთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემა მეტად აქტუალურია, მეტადრე საბჭოთა კავშირის მთიანი რეგიონებისათვის, როგორცაა ურალი, ალტაის მხარე, შუა აზია, მოლდავეთი, ყირიმი, ამიერკავკასია, ჩრდილო კავკასია, ამიტომ მთიანი ზონის და მთის მიწათმოქმედების საზღვრების სწორ განსაზღვრას გააჩნია არა მარტო მეცნიერული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

როგორც ვთქვით ზემოთ, რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურაში დაბალია სახნავი ფართობის წილი, შედარებით დიდი

წილი მოდის სათიბებზე და უფრო კი საძოვრებზე, კერძოდ მათ წილად მოდის მთელი სავარგულების 65,6%. ამ მაჩვენებლის მიხედვით მხოლოდ შუა აზიის რესპუბლიკებს გააჩნიათ უფრო მაღალი ხვედრი წილი. იქ სათიბები და საძოვრები შეადგენენ სავარგულების 80 %-ს.

ასეთი სტრუქტურა განსაზღვრულია რესპუბლიკის მთიანი რელიეფით. მთიან რაიონებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულები თითქმის მთლიანად წარმოდგენილია ალპური და სუბალპური საძოვრებით, რომლებიც განლაგებულია დიდი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, მაგალითად, დუშეთის რაიონში სათიბები და საძოვრები შეადგენენ სავარგულების 93,1 %, ონის რაიონში 97,6 %, მესტიის რაიონში — 98,9 %, ყაზბეგის რაიონში — მთელ 100 %-ს.

უქანასკნელ წლებში რესპუბლიკაში საძოვრების ფართობი იზრდება, მაგრამ ამის მიუხედავად მეცხოველეობის საკვები ბაზის პრობლემა ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი რჩება. ეს შეიძლება იმით, აიხსნას, რომ საძოვრების უდიდესი ნაწილი (70 %-მდე) მაღალმთიანი საზაფხულო მდელოებია, რომლებიც წლის მცირე მონაკვეთში გამოიყენება, ამასთან ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება მათი პროდუქტიულობის ზრდის ღონისძიებებს. მაგალითად ზაფხულის და ზამთრის საძოვრების 1 ჰექტარიდან მოძოვილი მასის საშუალო გამოსავლიანობა შეადგენს 6-7 ცენტნერს, ხოლო სათიბების საშუალო მოსავლიანობა უდრის 13-15 ცენტნერს.

მთიანი რაიონების მიწის ფონდის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლია მიწების მცირე კონტურიანობა, ტერიტორიათა დანაწევრება და დაქანება, რაც ამცირებს ტექნიკის გამოყენების ეფექტურობას. ეს, თავის მხრივ, სამუშაო ძალის ნაკლებობის პირობებში იწვევს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გაჭიანურებას, მოსავლის დანაკარგებს, ზოგჯერ კი სავარგულების გაუვარდისებასაც. სავარგულების მცირე კონტურიანობაზე წარმოდგენას გვაძლევს ასეთი მონაცემები: მაღალმთიან ონის რაიონში სახნავი მიწის 3078 ჰა შესდგება 4005 კონტურისაგან, ორჯონიკიძის რაიონში 3727 ჰა 5257 კონტურისაგან ე. ი. თითოეული ნაკვეთი შეადგენს 1 ჰექტარზე ნაკლებს.

რესპუბლიკის მთიანი რეგიონების უმეტესი ნაწილის კლიმატური პირობები გამორიცხავენ ან უკიდურესად ზღუდავენ ინტენსიური მრავალწლიანი და მით უმეტეს სუბტროპიკული კულტურების გაშენებას, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი რენტაბელობით. მთიანი ზოლის წილად (28 რაიონიდან გამომდინარე) მოდის რესპუბლიკის მრავალწლიანი ნარგავების მთელი ფართობის მხოლოდ 13%. ძირითადად ეს ხილის ნარგავებია. მრავალწლიანი ნარგავების სიმცირე წარმოადგენს მთიან რეგიონში მიწის დაბალეფექტური გამოყენების ერთ-ერთ მიზეზს. ამავე დროს მრავალწლიანი ნარგავების გაზრდის ყველა შესაძლებლობა მიწის ტრასების გზით არაა სათანადოდ გამოყენებული.

მთიანი რაიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების საწარმოო პოტენციალის გამოყენების დონეზე წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი განმარტავებული მონაცემები: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მხრივ მთიანი ზონის ხვედრი წონა რესპუბლიკაში შეადგენს 45,2 %-ს, შრომითი რესურსების მხრივ — 31,3 %-ს, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების მხრივ — 20 %-ზე ნაკლებს. ე. ი. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების

³ Проблемы социально-экономического развития горных районов, Ереван, 1985 г. с. 14.

თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ მთიან რაიონებში ღებულობენ 2,3-ჯერ, ხოლო შრომითი რესურსების ერთეულზე 36 %-ით ნაკლებ მთლიან პროდუქციას, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში.

მთიან რაიონებს უკავიათ რესპუბლიკის მთელი სათიბებისა და საძოვრების 55,8 %, ხოლო აწარმოებენ მეცხოველეობის პროდუქციის 27,1 %-ს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ამ რაიონების ბუნებრივი და სამეურნეო პირობები ხელსაყრელია მხოლოდ სამთო მეცხოველეობის განვითარებისათვის ძირითადად ბუნებრივი საკვები რესურსების ბაზაზე, ამიტომ არ ხასიათდება მაღალი პროდუქტიულობით.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჩვენი მცირემიწიანი რესპუბლიკისათვის გააჩნია სსრკ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 ივნისის დადგენილებას „სახელმწიფო მიწის კადასტრის ჩატარების წესის შესახებ“, იგი ემსახურება მიწის უფრო ეფექტური გამოყენების, მისი დაცვის, დაგეგმვის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის მიზნებს.

აღნიშნული დადგენილების რეალიზაციის მიზნით საქართველოს სსრ მიწათმოყვობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა დაამთავრა მიწების საკადასტრო შეფასება ერთიანი საკავშირო მეთოდის საფუძველზე და მოგვცა ნაკვეთებისა და კონტურების მიხედვით მიწების დეტალური დახასიათება და მათი ბალური შეფასება. ამით შეიქმნა მიწების უფრო რაციონალური და მაღალეფექტური გამოყენების რეალური შესაძლებლობა.

შესაბამისი მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ მთიან რაიონებში სახნავის ფაქტორი გამოყენების მაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე მათი საკადასტრო შეფასებანი, ასე მაგალითად, რესპუბლიკაში სახნავის ეკონომიკური შეფასების საშუალო მაჩვენებელი (100 ბალიანი სკალის მიხედვით) შეადგენს 71 ბალს, ხოლო მთიან ზონაში — 66, ე. ი. სხვაობა არ არის დიდი. 1983 წლის მიმდინარე ანგარიშგებების მონაცემების მიხედვით კი 100 ჰექტარ სახნავზე საშუალოდ რესპუბლიკაში იწარმოებოდა მემცენარეობის პროდუქცია 45,7 %-ით მეტი ვიდრე მთიან რაიონებში. ეს მიუთითებს იმაზე რომ სახნავის პროდუქტიულობის ზრდის რეზერვები ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული სრულად.

ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია მთის მიწათმოქმედების ტექნიკური შეიარაღების პრობლემა. ფონდურუნველყოფის მიხედვით მთის რეგიონები ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურ დონეს დაახლოებით 2-3-ჯერ. მაგრამ ძირითადი მაინც ის არის, რომ მთიანი რაიონების ტექნიკური აღჭურვის ზრდასთან ერთად უფრო მწვავედ დგება მთის მიწათმოქმედების სპეციფიკურ პირობებში ტექნიკის გამოყენების საკითხი. არსებული ტექნიკა ყოველთვის არ შეესაბამება მთის მეურნეობის მოთხოვნებს და რეგიონის ეკოლოგიურ პირობებს.

მანქანების და მექანიზმების გამოყენების შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ტერიტორიის დაქანება. მაგალითად, ჯავის რაიონში 15 და მეტი გრადუსით დაქანებული სახნავის ფართობი შეადგენს მთელი ტერიტორიის 46 %, ეს მაჩვენებელი მრავალწლიანი ნარგავებისათვის შეადგენს — 37,7 %, სათიბისათვის — 87,2 %, საძოვრებისათვის — 96,1 %. ასეთივე მდგომარეობაა სხვა მაღალმთიან რაიონებში.

სერიული წარმოების მანქანები ყოველთვის არ არიან მომარჯვებულნი ფერდობებზე მუშაობისათვის, რაც განაპირობებს ეროზიული მოვლენების

განვითარებას. მცირე კონტურიანი და ძლიერ დაქანებული მიწების დამუშავებისათვის აუცილებელია შენარჩუნებული იქნას ცოცხალი გამწვევი ძალა მანამდე, ვიდრე არ გადაწყდება მცირე მექანიზაციის მანქანების, უნივერსალური სამთო ტექნიკის მასიური წარმოების საკითხი.

მთიან რაიონებში რესპუბლიკის მიწის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა კომპლექსში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფერდობების ტერასირებას. ეს, ერთის მხრივ, გააფართოებს სახნავ ფართობებს მთიან რაიონებში, მეორეს მხრივ, თავიდან აგვაცილებს ეროზიულ პროცესებს.

საქართველოს სსრ-ში უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ტერასები გაკეთდა 13500 ჰექტარზე, აქედან ციტრუსებისათვის — 6992 ჰა-ზე, ხეხილისათვის — 2035 ჰა-ზე, ტუნგოს ნარგავებისათვის — 1073 ჰა-ზე, ჩაის პლანტაციებისათვის 140-ჰა-ზე და ა. შ. სამწუხაროდ არა გვაქვს ტერასების ეკონომიკური ეფექტურობის განსაზღვრის მეთოდიკა ისეთი მომენტების გათვალისწინებით, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ახალი, ადრე გამოუყენებელი მიწების ჩართვა და ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვა.

ჩვენს რესპუბლიკაში ტერასული მეურნეობა ჯერ არ არის სათანადოდ განვითარებული⁴. XII ხუთწლედში გათვალისწინებულია უფრო მეტის გაკეთება. ამ საქმეს მოემსახურება სპეციალური მანქანები და აგრეგატები, შექმნილი ქართველი კონსტრუქტორებისა და ტექნოლოგების მიერ, რომლებიც ითვალისწინებენ რესპუბლიკის სპეციფიკურ პირობებს.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტურობის ზრდის აუცილებელ პირობას წარმოადგენს აგროსამრეწველო ინტეგრაცია. რესპუბლიკის 1982 წლის დარგთაშორისი ბალანსის მონაცემების მიხედვით სოფლის მეურნეობის ზვედრიწონა აგროსამრეწველო კომპლექსში საბოლოო პროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით (დიფერენცირებული რენტის გათვალისწინებით), შეადგენს 68,1 %-ს, მრეწველობისა კი (როგორც ფონდწარმოქმნელი ისე გადამამუშავებელი) — 24,3 %-ს, ასეთი შეთანაწყობა ლაბარაკობს იმაზე რომ ის ჯერ კიდევ განვითარებისა და ფორმირების პროცესში იმყოფება. ეს პროცესი შედარებით ნელა მიმდინარეობს მთის რაიონებში. ეს ჩანს იქედან, რომ მთის რაიონებზე მოდის რესპუბლიკის მთელი მრეწველობის მთლიანი პროდუქციის ღირებულების 7,2%. (მეურნეობათა დამხმარე საწარმოების ჩათვლით) სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ერთ მანეთზე რესპუბლიკაში მოდის სამრეწველო პროდუქტია 8,69 მანეთის, მთიან რაიონებში — 3,12 მანეთის. მრეწველობისა და მთელი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების არასაკმარისი ტემპები უარყოფითად მოქმედებენ ამ რეგიონში არსებული მიწის რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებაზე და წარმოადგენენ მთიანი რაიონებიდან მოსახლეობის მიგრაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, უფრო მეტად კი ახალგაზრდობისა, რომელნიც შეზღუდული არიან პროფესიის არჩევის მხრივ.

მიწის გამოყენების ეფექტიანობის ზრდის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია, მაგრამ მეურ-

⁴ მოლდავეთში ათვისებულია 80 ათ. ჰა დაფერდებული მიწები ვენახებისა და ბაღებისათვის. ადრე მიტოვებული მიწები ახლა იძლევიან 1 ჰექტარზე 1,5 ათას მანეთ წმინდა შემოსავალს.

ნეობის ინტენსიური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ეკონომიკური ბერკეტების და სტიმულების ეფექტურ გამოყენებას მეურნეობრიობის ობიექტური პირობების რეგულირებისათვის, რენტული შემოსავლების გადანაწილების სისტემის სრულყოფისათვის მთიანი რაიონებისათვის უკეთესი პირობების უზრუნველყოფის მიზნით.

რენტული შემოსავლების ამოღების ფუნქციას ასრულებენ შესყიდვის ფასები ზონალური და ზოგიერთ შემთხვევაში, შიდაზონალური დიფერენციაციის საფუძველზე, მაგრამ ჩვეულებრივად ზონები წარმოადგენენ მსხვილ რეგიონებს, როგორც წესი რესპუბლიკებს, მხარეებს, ოლქებს და ა. შ., სადაც მეურნეობის პირობები, განსაკუთრებით მთიან რესპუბლიკებში ერთნაირი არ არის. ამასთან ზონალური ფასები წესდება წარმოების საშუალოდარგობრივი და საშუალოზონალური პირობების გათვალისწინებით. ამ ტრადიციამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ფასწარმოქმნის პრაქტიკაში, რაც უზრუნველყოფს საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს იმ მეურნეობებისათვის, რომლებსაც აქვთ უკეთესი პირობები და პირიქით ქმნის არახელსაყრელ პირობებს წარმოების უარესი პირობების მქონე მეურნეობებისათვის. ამის გამო მთიან და დაბლობ რაიონებს შორის განსხვავება ისეთი მაჩვენებლების მიხედვით, როგორცაა მთლიანი და წმინდა შემოსავალი, ძირითადი ფონდების ოდენობა ფართობის ერთეულზე კი არ მცირდება, პირიქით, ზოგჯერ იზრდება კიდევ.

ზოგიერთმა რესპუბლიკამ და ოლქმა ამ მდგომარეობიდან გამოსავალი ჰპოვა ფასების შიდაზონალურ დიფერენციაციაში. ჩვენს რესპუბლიკაში კი მთიანი რელიეფის პირობებში ეს ღონისძიება ვერ იძლევა სათანადო ეფექტს. საქმე ისაა, რომ ისეთი მაღალრენტაბელური დარგები, როგორცაა მეჩაიეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა და სხვა განვითარებულია ძირითადად დაბლობ რაიონებში და ამ დარგებში შექმნილი დიფერენციალური რენტის გადანაწილება ფასების შიდაზონალური დიფერენციაციის დახმარებით მთის რეგიონის ჩამორჩენილი მეურნეობების სასარგებლოდ შეუძლებელია, რადგანაც იქ ეს დარგები არ არსებობს.

რესპუბლიკაში მეურნეობრიობის ობიექტური ეკონომიკური პირობების გამოთანაბრების პრობლემა გადაწყვეტილ იქნა სხვა გზით, კერძოდ: სამეურნეო მექანიზმის ახალი ელემენტის — რენტული გადასახადის შემოღების გზით, რომელიც გამოიყენება რენტული შემოსავლების გადანაწილების მიზნით.

ეს სისტემა შემოღებულ იქნა ჯერ კიდევ 1970 წელს ისეთი კულტურებისათვის, როგორცაა ჩაი, ყურძენი, ხილი, ციტრუსები, თამბაქო და დაფნის ფოთოლი.

რენტულ გადასახადს იხდიან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, აგრეთვე პირადღამხარე მეურნეობები ჩაბარებული პროდუქციის თითოეულ ტონაზე რენტაბელობის დონის გათვალისწინებით. რაც უფრო მაღალია რენტაბელობის დონე, მით მეტია გადასახადთა განაკვეთები. ასე მაგალითად, ერთ ტონა მწვანე ჩაის ფოთოლზე განაკვეთი შეადგენს 30 მანეთს, როცა რენტაბელობა არ აღემატება 20 %-ს, როცა რენტაბელობის დონე 20 %-დან 30 %-მდეა იგი შეადგენს 45 მანეთს, 30 %-დან 40 %-მდე 50 მანეთს და ა. შ. ციტრუსებისათვის განაკვეთები შემოღებულა 40-80 მანეთის ფარგლებში, თამბაქოსათვის 120-დან 160 მანეთამდე და ა. შ. 1980 წლამდე რენტული გადასახადების საერთო თანხა არ აღემატება 10 მლნ მანეთს. 1983 წელს 1970

წელთან შედარებით ეს თანხა გაიზარდა თითქმის 4-ჯერ და ამჟამად შეადგენს ყოველწლიურად 35-40 მლნ მანეთს, ე. ი. დაახლოებით სოფლის მეურნეობაში შექმნილი წმინდა შემოსავლის საერთო მოცულობის 7-8 %-ს. ამ დროის განმავლობაში წამგებიან და დაბალრენტაბელურ მეურნეობებს სულ მიეცათ 228,3 მლნ მანეთი. ამ ღონისძიებამ უზრუნველყო სამეურნეო ანგარიშთანობის პირობების გაუმჯობესება მეურნეობებში, მაგრამ ვერ უზრუნველყო ამ საქმეში ძირეული გარდატეხა, რაც გაპირობებულია პირველ რიგში იმით, რომ რენტული გადასახადების სისტემა ფაქტიურად ეყრდნობა კულტურათა მცირე რაოდენობას, ძირითადად ჩაის და ციტრუსების, რაც ხელს უშლის გადანაწილების გაფართოების შესაძლებლობას.

სკკპ ცკ 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით პირველად ჩვენს პრაქტიკაში დადგინდა შესყიდვის ფასების ამალგების უფრო სრულყოფილი მექანიზმის გამოყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე ფასდანიამატების დაწესების სახით იმ მეურნეობებისათვის, რომლებსაც წარმოების არახელსაყრელი პირობები გააჩნიათ.

რენტის გადანაწილების შიგარესპუბლიკური მექანიზმისა და ფასდანიამატების გამოყენების შედეგად ზარალიანი მეურნეობების რიცხვი რესპუბლიკაში შემცირდა 40-მდე. ამით შეიქმნა მიწის რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების უფრო ხელსაყრელი პირობები საერთოდ და კერძოდ მთის რეგიონებში.

Д. С. ДИАСАМИДЗЕ

ЭФФЕКТИВНОСТЬ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ЗЕМЛИ ГОРНЫХ РАЙОНОВ В УСЛОВИЯХ АГРОПРОМЫШЛЕННОЙ ИНТЕГРАЦИИ

Резюме

Актуальность изучения социально-экономических проблем горного региона ставит вопрос о правильном определении его границ. В работе высказаны соображения о разграничении горной зоны от низины не только по административным районам, но также по отдельным хозяйствам с учетом таких признаков, как гипсометрия, изотермия, рельеф и др.

В работе дается анализ удельного веса горного региона в республике по таким показателям, как площадь сельскохозяйственных угодий, сенокосов и пастбищ, трудовые ресурсы, производство сельскохозяйственной и животноводческой продукции и др. Приведены и проанализированы показатели структуры сельскохозяйственных угодий, фондообеспеченности, использования земельных угодий, техники, развития террасного земледелия, агропромышленной интеграции и другие.

В работе высказаны соображения по более эффективному использованию хозяйственного механизма, в частности, цен, рентных платежей для обеспечения лучших экономических условий для хозяйств горных районов.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სოფლის ინსტიტუტის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

თეიმურაზ ბრელიძე

სამეურნეო მქანინჯის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი სამეურნეობათაშორისო საწარმოებში

სამეურნეობათაშორისო კოოპერირება წარმოადგენს დამოუკიდებელი საწარმოების ეკონომიკური და იურიდიული თანამშრომლობის ფორმას, რომელიც ემყარება მათი სამეურნეო საქმიანობის კოორდინაციას, მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის მისაღწევად.

სამეურნეობათაშორისო საწარმო იქმნება მეურნეობათა განსაზღვრული ჯგუფის სახსრებისა და ძალების ნებაყოფლობითი გაერთიანების გზით. სამეურნეობათაშორისო წარმოებრივი კავშირების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია ნებაყოფლობითი პრინციპი.

სამეურნეობათაშორისო კოოპერაციაში (საწარმოში) მონაწილე კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საწარმოს თანამესაკუთრენი არიან, ერთობლივად მონაწილეობენ საწარმოო საქმიანობის ორგანიზაციაში, ამავე დროს კოოპერაციის მონაწილეთა შორის ეკონომიკურ ურთიერთობაში სამეურნეობათაშორისო საწარმო შედის როგორც მეურნეობრივი სუბიექტი, რომელიც დამყარებულია კოლექტიურ საკუთრებაზე, აქვს იურიდიული პირის უფლება და სამეურნეო დამოუკიდებლობა.

სამეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფორმირება ხდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფოებრივ საწარმოთა ბაზაზე. სამეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებში ადგილი აქვს წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებას, წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას.

სამეურნეობათაშორისო საწარმოები იქმნება სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა დარგობრივი სტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძირეული გარდაქმნის გარეშე, ისინი ყალიბდებიან არა მოქმედი კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ნაცვლად, არამედ, მათთან ერთად. კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან თითქოსდა იდევნებიან ის დარგები, რომლებშიც მომწიფდა პირობები წარმოების ინდუსტრიულ საფუძველზე გაძღოლისათვის.

ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შორის ტექნოლოგიური პროცესების განაწილება და კოოპერირების გზით მათი გაღრმავებული სპეციალიზაცია ქმნის სამეურნეობათაშორისო საწარმოების მონაწილეთა შორის სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპზე დამყარებულ ახალ ეკონომიკურ სანაგარიშსწორებო ურთიერთდამოკიდებულებას, იძლევა სამეურნეობათაშორისო კავშირების მნიშვნელოვანი გაფართოების ხელსაყრელ პირობებს.

სამეურნეობათაშორისო საწარმოთა კავშირები შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე დამყარებული ეკონომიკურ ურთიერთობათა რთუ-

ლი სისტემაა, ისინი უზრუნველყოფენ სხვადასხვა ტერიტორიულ საწარმოო კომპლექსებში შექმნილ საზოგადოებრივი პროდუქტის შეუფერხებელ განაწილებას, გადაანაწილებას და მოხმარებას.

სამეურნეობათაშორისო საწარმოებსა და მათ მონაწილეებს შორის არსებულ პრავალმბრივი ეკონომიკური კავშირთაგან ერთობების სწორ ორგანიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა საწარმოების ერთობლივი თანამშრომლობა მეურნეობრივი და იურიდიული დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობებში მოითხოვს მათ შორის ისეთ ეკონომიკურ კავშირთაგან ერთობას, რომელიც უზრუნველყოფს კოოპერაციის ყველა მონაწილის ინტერესების ოპტიმალურ შერწყმას სამეურნეობათაშორისო საწარმოს ინტერესებთან.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს მონაწილეთა შორის ეკონომიკური ურთიერთობანი თავის გამოხატულებას ღირებულებით ფორმაში ღებულობს, ამიტომ ამ ურთიერთობის შესწავლის დროს სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული ღირებულების კანონის მოთხოვნები.

სამეურნეობათაშორისო საწარმოში ჩამოყალიბებული ეკონომიკური კავშირთაგან ერთობები დამოკიდებულია მათში შემავალი მეურნეობების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მეურნეობრივ საქმიანობაზე, იურიდიულ დამოუკიდებლობაზე, მათი ორგანიზაციული სტრუქტურის თავისებურებებზე და ა. შ.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური კავშირთაგან ერთობის სწორი სისტემა მის მონაწილეებთან და ამ უკანასკნელთა შორის. ეს გულისხმობს ეკონომიკური ურთიერთობის ისეთი შესაფერისი სისტემის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებაზე ეკონომიკური ბერკეტების (საანგარიშსწორებო ფასების, საპაიო შენატანების, კრედიტის, მოგების განაწილების, მატერიალური წახალისების) ზემოქმედების სფეროს გაფართოებას.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს მშენებლობაში მეურნეობათა მონაწილეობის ძირითად ფორმას წარმოადგენს შესასვლელი და საპაიო შენატანები. შესასვლელი შესატანების ზომა მცირეა და ატარებს მონაწილე მეურნეობების წევრობის დამამტკიცებელ სამართლებრივ ხასიათს, ხოლო სამეურნეობათაშორისო საწარმოს წარმოებრივი ფონდების ფორმირებისა და შემდგომი განვითარების წარმოებრივი ფონდების ძირითად წყაროს წარმოადგენს საპაიო შენატანები და თვით საწარმოს საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს წილობრივ შენატანები შეიძლება იყოს როგორც ფულადი ისე მატერიალური ფასეულობა. მათი მოცულობის განსაზღვრაში ერთიანი მეთოდი არ არსებობს და იგი სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში სხვადასხვანაირია.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს მონაწილეების საპაიო შესატანების განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს, როგორც მონაწილეთა, ისე სამეურნეობათაშორისო საწარმოს ინტერესები, კოოპერაციაში მიღებულ მონაწილეთა ეკონომიკური შესაძლებლობანი, სუსტ მეურნეობებზე

ძლიერთა დახმარება, დაშვებული არ უნდა იქნეს მონაწილეთა სხვის კმაყოფაზე არსებობის ტენდენციები.

აქედან გამომდინარე საპაიო შესატანების განსაზღვრისას უნდა ვიხედოდეთ დღევანდელთ შემდეგი პრინციპებით: სასოფლო-სამეურნეო სამეურნეობათაშორისო საწარმოების შექმნისას საპაიო შესატანების კრიტერიუმად აღებული უნდა იქნეს მეურნეობაზე მიმავრებული მიწის ფონდი, სასოფლო-სამეურნეო სავარგული, სახნავი ფართობი, რადგან აქ მიწაა წარმოების მთავარი საშუალება. ასე მაგალითად მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს შექმნისას საპაიო შესატანების ზომის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ გადაცემული პირუტყვის სულადობა, წონა, ჯიშინაობა და მიწის ის ფართობი, რომელიც ემსახურებოდა პირუტყვის გამოზრდას და არა მთელი მიწის ფართობი.

მემცენარეობის დარგში სამეურნეობათაშორისო საწარმოს მშენებლობისას პაი უნდა განისაზღვროს მრავალწლიანი ნარგავებით გაშენებული მიწის ფართობის, ან სახნავის მიხედვით.

არასაწარმოო სფეროს ორგანიზაციებში, მაგალითად სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლების და სხვათა მშენებლობის დროს საწარმო ადგილების მიხედვით და სხვა.

საპაიო შესატანების სწორი განსაზღვრა სამეურნეობათაშორისო საწარმოს მშენებლობისა და განვითარების აუცილებელი პირობაა.

სამეურნეობათაშორისო საწარმოების მშენებლობაზე წილობრივ შენატანებთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს კრედიტი. მისი დაფარვა ხორციელდება სამეურნეობათაშორისო საწარმოს მიერ მიღებული მოგების საშუალებით, შებაიეების მიერ სახბანკისა და მშენბანკის კრედიტით შეძენილი (აშენებული) საშუალებების სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციებზე გაცემის შემთხვევაში, დაუფარავი სესხის დავალიანება წილობრივი შენატანების წესით დაიფარება მონაწილე მეურნეობების მიერ, ხოლო დავალიანების დანარჩენი თანხა გადაფორმდება სამეურნეობათაშორისო საწარმოზე, კრედიტის დაფარვის ადრე დადგენილი ვადებით.

ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში სასაქონლო ფულადი ურთიერთობა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვის ფასების გამოყენებით. 1976-1984 წლებში შესყიდვის ფასების მრავალჯერადი და მნიშვნელოვანი გაზრდის მიუხედავად ისინი ვერ ფარავენ წარმოების ხარჯებს. აღსანიშნავია, რომ შესყიდვის ფასების ზრდა მიმდინარეობდა წარმოების დანახარჯების ზრდის პარალელურად. აღნიშნულ პერიოდში პირუტყვის ხორცის თვითღირებულება გაიზარდა 2,3-ჯერ და შეადგინა 1984 წელს 406,8 მანეთი, ხოლო მისი საშუალო შესყიდვის ფასი გაიზარდა 1,7-ჯერ და მიაღწია 350,6 მანეთს. თვითღირებულების ელემენტებს შორის მნიშვნელოვანია საკვების დანახარჯების ზრდა, რაც გამოწვეულია პირუტყვის წონამატზე როგორც კონცენტრირებული ისე საერთო საკვებბერთულთა გაღიდვით და საკვებბერთულთა თვითღირებულების ზრდით. გაიზარდა 1 ც პროდუქციის წარმოებაზე შრომის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, რომ მისი ხვედრი წილი პროდუქციის თვითღირებულებაში არ შეცვლილა. თვითღირებულების სტრუქტურაში მნიშვნელოვნად იზრდება ისეთი ელემენტების ხვედრითი წილი, როგორიცაა ძირითადი საშუალებების ამორტიზაცია, ძირითადი საშუალებების მიმდინარე რემონტი და სხვა ხარჯები. ეს დაკავშირებულია სოფ-

ლის მეურნეობაში მიმდინარე ტექნიკურ გადაიარაღებასთან, მის ინდუსტრიალიზაციასთან, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მრეწველური წარმოშობის წარმოების საშუალებების ფასების ზრდასთან და ახალ ტექნიკაზე ფასების დაწესებასთან. უმჯობესი იქნებოდა ახალი ტექნიკის და მასალების ფასები დადგინდეს ისე, რომ გარკვეული ზომის ეფექტს ლებულობდეს, როგორც დამამზადებელი, ისე მისი კონკრეტული მომხმარებელიც. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო შესყიდვის ფასები ვერ გამოხატავენ სოფლის მეურნეობაში შექმნილ მთელ ღირებულებას. აქ შექმნილი ღირებულების ხაწილი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგებში გადადის, რაც შესაბამისად ამცირებს სოფლის მეურნეობაში რენტაბელობის მაჩვენებელს.

სამეურნეობათაშორისო საწარმოების მონაწილეთა შორის სასაქონლო ურთიერთობა უფრო რაციონალური იქნება, განხორციელდეს საანგარიშსწორებო ფასების მეშვეობით. ფასების ამ სისტემასაც გააჩნია ნაკლოვანებანი, ცხადია, რომ ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთიანი მთელი ქვეყნისათვის, მათი დახმარებით დადგენილი ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოადგენენ პირობითს და შეიძლება შეუღარებელნი აღმოჩნდნენ სხვადასხვა მონაწილეებისათვის, მათი მეშვეობით იგეგმება და გაითვალისწინება საწარმოს საქმიანობა, მაშინ როცა მთლიანად საწარმოს მუშაობის შედეგები გაიანგარიშება და გაითვალისწინება სარეალიზაციო ფასებით. მიუხედავად ამისა ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში მოქმედი საანგარიშსწორებო ფასების სისტემა რიგ ურთიერთობებში საკმაო ზომით პასუხობს სამეურნეო და შიდასამეურნეო ანგარიშის პრინციპებს. მათი გამოყენება შეიძლებლობას იძლევა უფრო სრულად ავსაზოთ ყველა მეპაიეს მონაწილეობა საწარმოს მთლიან მუშაობაში, ვინაიდან ყველა ისინი იძყოფებიან მათი საქმიანობის დაგეგმვისა და შედეგების აღრიცხვის შედარებით ერთნაირ პირობებში.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს მიერ მეურნეობაზე გადახდილი საანგარიშსწორებო ფასი წარმოადგენს 3-5 წლის მანძილზე მოცემული სახის პროდუქციის მიხედვით წარმოების დანახარჯების საშუალო დონეს. შესაბამისად იზრდება ეს თანხა, თუ საანგარიშსწორებო ფასი დგება მეურნეობისათვის გარკვეული დონის რენტაბელობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით.

პირუტყვის ხარისხის გაუმჯობესების სტიმულირების მიზნით საანგარიშსწორებო ფასს ადგენენ I კლასის უშობლებსა და მოზარდებზე და დიფერენცირდება თუ პირუტყვი ერთობლივი ნიშნით მიეკუთვნებიან სხვადასხვა სტანდარტებს. მაგ., საანგარიშსწორებო ფასში რენტაბელობის ნორმა დადგენილია 35 %, ხოლო II კლასზე მიეკუთვნებული პრუტყვისათვის ის შეიძლება შემცირდეს 30 %, მაშინ როცა ფასები ელიტა და ელიტარეკორდის კლასებისათვის შესაბამისად შეიძლება გაიზარდოს 40 და 45 %-მდე. საანგარიშსწორებო ფასები ასევე ასტიმულირებენ მცირე ასაკის მოზარდის გადამცემ მეურნეობებს.

ასევე საკვების შემთხვევაში, მიზანშეწონილია ფასის დადგენა არა უბრალოდ სხვადასხვა საკვების ფიზიკური წონის მიხედვით, არამედ უნდა გაითვალისწინოთ საკვების შემადგენლობა.

სამეურნეობათაშორისო საწარმოს მიერ მიღებული მოგებიდან იფარება, როგორც სსრკ სახბანკისა და სსრკ მშენბანკის გრძელვადიანი სესხი, ისე მი-

სი სარგებლობისათვის დაწესებული პროცენტი. ფაქტურად მიღებული მოგების საერთო თანხის ნაწილი შეიტანება სამეურნეობათაშორისო საწარმოს განვითარების ფონდში, ნაწილი წარიმართება მატერიალური წახალისების ფონდის შექმნაზე, ნაწილი გადაირიცხება სამეურნეობათაშორისო საწარმოს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდში. სამეურნეობათაშორისო საწარმოს განკარგულებაში დარჩენილი მოგებიდან იფარება ბიუჯეტის გადასახადი, ხოლო დანარჩენი განაწილდება მონაწილე მეურნეობებს შორის.

მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებში, სადაც მოზარდის სუქებას ახდენენ, მოგება უფრო ზუსტად განაწილდება თუ მიღებული წონამატი გაიანგარიშება როგორც საერთოდ, ისე ცალკეული მონაწილე მეურნეობის პირუტყვის ცოცხალი წონისა და ჯიშობრივი შემადგენლობის მიხედვით, რადგან ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საშუალო ცოცხალი წონით, ზრდის განსხვავებული პოტენციური უნარით, სუქებით, ჯიშინაობით. ასევე სამეურნეობათაშორისო საწარმოზე გადაცემული საკვების მიხედვით მოგება უნდა განაწილდეს საკვების რაოდენობისა და კალორიულობის გათვალისწინებით.

მემცენარეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოს ფორმირება შესაძლებლობას იძლევა მსხვილ მეურნეობა-ქარხნებში პროდუქციის გადამუშავების კონცენტრაციისათვის, მაგალითად, მევენახეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს ჩამოყალიბების შედეგად წარმოიშვება გადამამუშავებელი საწარმოს არსებობის აუცილებლობა, მაგრამ ეს სამეურნეობათაშორისო საწარმოს მონაწილეებს აყენებს სხვადასხვა ეკონომიკურ პირობებში, ვინაიდან პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი რჩებათ მეურნეობა-ქარხნებს, რომელთაც გააჩნიათ ყურძნის გადამამუშავებელი წარმოება, ამიტომ კოოპერაციის მონაწილენი ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ღვინის პროდუქციის ხარისხითა და ყურძნის სამრეწველო გადამუშავების ეფექტიანობით. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სამეურნეობათაშორისო საწარმოს ყველა მონაწილეს ეკონომიკური დაინტერესებისათვის უნდა დაუბრუნდეს სამრეწველო გადამამუშავების შედეგად მიღებული მოგების ნაწილი, მის მიერ გადაცემული ნედლეულის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

სამეურნეობათაშორისო საწარმოთა ფორმირება ხდება მეპაიე მეურნეობათა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე, ამიტომ მათი ამ საწარმოში შესვლა ვარანტირებული უნდა იქნეს მოგების განაწილებით, რომ მონაწილეებს შემდგომ წლებშიც ჰქონდეთ სამეურნეობათაშორისო საწარმოში მონაწილეობის სურვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სამეურნეობათაშორისო საწარმოების მონაწილეებზე განაწილებული მოგება საპაიო შენატანებსაც კი ვერ ფარავს. მაგალითად, 1983 წელს საპაიო შენატანებმა შეადგინა 206 273 ათასი მანეთი, მიღებულმა მოგებამ 11411 ათასი მანეთი, ხოლო მონაწილეებზე განაწილებულმა მოგებამ 2816 ათასი მანეთი, ე. ი. საპაიო შენატანების 0,13 % და მიღებული მოგების 0,24 %.

მოყვანილი მონაცემი გვიჩვენებს, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეობათაშორისო საწარმოების არსებული მდგომარეობა არცთუ ძალიან სახარბიელოა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ რესპუბლიკაში სამეურ-



ნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფორმირება არ არის გამართლებული, პირიქით, ისინი წლით-წლობით აუმჯობესებენ თავიანთ სამეურნეო საქმიანობას, ხელს უწყობენ სოფლად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წარმატებით გადაჭრას. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1984 წელს 1976 წელთან შედარებით საქართველოს სსრ სამეურნეობათაშორისო საწარმოების მიერ წარმოებული მთლიანი სასაქონლო პროდუქცია გაიზარდა 39,9 %-ით, აღნიშნულ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდები გადიდდა 133 %, ხოლო შრომის ფონდში იარაღება 136 %-ით. ეს გამოწვეული იყო, როგორც სამეურნეობათაშორისო საწარმოების რიცხვის ზრდით, ასევე სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ტექნიკური გადაიარაღებით და მისი ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანით. ამან კი თავის მხრივ გამოხატულება პოვა I კაცსათზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების 8,3 %-ით გადიდებაში.

სამეურნეობათაშორისო კოოპერირების განვითარება, მისი ეფექტიანობის ამაღლება შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკურად დასაბუთებული, ურთიერთსასარგებლო ანგარიშსწორების პირობებში.

Т. А. БРЕЛИДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ ХОЗЯЙСТВЕННОГО МЕХАНИЗМА МЕЖХОЗЯЙСТВЕННЫХ ПРЕДПРИЯТИЙ

Резюме

Рассмотрены вопросы экономических взаимоотношений межхозяйственных предприятий, совершенствования путей воздействия экономических рычагов на производство. Уделено внимание совершенствованию метода определения размеров долевых взносов, установлению расчетных цен и распределению прибыли. Рассмотрена структура себестоимости продукции, производимой животноводческими межхозяйственными предприятиями ГССР. Проанализированы экономические показатели развития межхозяйственных предприятий республики.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილებამ

ზურაბ ქართველიშვილი

მშრომელთა ეკონომიკური განათლების როლი მიცნიერულ- ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობამ განსაზღვრა მთავარი ორიენტირები, რომელთა მიხედვითაც უნდა გავვალდებულებოთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, სოციალისტური საზოგადოების გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის გენერალური კურსი. ასეთი გეზი მოითხოვს მკვეთრ შემობრუნებას წარმოების ინტენსიფიკაციისაკენ. ასეთია თანამედროვე ეტაპის მთავარი მოთხოვნა.

ქვეყნის უპირატესად ინტენსიური განვითარების აუცილებლობას განაპირობებს ის გარემოებები, რომ საბჭოთა ეკონომიკის საკუთარმა წარმატებებმა ზღვარი დაუდო მის ექსტენსიურ განვითარებას. ჯერ ერთი, ბოლო ხანს სულ უფრო მეტად იჩენს თავს წარმოებაში ჩასაბმელი რესურსების შეზღუდულობა; მეორე, შეუწყნარებელია რესურსების გამოყენება უმკაცრესი აღრიცხვის გარეშე თუ ყოველი ფუნქციონირების ნაბიჯზე აქტიურად არ ვიბრძობებთ მათი დაზოგვისათვის; მესამე, ჩვენმა სახალხო მეურნეობამ უკვე უზრუნველყო წარმოების ისეთი მოცულობა, რომლის დროსაც შემდგომი წინსვლისათვის გეგმარებას არა იმდენად მისი გაფართოება, რამდენადაც — განახლება; მეოთხე, ხალხის კეთილდღეობის ამაღლება მოითხოვს სწორედ ინტენსიფიკაციას. არსებობს ინტენსიფიკაციის სამი მთავარი ფაქტორი: სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია; მისი უახლესი მიღწევების ყველაზე სწრაფი და ეფექტიანი გამოყენება პრაქტიკაში; სამეურნეო მექანიზმის, ეკონომიკის მართვის მთელი სისტემის სრულყოფა; მშრომელთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლება. აქედან გამომდინარე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების გზა და ინტენსიფიკაცია ერთმანეთთან მჭიდრო დიალექტიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან, ურთიერთს განაპირობებენ და ერთიმეორედან გამომდინარეობენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში ზემოაღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. როგორც ცნობილია, სკკპ XXVII ყრილობამ თავის სტრატეგიულ ხაზად წამოაყენა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგია. დაჩქარებაში უწინარეს ყოვლისა იგულისხმება ეკონომიკური ზრდის ტემპის დაჩქარება. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ...„მისი არსია, — ხაზგასმით აღინიშნა ყრილობის პოლიტიკურ მოხსენებაში, თვისობრივად ახალი ზრდა: წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის, შრომის მართვის, ორგანიზაციისა და სტიმულირების ეფექტიანი ფორმების საფუძველზე“¹.

1 მ. ს. გორბაჩოვი, „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას“.

ზემოაღნიშნულ საკითხზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში. ამ უდიდესი მნიშვნელობის საპროგრამო დოკუმენტში ცალკე საკითხადაა გამოყოფილი ეკონომიკის ინტენსიფიკაციის გზები მეთორმეტე ხუთწლეულში, სადაც ნათქვამია, რომ „...იმისათვის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ჩვენი გეგმების, მთელი ეკონომიკური ცხოვრების ორგანული ნაწილი გახდეს, ძირფესვიანად უნდა გარდაექმნათ მისი მართვის მთელი სისტემა. ეს ეხება დაგეგმვის პრაქტიკას, დაფინანსების, ფასწარმოქმნისა და სტიმულირების სისტემას, მთელ სამეურნეო მექანიზმს“².

ზემოაღნიშნული გრანდიოზული ამოცანების გადაწყვეტა, უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია უშუალო მწარმოებლურ ძალაზე, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებულ მილიონობით ადამიანებზე, სახელოვან მუშათა კლასზე, კოლმეურნე გლეხობაზე, ინტელიგენციაზე, ე. ი. ადამიანებზე, რომლებმაც უშუალოდ უნდა განახორციელონ XII ხუთწლეულის ამოცანები. ამ ამოცანების გადაწყვეტა სწორედ მათზე, ადამიანებზე, მათ ცოდნაზე, უნარზე, საწარმოო ჩვევებზეა დამოკიდებული. ადამიანებს, რომლებიც თავიანთი მსოფლმხედველობრივი და პროფესიული მომზადების დონით შეძლებენ განახორციელონ პროგრესი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, შეუძლიათ პარტიის მიერ დასახული ეკონომიკური პოლიტიკის ხორცშესხმა. ადამიანის ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა დროის მოთხოვნაა. უნდა ვისწავლოთ გონიერულად, სამეცნიერო საფუძველზე ავამაღლოთ მშრომელთა განათლება და კვალიფიკაცია. ტექნიკა, ტექნოლოგია ვითარდება, ხოლო სპეციალისტების, მუშების, ხელმძღვანელების ცოდნა ზოგჯერ არ პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს.

ჩვენი ქვეყნის სწრაფ დინამიურ განვითარებას თან ახლავს მრეწველობის სულ ახალ-ახალი დარგების წარმოშობა, მისი სრულყოფა, ისეთი ახალი დისციპლინების ათვისება, როგორცაა, მაგალითად, „ელექტროგამომთვლელი მანქანების კონსტრუირება და წარმოება“, „რადიოაპარატურის კონსტრუირება და წარმოება“, „სამედიცინო აპარატურა“, „მანქანათმშენებლობის ავტომატიზაცია და კომპლექსური მექანიზაცია“, „რობოტიზებული წარმოების ტექნოლოგია“, „მიკროპროცესორები და მიკროპროცესული სისტემები“, „შრომის ნორმირება და ორგანიზაცია“, „მეტალების წნევით დამუშავების მანქანები და ტექნოლოგია“, „ბიორგანიზებული სინთეზის ტექნოლოგია“ და სხვები. ამ დისციპლინების დაუფლება დროის, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, თანამედროვე წარმოების თავისებურებებისა და რესპუბლიკის საწარმოო ძალთა და მთლიანად ეკონომიკის განვითარების აუცილებელი მოთხოვნაა.

ამ სტრატეგიული კურსის განხორციელებაში, სწრაფად ცვალებადი ტექნიკისა და ტექნოლოგიის პირობებში, სამუშაოსათვის ადამიანის სათანადო მომზადებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მშრომელი მასების ეკონომიკური აზროვნების ამაღლებას, მათი ზოგადი და პროფესიული განათლების ახალ თვისებრივ სრულყოფას, ვინაიდან მშრომელთა ეკონომიკური

² ვახუთი „კომუნისტი“ 4 მარტი 1986 წ.

განათლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სრულყოფასა და მის გაძლიერებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და საკავშირო ალკვ ცენტრალურმა კომიტეტმა 1982 წლის ივლისში მიიღეს ერთობლივი დადგენილება — „მშრომელთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. დადგენილების მიხედვით, შეიცვალა ეკონომიკური განათლების ის სტრუქტურა, რომელიც 1972-1973 სასწავლო წლიდან ფუნქციონირებდა. ახლა შეიქმნა მასობრივი ეკონომიკური განათლების ამგვარი სტრუქტურა: კომუნისტური შრომის სკოლები, კონკრეტული ეკონომიკის სკოლები და ეკონომიკური სემინარები. აღნიშნული დადგენილების რეკომენდაციათა შესაბამისად ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზებმა, სამინისტროებთან, უწყებებთან, მსხვილ სამრეწველო საწარმოებთან, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან არსებულმა „მშრომელთა ეკონომიკური განათლების საბჭოებმა განახორციელეს კონკრეტული ღონისძიებანი მშრომელთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის როლის ამაღლებისათვის რესპუბლიკის ეკონომიკის ინტენსიფიკაციაში, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, საბჭოთა ცხოვრების წესის მატერიალური და სულიერი საფუძვლების განმტკიცებაში, ახალი ადამიანის აღზრდაში“.

რესპუბლიკის მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემის პრობანდისტებმა მთელი თავიანთი საქმიანობა იქითკენ წარმართეს, რომ სისტემის მსმენელებს შეძლებოდათ შეედარებინათ წარმოების დანახარჯები და შედეგები, გამოეყენებინათ შინაგანი რეზერვები, დაესაბუთებინათ შემხვედრი გეგმები, სოციალისტური ვალდებულებანი, ჰქონოდათ ეკონომიკის პირადი ანგარიში, შეემუშავებინათ და განეხორციელებინათ შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირების წინადადებანი.

რესპუბლიკის მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, სწავლების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების შედეგად გაძლიერდა მშრომელთა ეკონომიკური განათლების პრაქტიკული მიმართულება, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სამეურნეო ანგარიშის, ძირითადი ფონდების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალურ გამოყენებას, თვითღირებულების შემცირების საკითხთა შესწავლას, სწავლების ხარისხობრივმა ცვლილებებმა განაპირობა ის გარემოება, რომ ეკონომიკური განათლების სკოლებისა და სემინარების მსმენელებს განუვითარდათ კონკრეტული ეკონომიკური აზროვნება, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, ნაკლოვანებებისადმი შეუწყნარებლობა, უნარი — გამოეყენებინათ მიღებული ცოდნა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის თითოეულ სამუშაო ადგილზე პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემის პრობანდისტებმა და მსმენელებმა შემოქმედებითად შეისწავლეს და განაზოგადეს შრომითი კოლექტივების იმ მუშაობის გამოცდილება, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა.

ღრმა თვისებრივი ცვლილებები მოხდა პრობანდისტული კადრების შერჩევაში. გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ მშრომელთა ეკო-

ნომიკური განათლების სკოლებისა და სემინარების მსვლელობისას პროპაგანდისტი მთავარი ფიგურაა; რომ ეკონომიკური განათლების ხარისხი და ეფექტიანობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პროპაგანდისტის თეორიულ ცოდნასა და მეთოდოლოგიურ დაოსტატებაზე, მასების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლებისა და მათი დარაზმვის უნარზე. რესპუბლიკის ეკონომიკური განათლების სისტემის პროპაგანდისტთა ახლოვებული უმრავლესობა ღრმად ერკვევიან პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრობლემებში, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ეკონომიკურ პროპაგანდას მჭიდროდ უკავშირებენ პრაქტიკულ ამოცანებს, აქტიურად უჭერენ მხარს ყოველივე ახალსა და მოწინავეს, უნარაიანად წარმართავენ ბრძოლას წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან აფასებენ საზოგადოებრივ მოვლენებს, მიმდინარე პროცესებს, თანმიმდევრულად და დასაბუთებულად ამხილებენ ბურჟუაზიულ და რევოიონისტულ იდეოლოგიას.

პროპაგანდისტებისათვის სისტემატურად ეწყობოდა ლექციების ციკლი და იხდივდულაური კონსულტაციები, სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო მეთოდოლოგიური კონფერენციები.

პრაქტიკაში იყო დანერგილი პროპაგანდისტებისათვის თეორიული, სამეცნიერო, საინფორმაციო კონფერენციების ორგანიზაცია მიმდინარე პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე, ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემებზე, თემატიკური შეხვედრები მეცნიერებთან, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მივმართოთ კონკრეტულ ფაქტებს.

როგორც აღნიშნული იყო პარტიისა და მთავრობის ბოლოდროინდელ დოკუმენტებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის რელსებზე გადაყვანის პრობლემურ საკითხებს. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ შპრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემაში ისწავლება საგნები, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხებს აშუქებენ. მაგალითად, კომუნისტური შრომის სკოლებში ისწავლება საგანი: „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკა“; ეკონომიკურ სემინარებში — „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ეფექტიანობა“, „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვა“, „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემები“, ექსპერიმენტიდან — „მეურნეობრიობის ახალი სისტემისაკენ“, „ეკონომიისა და მოჭირნეობის რეზერვები მოქმედებაში“, „სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის დანერგვის ორგანიზაცია და მოწინავე გამოცდილება სოფლად“, „სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში“ და სხვ. ყოველწლიურად ფართოვდება ზემოაღნიშნული საგნებისა და მათში ჩაბმულ მსმენელთა რაოდენობა. აღნიშნულის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი სტატისტიკური მონაცემები;

ჩვენს რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრობლემებს ზემოჩამოთვლილი საგნების მიხედვით სწავლობს კომუნისტური შრომისა და კონკრეტული ეკონომიის სკოლებში, ეკონომიკურ სემინარებში, სახალხო უნივერსიტეტებსა და კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების



ფაქულტეტებში გაერთიანებული 137196 ათასი მსმენელი. ეს ძალზე სწრაფი რაოდენობაა. ისმება ბუნებრივი კითხვა: ამ ციფრებს მიღმა ხომ არ იმალება ფორმალში, მსმენელთა ეს უზარმაზარი არმია მხოლოდ სტატისტიკისათვისაა გაერთიანებული, თუ სწავლებას ნამდვილად აქვს მიზნობრივი და ქმედითი ხასიათი, იძლევა თუ არა რესპუბლიკაში არსებული ეს უმძლავრესი სისტემა ეკონომიკურ უწყებებს, ხელს უწყობს თუ არა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის წინსვლას, მის დაჩქარებას, ერთი სიტყვით ამართლებს თუ არა იმ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ დანიშნულებას რისთვისაც ეს სისტემა შეიქმნა და მოქმედებს?

ამ კითხვებს რომ პასუხი გავცეთ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი:

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური განათლების სისტემაში ჩაბმულია 500 ათას მსმენელზე მეტი. ეკონომიკური განათლება ჩვენში დამკვიდრდა, როგორც მშრომელთა ეკონომიკური ცოდნის ამაღლების ერთ-ერთი ნაცადი ფორმა, გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მშრომელთა მობილიზაციის საშუალება. მივმართოთ ასეთ ფაქტს. გასულ 1984/85 სასწავლო წელს ეკონომიკური განათლების სისტემის 12 ათას მსმენელს ჰქონდა შემხვედრი გეგმები, 350 ათასი მონაწილეობდა სოციალისტურ შეჯიბრებებში, 130 ათასი მსმენელი მუშაობდა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და მატერიალური რესურსების ეკონომიის პირადი ანგარიშით.

იმ წინადადებების დანერგვისაგან მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა, რომლებიც მიმართული იყო შრომის ორგანიზაციის მატერიალური და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რეჟიმის გაძლიერების სრულყოფის უზრუნველსაყოფად, 1984 წელს შეადგინა 24,5 მილიონი მანეთი. მაგალითად, ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის ეკონომიკური განათლების მსმენელებმა 1984 წელს წამოაყენეს 1000 წინადადება, რომლის ეკონომიკურმა ეფექტმაც შეადგინა 1,1 მილიონი მანეთი; თბილისის საქარხნო რაიონში ეკონომიკური განათლების 2400 მსმენელმა შეიტანა 1000 წინადადება, რომელმაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას 2 მილიონი მანეთი ეკონომიური ეფექტი მისცა.

მივმართოთ ასეთ კონკრეტულ ფაქტებსაც: რუსთავში მშრომელთა ეკონომიკური განათლების საქმე მაღალ დონეზეა დაყენებული. ქალაქის პირველად პარტიულ ორგანიზაციებში ეკონომიკური განათლების სისტემაში ფუნქციონირებს 65 სკოლა და სემინარი, სადაც უშუალოდ ისწავლება სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის პრობლემები. მათში გაერთიანებულია 140 მსმენელი. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრობლემები აგრეთვე ისწავლება რუსთავის სახალხო უნივერსიტეტებსა და კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში, სადაც მსმენელთა საერთო რიცხვი 3600 კაცია. ზემოაღნიშნული სკოლებისა და სემინარების პროპაგანდისტები და მსმენელები იძლევიან სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მონაწილეობის მაგალითს. მათი უმრავლესობა რაციონალიზატორი და გამოგონებელია, როგორც წესი, ისინი მინდობილ საქმეს მთელი პესუნისმგებლობით ეკიდებიან, სისტემატურად ასრულებენ სავგემო დავალებებს, აღებულ სოციალისტურ ვალდებულებებს. ასე მაგალითად რუსთავის ამწემშენებელი ქარხნის „სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ეფექტიანობის“ სკოლის პროპაგანდისტებმა ბ. მენტეშაშვილმა და ი. კვირიკაშვილმა მსმენელ ი. ანტონენკოსთან ერთად 1985 წლის დასაწყისში დანერგეს 10 რაციონალიზატორული წინადადება, რომლის ეკონომიკური ეფექტი 15,5 ათასი მა-

ნეთია. ამ სკოლის ყველა მსმენელი გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ გამომუშავების ნორმებს, წარმატებით ართმევენ თავს შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ამოცანებს. ამავე სკოლის მსმენელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ამწყობი საამქროს ელექტრომშენებელი ნ. ვაკულინი ყოველდღიურ და-ვალებებს 135-140 პროცენტით ასრულებს.

რუსთავის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ავტომატპრომსა“ და ინსტიტუტ „საქვიპროგეზში“ ეკონომიკური განათლების სისტემის — „მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევები წარმოებაში“ და „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვა განვითარებული სოციალიზმის პირობებში“ — სკოლის მეცადინეობებზე სისტემატურად განიხილავენ სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებებს, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ვადაწყვეტის პროექტებს, აანალიზებენ მათ ტექნიკურ მიზანშეწონილობასა და ეკონომიკურ ეფექტს. ზემოაღნიშნულმა საშუალება მისცა მათ, განესაზღვრათ დამუშავებისა და პროექტების უფრო ეფექტური მიმართულება, დაეჩარებინათ მართვის ავტომატიზებული სისტემის, პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა. მათ შორის აღნიშვნის ღირსია მართვის ავტომატიზებული სისტემის დანერგვა ლებიაჟინსკის, ვისოკოგორსკისა და ყარაგანდის ავლოფაბრიკებში. რუსთავის მსგავსად დიდი ყურადღებითაა მოსილი ეკონომიკური განათლების სისტემა ქუთაისში.

ქუთაისში მშრომელთა ეკონომიკური სწავლების შედეგები გამოხატულებას პოულობენ მოძრაობაში „პროპაგანდისტი — ხუთწლედს“. მასში ჩაბმულია ეკონომიკური განათლების სისტემის 481 პროპაგანდისტი. მათი დახმარებით 1985 წელს პირველად სპეციალურ მეცადინეობაზე „ჩემი სოციალისტური ვალდებულება“ 4804 მსმენელმა შეიმუშავა შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ხოლო 1635 მსმენელმა მასალების, ნედლეულისა და სათბობენერგეტიკული რესურსების დაზოგვის პირადი ანგარიშები. ქალაქის ეკონომიკური განათლების სისტემაში 2576 მსმენელი კომუნისტური შრომის დამკველია. ისიც აღსანიშნავია, რომ ქალაქის ეკონომიკური განათლების სისტემის 656 პროპაგანდისტი და მსმენელი რაციონალიზატორი და გამოგონებელია, რომელთა მიერ შეტანილი წინადადებების ეკონომიკური ეფექტი 316 ათასი მანეთია. 1984/85 სასწავლო წელს ქუთაისის ეკონომიკური განათლების სისტემის მსმენელების მიერ პრაქტიკული დავალებების მომზადებისა და რეფერატების დამუშავების დროს შეტანილი იქნა 400-მდე წინადადება. პროპაგანდისტებისა და მსმენელების აქტიური მონაწილეობის შედეგად 1984 წელს ქუთაისის საწარმოებში დაიზოგა 2773 ტონა შავი ლითონის ნაგლინი, 1565 ტონა ცემენტი, 3435 კუბომეტრი ხე-ტყე, 13717 გიგაჯალორია პირობითი საწვავი, 15811 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

1985/86 სასწავლო წლის პირველ მეცადინეობაზე საავტომობილო ქარხნის ეკონომიკური განათლების სისტემის მსმენელებმა ივალდებულეს რაციონალიზატორული წინადადებების ეკონომიკური ეფექტი ამაღლონ 10 პროცენტით. ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში ფართოდ გავრცელდა „სკკპ-ს ეკონომიკური პოლიტიკის“ სკოლის კონსულტანტ ა. მოლჩანოვის ინიციატივა „თითოეულმა დანერგოს წლიური ხელფასის ტოლფასი ეკონომიკური რაციონალიზატორული წინადადებები“, სამკერვალო გაერთიანება „გე-4. „მაცნე“, ეკონომიკისა და საპრობლემის სერია

ლათის“ სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის სკოლის საგამომყვანო საამქროს მსმენელებმა (პროპაგანდისტი — ზ. სარიშვილი) ივალდებულეს — სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღეს ემუშავათ დაზოგილი ნედლეულით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა შევაჩეროთ თბილისზე. ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიის შემქმნელი მნიშვნელოვანი საწარმოები სწორედ აქა თაემოყრილი. ამიტომ ბუნებრივია, აქ მალალ დონეზე ეკონომიკური განათლების სისტემის დაყენება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წინსვლას ჩვენს რესპუბლიკაშიც. თბილისის პარტიუ-ლი ორგანიზაციების მუდმივი მზრუნველობის შედეგად მშრომელთა ეკონომი-კური განათლების სისტემა რიტყმულად, მწყობრად მუშაობს. თვალსაჩინო მუშაობის შედეგებიც ხელთა გვაქვს. მიემართოთ ზოგიერთ კონკრეტულ ფაქტს: 1984/85 სასწავლო წელს ორჯონიკიძის სახელობის რაიონში — ეკონომიკური განათლების სისტემის 74 პროპაგანდისტი მონაწილეობდა მოძრაობაში „პროპაგანდისტი ხუთწლედს“. აქედან 36 პროპაგანდისტი იყო ახალი ინიციატივის, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ავტორი, რომელთა შედეგად მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა შეადგინა 940 585 მანეთი, შრომის ნაყოფიერების გეგმური ზრდა გაიზარდა 38%-ით. მაგალითად, რაიონში მდებარე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო მექანიკის ინსტიტუტში ძირითადად ეკონომიკური განათლების სისტემით ისწავლება „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემების“ შემსწავლელი საგნები. ისწავლების ამ სისტემაში ძირითადად მეცნიერმუშაკები არიან გაერთიანებული, ამიტომაც ისწავლებას დიდი უკუგება აქვს. მაგალითად, პროპაგანდისტმა თ. მეჭურჭლიშვილმა შეიმუშავა და წარმოებაში დანერგა წინადადება, აქედან მიღებულა 400 ათასი მანეთის ეკონომიკური ეფექტი. ინსტიტუტში სულ ფუნქციონირებს 7 ეკონომიკური განათლების სემინარი და სკოლა 160 მსმენელით. მათ შორის 5 პროპაგანდისტია, 18 მსმენელი გამომგონებელ-რაციონალიზატორია. მათ შიერ შემუშავებული და წარმოებაში დანერგილი წინადადებებისაგან მიღებულა 2 მილიონამდე მანეთის ეკონომიკური ეფექტი.

ამავე რაიონში მდებარე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვაში“ ეკონომიკური განათლების სისტემა დიდი ყურადღებითაა მოსილი, გაერთიანების ეკონომიკური განათლების სისტემის პროპაგანდისტებს სიახლის, მოწინავეს, პროგრესულის ძიება, მიგნება და წარმოებაში დანერგვა ცხოვრებისეულ ნორმად გადაქცევიათ.

მალალ დონეზე დგას ეკონომიკური განათლება ისეთ მსხვილ სამრეწველო საწარმოებში, როგორცაა, მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“ და „ელექტროაპარატი“, სტალინის სახელობის „ელექტროვაგონშემკეთებელი“ ქარხანა და სხვ. მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ეკონომიკური განათლების მსმენელები აქტიურად იბრძვიან მასალების, სათბობის, ენერგეტიკული რესურსების ეკონომიკურად და ყაირათიანად მოხმარებისათვის. ისინი მონაწილეობენ გამომგონებლობასა და რაციონალიზაციაში, რასაც საბოლოოდ სათანადო ეკონომიკური ეფექტი მოაქვს. მაგალითად, ეკონომიკური განათლების სკოლის მსმენელმა შ. ქეღბაქიანმა დაამუშავა და დანერგა ელმავლის მართვის ავტომატიზებული სისტემის გაუმჯობესებული სქემა, რამაც საწარმოს 5838 მანეთი ეკონომიკური ეფექტი მისცა.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური განათლების საგნები ისწავლება კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელშიც, უფროსებს ახალგაზრდებიც უბამენ მხარს. „ელმავალშენების“ კომკავშირული პოლიტგანათლების, ეკონომიკური განათლების სისტემის მსმენელმა ა. დალაქიშვილმა დანერგა სწრაფ-მჭრელი იარაღის (ფოლადის) დამატებითი თერმული დამუშავება, რამაც გაზარდა იარაღის ცვეთამდეგობა და მისი ხარჯი 2-3-ჯერ შეამცირა, რის გამოც წარმოებამ მიიღო 32,5 ათასი მანეთის მოგება (ავტორმა მიიღო საავტორო პატენტი № 1141763).

ს/კ „ელმავალშენში“ წლების მანძილზე მოქმედებს ტექნიკური პროგრესის სახალხო უნივერსიტეტი, აქ ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ტექნიკური ფაკულტეტი, მსმენელებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ რაციონალიზაციასა და გამომგონებლობაში, ასე მაგალითად: საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ფაკულტეტის მსმენელებმა თ. სიმონიშვილმა და ნ. პოხვიშვილმა 1985 წელს დააპროექტეს და დანერგეს ელმავლის გამშვი წინაღობის ამგროვებელი ნახევარავტომატი, რამაც გაერთიანებას 5400 მანეთის ეკონომია მისცა. ტექნოლოგიური მოწყობილობის ორგანიზაციული მუშაობის ფაკულტეტის მსმენელებმა დ. ჩუმაშვილმა, ნ. ზოზორაშვილმა და ი. ივრანისხმა შექმნეს გადასაადგილებელი ზეთის გამფილტრავი მოწყობილობა, რამაც მოგვცა 6000 მანეთის ეკონომია.

დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის „ექსპერიმენტიდან მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე“ სკოლის პროპაგანდისტმა, მთავარი ინჟინრის მოადგილემ ა. ხოფერიამ მსმენელებთან დ. შვანგირაძეს, დ. კირიანოვსა და ს. რახმილოვიჩთან ერთად შეიტანა წინადადება სპეცელექტროდების დადნობის მეთოდით. შტამპის აღდგენის შესახებ. აღნიშნული წინადადების დანერგვამ ქარხანას მისცა 82160 მანეთის წლიური ეკონომიკური ეფექტი. ამავე სკოლის მსმენელმა ს. სკრიპნიკოვმა ცვლილებები შეიტანა მასალების ხარჯვის ნორმებში, რამაც მისცა ეკონომიკური ეფექტი 10 ათასი მანეთის რაოდენობით. „კომკავშირული პოლიტგანათლების ქსელის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ეკონომიკის“ სკოლის მსმენელმა ვ. სამხარაძემ შეიტანა წინადადება შრომატევადობის შემცირების შესახებ, რომელმაც საწარმოს მისცა 2632 მანეთი ეკონომიკური ეფექტი.

ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შემსწავლელი საგნების ცალკეული პროპაგანდისტებისა და მსმენელების მიერ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შეტანილ პირად წვლილსა და იმ ეკონომიკურ უწყებაზე, რაც მათ ეკონომიკური განათლების ღრმად დაუფლებების შედეგად მისცეს რესპუბლიკას, რათა დავრწმუნდე: ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკური განათლების სისტემაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პრობლემების შემსწავლელი კომუნისტური შრომის სკოლების, კონკრეტული ეკონომიისა, ეკონომიკურ სემინარებისა, სახალხო უნივერსიტეტებისა და კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემაში გაერთიანებული 137196 მსმენელი და რამდენიმე ასეული პროპაგანდისტი არა მარტო საგნების მსმენელებია, არამედ კარგადაც ეუფლებიან აღნიშნულ საგნებს. ჩვენს მიერ მოყვანილი ფაქტები, რომლებიც ცალკეული პროპაგანდისტებისა და მსმენელების მიერ დანერგილ სიახლეებს ეხება, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია, ჩვენს მასალაში ვერ მოხვდნენ ეკონომიკური განათლების სისტემის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საგნების შემსწავლელი ასეუ-

ლობით პროპაგანდისტი და მსმენელი, რომელთა მიერ დანერგილმა ტექნიკურმა სიახლეებმა საგრძნობლად დააჩქარეს ჩვენს რესპუბლიკაში სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი. მსჯელობა იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წინსვლაში მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემა თამაშობდეს მთავარ როლს, არაა სწორი. აღნიშნულ საწარმოებში ეკონომიკური განათლების სისტემის გარდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში მთავარი როლი მიეკუთვნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ისეთ პოზიციებს როგორცაა: ახალი ტექნიკის დანერგვის ღონისძიებებზე გაწეული დანახარჯების შედეგად მიღებულია დიდი ეკონომიკური ეფექტი. მნიშვნელოვნად იზრდება ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად გამოთავისუფლებული მუშაკების რაოდენობა და ამ დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი (ზოგიერთ მსხვილ საწარმოებში იგი მილიონი მანეთით გამოიხატება, ზოგიერთში ათეული ათასობით და ა. შ.), მაღალ დონეზეა დაყენებული საწარმოო მოწყობილობის მოდერნიზაცია, რეგულარულად იქმნება მექანიზებული და ავტომატიზებული ნაკადური ხაზები, სულ უფრო მეტი რაოდენობით იქმნება და მატულობს კომპლექსური მექანიზებული და ავტომატიზებული უბნების, საამქროების, წარმოებების, საწარმოების რიცხვი, განუხრელად იზრდება ენერგოშეიარაღებისა და ელექტროშეიარაღების ზრდის ტემპები.

ყველა ზემოჩამოთვლილი ღონისძიებების გატარებასა და მის პრაქტიკულ ხორცშესხმას სათანადო სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი ადამიანები სჭირდება და სწორედ ასეთ ადამიანთა სამჭედლოა ეკონომიკური განათლების სისტემა საერთოდ და, კერძოდ, ადგილებზე შექმნილი ეკონომიკური განათლების სისტემის სკოლები და სემინარები. სწორედ ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი ადამიანები აჩქარებენ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და როგორც მრავალი მაგალითი მოწმობს, ჩვენს რესპუბლიკაში ეკონომიკური განათლების სისტემა ბევრად უწყობს ხელს ამ პროცესს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რესპუბლიკის მშრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემის გაიდილება მაინც არ შეიძლება. აღნიშნულ სისტემას თავისი ნაკლოვანებები და გადაუჭრელი პრობლემები აქვს, ჩვენ შევეცდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე, ყველაზე მთავარზე, გავეამახვილოთ ყურადღება.

ჯერ კიდევ ძალზე დაბალია ეკონომისტ-პროპაგანდისტების მომზადების ხარისხი. მათი იდეურ-პოლიტიკური დონე ყოველთვის ვერ პასუხობს სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული ეკონომიკური მშენებლობის ამოცანებს. მაგალითად, პირადად მე მქონდა შემთხვევა, როცა საქართველოს ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო საწარმოში ეკონომიკური განათლების სისტემის პროპაგანდისტებთან გასაუბრებისას 25 პროპაგანდისტიდან 18-მა ვერ მიპასუხა სწორედ ელემენტარულ კითხვაზე — რა საგანს ასწავლიდნენ ისინი.

ეკონომიკური განათლების სისტემაში არ არის ჩაბმული რესპუბლიკის ცალკეული ქალაქებისა და რაიონების აქტიური მოსახლეობის დიდი რაოდენობა. ზოგიერთი სასწავლო პროგრამა არაა ორიენტირებული მომჭირნეობისა და ეკონომიის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მშრომელთა ეკონომიკური განათლებისა და აღზრდის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ წინა პლან-

ზეა წამოწეული ამოცანა — გაძლიერდეს მოსწავლე ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ეკონომიკური მომზადება, უნდა ჩავენერგოთ მათ სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება.

აღნიშნული საკითხი დღის წესრიგში დააყენა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმმა. მოსწავლე ახალგაზრდობისა და სტუდენტების ეკონომიკური მომზადების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია მნიშვნელოვნად ავამაღლოთ ამ სფეროში მომუშავე პედაგოგთა ეკონომიკური თვალთახედვა.

ამ მიზნით უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ არაღამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა რესპუბლიკის ეკონომიკური განათლების სისტემაში პროპაგანდისტთა და მსმენელთა მიერ სამეურნეო საქმიანობის სრულყოფის ამოღების უზრუნველყოფის მიზნით წამოყენებული წინადადებების აღრიცხვასა და მათ დანერგვაში. როგორც წესი უნდა არსებობდეს პროპაგანდისტებისა და მსმენელების მიერ წამოყენებული წინადადებების სააღრიცხვო ქურნალი, მაგრამ რესპუბლიკის მეტწილ ეკონომიკური განათლების სკოლებსა და სემინარებში ასეთი სახის ქურნალები არა აქვთ.

დიდ სიძნელეს აწყდებიან პროპაგანდისტები და მსმენელები მათ მიერ წამოყენებული წინადადებების პრაქტიკულად დანერგვისას. არც თუ ისე იშვიათად ამ მხრივ შეინიშნება ბიუროკრატიული მიდგომა ხელმძღვანელთა მხრივ (წინადადებების უსაფუძვლო დაწუნება, ხელოვნურად გაჭიანურება და სხვა).

აუცილებელია ზემოაღნიშნული ხარვეზების უსწრაფესი აღმოფხვრა.

საჭიროა ყოველმხრივ გამოვრიცხოთ ეკონომიკური სწავლების ეფექტიანობისადმი გამარტივებული მიდგომა, რადესაც იგი მთლიანად დაიყვანება საწარმოო გეგმების შესრულებამდე. უეჭველია, არ შეიძლება ეკონომიკური სწავლება მოვწყვიტოთ კონკრეტულ ამოცანებს, რომლებიც შრომით კოლექტივებში წყდება, მაგრამ, ამასთანავე, გათვალისწინებულ უნდა იქნეს არა მარტო საწარმოო გეგმების მაჩვენებლები, დისციპლინის დონე, არამედ კოლექტივის მორალურ-პოლიტიკური კლიმატი, თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების მდგომარეობა, აგრეთვე, მშრომელთა გერგილიანობა და საქმიანობა, რის შესახებაც განსაკუთრებით აღინიშნა სკკპ ივნისის (1983 წ.) პლენუმზე.

პლენუმზე მითითებული იყო, რომ ეკონომიკური პროპაგანდის ცენტრში უნდა იდგეს პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაზე, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულია პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, შრომითი კოლექტივების მუშაობა. წარმატებით რომ გადაწყვიტოთ ეს ამოცანა, მნიშვნელოვანია მუდმივად სრულყოფით პროპაგანდისტთა მომზადება და გადაზადება, ეფექტიანად გამოვიყენოთ მათი ატესტაცია.

პროპაგანდისტთა თეორიული და მეთოდური დონის ასამაღლებლად საჭირო იქნება აქტიურად გამოვიყენოთ უმაღლესი სასწავლებლების, ეკონომიკური კათედრების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ეკონომიკურ განყოფილებათა შესაძლებლობები, უნდა ადვადგინოთ პროპაგანდისტთა დარგობრივი სემინარების ჩატარების პრაქტიკა.

მშრომელთა ეკონომიკური განათლების წარმატებით გადაწყვეტა, მასში ფორმალიზმის აღმოფხვრა შეუძლებელია ეკონომიკური განათლების სისტე-

მის სათანადო ლიტერატურით, მეთოდური რეკომენდაციებითა და დამხმარე მასალებით უზრუნველყოფის გარეშე.

ყველაზე რთულ პრობლემად რჩება ქართულ ენაზე სახელმძღვანელოთა უქონლობა. ოცზე მეტი ეკონომიკური კურსიდან, რომლებიც ეკონომიკური განათლების სისტემაში ისწავლება, ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება არც ერთი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის კურსი, რომელიც შედგენილი იქნებოდა მშრომელთა ეკონომიკური განათლების საპროგრამო მოთხოვნით.

ეკონომიკური განათლების მაღალი ქმედითობა ბევრადაა დამოკიდებული მის სასწავლო-მატერიალურ ბაზაზე, აქ საჭიროა სამინისტროებისა და უწყებების, ცალკეული საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების მხრიდან დიდი მომთხოვნელობისა და პრინციპულობის გამოჩენა. სულ ცოტა ხნის წინათ (1985 წლის დეკემბერში) მშრომელთა ეკონომიკური განათლების სექტორმა შეისწავლა აღნიშნული საკითხი საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით. უნდა აღვნიშნოთ, რომ მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელო აღმოჩნდა. მხოლოდ რამდენიმე სამინისტროსა და ზოგიერთ უწყებას თუ ჰქონდა მშრომელთა ეკონომიკური განათლების კაბინეტი, აღჭურვილი თვალსაჩინოებებითა და შესაფერისი ლიტერატურით. სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები შექმნილ მდგომარეობას იმით ამართლებენ, რომ კაბინეტის მოსაწყობად ფართობი ვერ გამოუწახავთ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაინერგოს ეკონომიკური განათლების კაბინეტების, კუთხეების, სასწავლო შენობების, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებების, სტენდებისა და ვიტრინების რესპუბლიკური დათვალიერება. დათვალიერებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რამდენადაა წარმოდგენილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებანი, სწავლების ტექნიკური აღჭურვილობა, დამხმარე თვალსაჩინოება, სასწავლო და მეთოდური ლიტერატურა.

პრობლემები სხვაც ბევრია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ძირითადზე გავამახვილეთ ყურადღება. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრა დიდად შეუწყობს ხელს ეკონომიკური განათლების სისტემის სრულყოფას, მისი დონის ამაღლებას.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, საქართველოს სსრ რესპუბლიკის ეკონომიკური განათლების სისტემა ასრულებს მის მიზნობრივ ფუნქციებს. იგი ადამიანებში ავითარებს თანამედროვე ეკონომიკურ აზროვნებას, შემოქმედებით ინიციატივას, უმუშავებს მათ სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველ, ყაირათიან დამოკიდებულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო სწავლების ეს ნაცადი სისტემა დიდად უწყობს ხელს ჩვენს რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დამკარებას.

Г. А. КАРТВЕЛИШВИЛИ

РОЛЬ ЭКОНОМИЧЕСКОГО ОБРАЗОВАНИЯ ТРУДЯЩИХСЯ В РАЗВИТИИ НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКОГО ПРОГРЕССА

Резюме

В Программе (новая редакция) Коммунистической партии Советского Союза одна глава посвящается экономической стратегии партии, в частности, ускорению научно-технического прогресса как главному рычагу роста эффективности производства.

Существует немало путей решения этой задачи, но самым эффективным из них является резкий поворот в сторону интенсификации производства.

Решение этих грандиозных задач, прежде всего, зависит от непосредственной производительной силы, от миллионов людей, занятых в промышленности и сельском хозяйстве, научно-исследовательских институтах. В решение этих задач свой вклад должны внести и те, кто по своему мировоззрению и профессиональному уровню может осуществить прогресс во всех отраслях народного хозяйства и областях культуры.

В осуществлении этого стратегического курса одно из основных значений придается повышению уровня экономического мышления трудящихся масс, качественному совершенствованию их общего и профессионального образования.

Выполняя постановление Центрального Комитета КПСС, Совета Министров СССР, ВЦСПС и ЦК ВЛКСМ «О дальнейшем улучшении экономического образования и воспитания трудящихся» (июль, 1982 г.), партийные, профсоюзные, комсомольские организации республики направили свою деятельность на то, чтобы пропагандисты школ и семинаров экономического образования трудящихся развернули работу по усилению связи обучения основам теории и экономического политики с жизнью, в тесном единстве с задачами производственных коллективов. Пропагандисты школ и семинаров экономического образования трудящихся получили задание сделать целью экономического образования более полное использование возможностей социализма, научить слушателей сравнивать затраты и результаты производства, использовать внутренние резервы, обосновывать встречные планы, социалистические обязательства, личные счета экономии.

В 1985 году 137196 тысяч слушателей, изучающих проблемы научно-технического прогресса, и пропагандистов на основе глубокого овладения экономическими знаниями и последующего их применения в процессе производственной деятельности, дали большую отдачу народному хозяйству республики, что составило несколько миллионов рублей.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერულ-ტექნიკური
პროგრესის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებაში



ნუგზარ ცოგია, თანავი ლოკოტივანიძე

რაიონული აბრუსამრეწველო კომპლექსის საწარმოო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი რგოლი

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტში ხაზგასმულია, რომ „უფრო აქტიურად განვითაროთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უშუალო კავშირი გადაამამუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან. გავზარდოთ დამამზადებელი ორგანიზაციებისა და მეურნეობების ურთიერთპასუხისმგებლობა სახელმეურნეო ვალდებულებათა შესრულებისათვის“¹.

აღნიშნული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა სასოფლო-სამეურნეო და გადაამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებთან ერთად მნიშვნელოვანადაა განპირობებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მალაფექტიანი მუშაობით. იგი ორგანიზაციას უწევს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებას; უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის სახელმწიფო გეგმების, დამამზადებელი ორგანიზაციისათვის დაწესებული ზეგეგმიით შესყიდვის დავალებებისა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესრულებას; ავლენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო რესურსებს და ორგანიზაციას უწევს მათ გასაღებას კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ; კოორდინაციას უწევს ყველა იმ ორგანიზაციისა და საწარმოს დამამზადებელ საქმიანობას, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების და ნედლეულის დამზადებას; ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს შესასყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ძიების, ხარისხის განსაზღვრისა და შესყიდული პროდუქციისათვის ანგარიშსწორების სისწორეზე; ახორციელებს ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტებისა და ნედლეულის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, რომელსაც ყველა სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაცია ამზადებს სახელმწიფო შესყიდვის წესით.

1984 წელს ქობულეთის რაიონში გადაჭარბებით შესრულდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ბოსტნეულის, ციტრუსის, თესლოვანი და კურკოვანი ხილის, ყურძნის, ხორცის, რძის, კვერცხის, აბრეშუმის პარკის, ბალახის ფქვილის, წვნიანი და უხეში საკვების და ეთერზეთოვანი კულტურების (ეგვალიპტის ფოთლის) დამამზადების გეგმები, რაშიც დიდი რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამამზადებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის როლი. ინსპექციამ თავისდროულად და მოკლე ვადაში უზრუნველყო საზოგადოებრივ მეურნეობებსა და დამამზადებელ ორგანიზაციებს შორის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების გაფორმება, განახორციელა მნიშვნელო-

¹ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი, გამოც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, გვ. 54.



ვანი ღონისძიებები გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დანახარჯების და პროდუქციის დანაკარგების შემცირებისათვის. შედეგად 1984 წელს 1983 წელთან შედარებით დამზადებულ იქნა 3286 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 14168 ტონით მეტი ციტრუსი, 539 ტონით მეტი ხორცი, 571 ათასი ცალით მეტი კვერცი და სხვ. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხარისხობრივი მაჩვენებლები.

1985 წელს, ცული ამინდების გამო, სათუო გახდა ბალახის ფქვილის დამზადების გეგმის შესრულება. რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის ინსპექციის თხოვნით პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ბალახის ნედლი მასის დამზადების გეგმა დაუწესა ყველა არასასოფლო საწარმოსა და ორგანიზაციას. შედეგად გადაჭარბებით იქნა შესრულებული ბალახის ფქვილის დამზადების გეგმა.

ასევე უნდა აღინიშნოს ინსპექციის მუშაობა ხილისა და დაფნის ფოთლის დამზადების გეგმების შესრულებისათვის. რაიონში ხილისა და დაფნის ფოთლის ძირითადი დამამზადებელია მოსახლეობა. უკანასკნელ წლებში მოსახლეობამ საკარმიდამო ნაკვეთებში ციტრუსოვანთა ბაღების გაფართოების მიზნით (როგორც უფრო შემოსავლიანი კულტურების) მასობრივად დაიწყო ხეხილისა და დაფნის ნარგავობის აჩეხვა, რამაც საფრთხე შეუქმნა მომავალში ამ კულტურების დამზადების გეგმის შესრულებას. რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის ენერგიული ჩარევის შედეგად საკარმიდამო ნაკვეთებზე შეჩერდა ამ სახეობის ნარგავობათა აჩეხვა და გატარდა კონკრეტული ღონისძიებანი ასეთი ქმედობის აღმოსაფხვრელად.

წლების განმავლობაში რაიონის ჩაის ფაბრიკებში დამკვიდრებული იყო ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღების შემდეგი პრაქტიკა: მიღებული ნედლეულის 10-15 % ფაბრიკა გამოიწუნებდა მასში გაყოლებული უხეში და მოუხეშო ფოთლების გამო, რაც უარყოფითად მოქმედებდა საზოგადოებრივ მეურნეობებზე: არავინ არ იცავდა ჩაის ფოთლის კრეფისა და ტრანსპორტირების წესებს, ადგილი ჰქონდა დანაკარგებსა და დარღვევებს. რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციამ აღნიშნულის შესახებ ჩაის ფოთლის კრეფის დაწყების წინ მოახსენა პარტიის რაიონულ კომიტეტს, მიღებულია სათანადო ზომები და 1984 წელს ასეთ ქმედებას უკვე ადგილი არ ჰქონია.

რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის ინსპექციის დიდ მუშაობაზე მიუთითებენ შემდეგი ციფრები: მარტო 1985 წლის 25 ივლისამდე პარტიის რაიონულ კომიტეტს, რაისაბჭოს აღმასკომს, სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტსა და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებას მოხსენდა 16 საკითხი, გამოვლენილ იქნა 175 დარღვევა, რის შედეგად სამუშაოდან განთავისუფლდა 8 მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, საყვედური გამოეცხადა 42-ს, ხოლო სხვადასხვა სასჯელი დაეკისა 125-ს.

დღეისათვის მოქმედი კონტრაქტაციის ხელშეკრულებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ითვალისწინებს 50 %-იან ფასდამატს მეათე ხუთწლედის საშუალო ღონის ზევით დამზადებული პროდუქციის რაოდენობისათვის. 1984 წლის შედეგების მიხედვით აღნიშნული ფასდამატის ვაცემულ იქნა ხარისხოვან ჩაის ფოთოლზე—4073,6 ათასი მანეთი, ხორციზე—134,5

ათასი და რძეხე — 63,9 ათასი მანეთი.

მოუხედავად გაწეული დიდი მუშაობისა, ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მუშაობაში ჯერ კიდევ გარკვეული ნაკლოვანებებია, რომელთა აღმოფხვრა დიდად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების გადიდებას და მათი ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებას.

საუწყებო დებულების მიხედვით ინსპექცია მოვალეა განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მრეწველობისა და ვაჭრობის საწარმოებთან პირდაპირი ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, რაც ჯერ-ჯერობით ინსპექციის მუშაობის ერთ-ერთი „ვიწრო ადგილია“.

უფრო უნდა გააქტიურდეს ინსპექციის მუშაობა დამამზადებელი ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ კანონმდებლობითი და კონტრაქტაციის ტიპობრივი ხელშეკრულებებით დადგენილი დამზადების პირობების შესრულებისათვის, აგრეთვე მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისათვის სანქციების გამოსაყენებლად. დასამალი არ არის, რომ ხშირად რაიონის დამამზადებელ ორგანოებსა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის სახელშეკრულებო ვალდებულებათა არასათანადო შესრულებისათვის არავითარი სანქციები არ გამოიყენება. ასე მაგალითად, ქობულეთის ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების მუშაობის შესწავლამ გვიჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მიმართ არავითარი სანქციები არაა გამოყენებული, მაშინ როცა სიტყვიერი პრეტენზიები (და სავსებით სამართლიანიც) ძალზე დიდია. ჩვენი აზრით, აღნიშნული გამოწვეულია ძირითადად ორი მიზეზით: ჯერ ერთი, მხარეებს, რომლებიც მთლიანად ერთმანეთზე არიან დამოკიდებული, არ სურთ გამწვავონ თავიანთი ურთიერთობა და მეორეც, სანქციების დაბალი ოდენობა ვერ უზრუნველყოფს მის ეფექტიანობას. სწორედ აქ უნდა გამოვლინდეს დამზადებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის აქტიური როლი — სახელშეკრულებო ვალდებულებისა და დამზადების პირობების დარღვევის არც ერთი წვრილმანი შემთხვევაც კი არ უნდა დარჩეს მისი რეაგირების გარეშე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ გაიზარდოს სანქციების სიდიდე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისათვის, ნაცვლად 3-ისა, 5 %-მდე.

ჯერ კიდევ არასაკმარისია რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის კონტროლი სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებსა და იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე, რომლებიც ეწევიან სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვას დეცენტრალიზებული დამზადების წესით, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტებისა და ნედლეულის საკომისიოდ მიღებაზე.

დებულების მიხედვით, ინსპექცია მოვალეა განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიღებისა და ხარისხის განსაზღვრის სისწორეზე, ამ პროდუქციისათვის სწორ და დროულ ანგარიშსწორებაზე, აგრეთვე გადაწყვიტოს დავა, რომელიც წამოიჭრება დამამზადებელ და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს შორის შესასყიდი პროდუქციის ხარისხის შეფასებისა და წონის განსაზღვრისათვის. მიგვაჩ-

ნია, რომ უფრო გამართლებული იქნება თუ კი ინსპექციას, როგორც არადა-ინტერესებულ „მესამე პირს“ უშუალოდ დაეკისრება შესასყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის შეფასება და წონის განსაზღვრა, რაც აღმოფხვრის პრაქტიკაში არსებულ ხშირ დავასა და პრეტენზიებს დამამზადებელ ორგანიზაციებში შესასყიდი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის შეფასებისა და წონის განსაზღვრისას.

ჯერ კიდევ სუსტია სახელმწიფო ინსპექციის ზედამხედველობა დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაგროვებასა და შენახვაზე, აგრეთვე დამამზადებელ ორგანიზაციათა და საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დროულ მომზადებაზე სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის მისაღებად. ასე მაგალითად, 1984 წელს რაიონის შემფუთავ ქარხნებს დიდი რაოდენობით აკლდათ საბრუნავი მუშა ყუთები და გადასატანი სტანდარტული ყუთები, აგრეთვე დასაჰედი ლურსმანი და შესაფუთი ქაღალდი.

როგორც ცნობილია, რაიონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვისა და ხარისხის სახელმწიფო ინსპექცია ორმაგი დაქვემდებარების წესით შედის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებაში, ამდენად უფრო გამართლებული იქნება თუ კი მისი ფუნქციები გავრცელდება გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოებზეც. კერძოდ, მან უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ საწარმოთა მიწოდების ხელშეკრულებების შესრულება, განახორციელოს კონტროლი აღნიშნულ საწარმოთა პროდუქციის ხარისხის განსაზღვრასა და მიწოდებული პროდუქციისათვის ანგარიშსწორების სისწორეზე, განახორციელოს ღონისძიებანი გადაამუშავებელ საწარმოებში პროდუქციის ხარისხის ასამღებლად, აღნიშნული ღონისძიებების გატარება უზრუნველყოფს რაიონის სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებას, მნიშვნელოვნად აამღებს რაიონული აგროსამრეწველო კომპლექსის, როგორც ერთიანი სამეურნეო ორგანიზმის, ეფექტიანობას, ხოლო „აგროსამრეწველო კომპლექსის მწყობრ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მთლიანად სახალხო მეურნეობის მდგომარეობა და შემდგომი განვითარება, ხალხის კეთილდღეობა“²,

Н. П. ЦОМАЯ, Т. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ

ВАЖНОЕ ЗВЕНО ПРОИЗВОДСТВЕННОЙ ИНФРАСТРУКТУРЫ РАЙОННОГО АГРОПРОМЫШЛЕННОГО КОМПЛЕКСА

Резюме

Рассмотрены вопросы, связанные с совершенствованием производственной инфраструктуры агропромышленного комплекса. Анализируется практика работы государственной инспекции по заготовке и качеству сельскохозяйственной продукции, приведены данные, которые говорят об эффективности проведенной инспекцией работы. Наряду с этим отмечено, что инспекция не в полную силу использует полномочия, предоставленные ей отраслевым положением.

В работе даны практические рекомендации по повышению эффективности районного агропромышленного комплекса, в том числе производственной инфраструктуры.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პრობლემების განყოფილებამ

² გაზეთი „კომუნისტი“, 1985 წ., 23 იანვარი.

მზია მსახაია

ინტენსიური ფაქტორების გავლენის ანალიზი ეკონომიკური ფუნქციონირების მაჩვენებლებზე აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობაში

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში აღნიშნულია: „აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითადი ამოცანებია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილური ზრდის მიღწევა, ქვეყნის სასურსათო პროდუქტებითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით საიმედო მომარაგება, კომპლექსის ყველა დარგის ძალისხმევით გაერთიანება მაღალი საბოლოო შედეგების მისაღებად სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესაბამისად“¹.

სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აგროსამრეწველო კომპლექსებში, რადგან მის განვითარებაზე დამოკიდებული არა მხოლოდ მოსახლეობის მომარაგება სრულფასოვანი და სხვადასხვაგვარი საკვები პროდუქტებით, არამედ გადამმუშავებელი მრეწველობის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის რიტმულობა და ეფექტურობა. როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა «...производство продуктов питания является самым первым условием жизни непосредственных производителей и всякого производства вообще...»².

პარტიისა და შთავრების აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია ხასიათდება წარმოების საშუალებების ზრდით ფართობის ერთეულსა და ერთ მომუშავეზე. აქედან გამომდინარე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ტენდენციების შესწავლის და სათანადო ღონისძიებების დასახვის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფონდშეიარაღებისა და ფუნდუზრუნველყოფის დონესა და წარმოების ეფექტიანობას შორის კავშირის შესწავლას. აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობების საწარმოო ფონდებით აღჭურვის მიხედვით დაჯგუფების მონაცემები ამტკიცებს, რომ წარმოების ინტენსივობის ზრდის შესაბამისად მალღდება სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქტის გამოსავლის (სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 1 ჰა-სა და ერთ მომუშავეზე გაანგარიშებით) და რენტაბელობის მაჩვენებლები, ხოლო მცირდება ფონდუკუგების მაჩვენებელი (იხ. № 1). ფონდუკუგების მაჩვენებლის შემცირების ერთ-ერთი მიზეზია ძირითად საწარმოო ფონდებში შენობა-ნაგებობათა ხვედრითი წილის ზრდა.

1 სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი. პროექტი. ვაზ. „კომუნისტი“, 1985 წ. 9 ნოემბერი.

2 Маркс К., Энгельс Ф. Соч., т. 25, ч. II, с. 184—185.



აფხაზეთის მსხრკელეკრეკეობეხს ეკონომიკური მარეკრეკეობეხს სსოდელო-სამეკრეკრეო მარეკრეკეობეხს ინტენსიუიზმის დინამიკეკე
(1981-1984 წწ.)¹

სტატისტიკის
სერვისი
სამეკრეკრეო

	ზომის ეკრეკეული	კოლმეკრეკრეობათა დარეკრეკეობა სსოდელო-სამეკრეკრეო სეკრეკრეო I მარეკრეკრეო ეკრეკრეოებში ძირითადი სარეკრეკრეო დინამიკეკე და სამეკრეკრეო სარეკრეკრეოებში მარეკრეკრეო				
		I 700-ზეგ	II 700-1600	III 1600-2500	IV 2500- ზეგაღეკე	
კოლმეკრეკრეობათა რეკრეკე		12	27	14	8	61
სსოდელო-სამეკრეკრეო სეკრეკრეო I მარეკრეკრეო მარეკრეკრეო ძირითადი სარეკრეკრეო დინამიკეკე და სამეკრეკრეო სარეკრეკრეო ეკრეკრეოებში სარეკრეკრეო მარეკრეკრეო დინამიკეკე	მან.	464	1100	2190	3089	1301
ძირითადი სარეკრეკრეო დინამიკეკე სარეკრეკრეო მარეკრეკრეო დინამიკეკე	"	314	723	1436	1600	901
სსოდელო-სამეკრეკრეო დინამიკეკე ძირითადი სარეკრეკრეო დინამიკეკე სარეკრეკრეო მარეკრეკრეო დინამიკეკე	"	290	678	1388	1852	861
ძირითადი მარეკრეკრეო დინამიკეკე (სარეკრეკრეო ეკრეკრეო)	"	384	722	1143	1347	782
დინამიკეკე	თ. მან.	1,7	2,42	3,58	3,36	2,81
სოდელო-სამეკრეკრეო მარეკრეკრეო სარეკრეკრეო სეკრეკრეო I მარეკრეკრეო ეკრეკრეოებში	მან.	199	630	1087	1256	609
მარეკრეკრეო სარეკრეკრეო	თ. მან.	1,18	2,25	2,80	2,28	2,28
სოდელო-სამეკრეკრეო მარეკრეკრეო სარეკრეკრეო დინამიკეკე 100 მან.ზე ეკრეკრეოებში	მან.	70,18	87,28	95,13	93,22	89,35
რეკრეკრეო (მარეკრეკრეო ინტენსიუიზმის მარეკრეკრეო დინამიკეკე)	%	14	23,9	24,2	27,8	24

1. სტატისტიკის სამსახურის აფხაზეთის მსხრკელეკრეოების 1981-1984 წლების მარეკრეკრეო მარეკრეკრეო მარეკრეკრეო დინამიკეკე
სარეკრეკრეო.

სტატისტიკის სამსახური

როგორც ვიცით, ნებისმიერი ეკონომიკური პროცესი განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორების მოქმედებით. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობაც განისაზღვრება მრავალგვარი ფაქტორის მოქმედებით, რომელთა შორის გამოვყოფთ მიწის ფართობთა სტრუქტურას, კომპლექსურ მექანიზაციასა და ფონდალტურვილობას, მინერალური სასუქების, საკვების და შრომითი რესურსების გამოყენებას.

1. მიწის ფართობთა სტრუქტურის გავლენა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავლიანობაზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი შეფასებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ცალკეულ კულტურებს შორის მიწის ფართობთა რაციონალური განაწილება.

მიწათმოქმედებაში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ნიადაგის ნაყოფიერებაზე, ამასთან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე, არამედ ამ კულტურების მოსაყვანად მიწის რაციონალურ განაწილებაზეც.

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, განხილული დინამიკაში, არ არის ერთნაირი. 1984 წელს 1966 წელთან შედარებით ამაღლდა ყველა კულტურის მოსავლიანობა, მათ შორის ჩაის—2,8-ჯერ, ციტრუსების—1,5-ჯერ, ბოსტნეულის—4,3-ჯერ, ხოლო ყურძნის—3,7-ჯერ; მაგრამ 1975 წელთან შედარებით შემცირდა ზოგიერთი კულტურის მოსავლიანობა, მათ შორის თამბაქოს—1,9, ყურძნის—4,2, ხოლო ხილის—17,9 პროცენტით.

1966-1984 წწ-ის პერიოდში საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად შემცირდა (1,5-ჯერ) ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიერ დაკავებული ფართობის სიდიდე, შეიცვალა ამ ფართობის სტრუქტურაც. ბოლო ოთხი წლის მიხედვით, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მიერ დაკავებული ფართობის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება 1966 და 1975 წლების სტრუქტურისაგან. შემცირდა სიმინდის, ხილის, თამბაქოს ფართობის ხვედრითი წილი მთლიან ფართობში, მაშინ როდესაც გაიზარდა ჩაის, ციტრუსებისა და ღია გრუნტის ბოსტნეულის ფართობის ხვედრითი წილი. ჩაი, ბოსტნეული, ციტრუსები სხვა კულტურებთან შედარებით ხასიათდებიან მაღალი მოსავლიანობით და სტრუქტურული ცვლილებები ამ კულტურების ხვედრითი წილის ზრდით უზრუნველყოფენ საერთო მოსავლიანობის* ზრდას.

სტრუქტურული ცვლილებების გავლენა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავლიანობაზე საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობებში შევისწავლოთ საინდექსო მეთოდის³ გამოყენებით. აღნიშნული მეთოდი ითვალისწინებს ინდექსის ურთიერთდაკავშირებული სისტემის (მუდმივი შემადგენლობის, სტრუქტურული ცვლილების და ცვლადი შემადგენლობის ინდექსები) აგებას. ინდექსთა ამ სისტემაში ცვლადი შემადგენლობის ინდექსი გამოდის როგორც დანარჩენი ორი ინდექსის ნამრავლი. აქედან მუდმივი

* შენიშვნა. კულტურების საერთო მოსავლიანობაში იგულისხმება ამ კულტურების მოსავლიანობის შეწონილი საშუალო არითმეტიკული მათ მიერ დაკავებულ მიწის ფართობთა მიხედვით.

³ Рязов Н. Н. Общая теория статистики. М., «Финансы и статистика», 1984, с. 281—286.

შემადგენლობის ინდექსი განსაზღვრავს როგორ იცვლება საკვლევი მაჩვენებელი დინამიკაში საბაზისო წელთან შედარებით უცვლელი სტრუქტურის შემთხვევაში, ხოლო სტრუქტურული ცვლილების ინდექსი გვიჩვენებს საბაზისო წელთან შედარებით მოცემული მაჩვენებლის დინამიკაზე სტრუქტურული ცვლილების გავლენის ზომას.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავლიანობის ინდექსების დინამიკური მწკრივები საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობებისათვის მოცემულია № 2 ცხრილში. შესადაარებლად აღებულია 1966, 1975 და 1980 წლები.

ც ხ რ ი ლ ი 2

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობების ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას დინამიკის ინდექსები 1966, 1975 და 1980 წლების მოსავლიანობასთან შეფარდებით (%)

მოსავლიანობის დინამიკის ინდექსები	საბაზისო წელი	წ ე ლ ი						
		1966	1975	1980	1981	1982	1983	1984
ცვლადი შემადგენლობის ინდექსი	1966	100	187,0	260,8	269,3	294,8	317,8	338,1
	1975	—	100	139,3	144,1	157,7	170,1	180,8
	1980	—	—	100	103,5	113,3	122,2	130,0
მუდმივი შემადგენლობის ინდექსი	1966	100	186,1	236,8	238,1	257,9	273,0	284,0
	1975	—	100	128,0	128,8	138,6	147,9	154,0
	1980	—	—	100	100,2	108,1	115,6	119,6
სტრუქტურული ცვლილების ინდექსი	1966	100	100,5	109,8	113,1	114,3	116,4	119,0
	1975	—	100	108,8	111,9	113,8	115,0	117,4
	1980	—	—	100	103,3	104,8	105,7	108,7

№ 2 ცხრილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1980-1984 წწ. პერიოდში 1966 და 1975 წლებთან შედარებით სტრუქტურული ცვლილების ხარჯზე მიღებულ იქნა საერთო მოსავლიანობის ნამატის მნიშვნელოვანი ნაწილი. განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს 1984 წელი. აღნიშნულ წელს, სტრუქტურული ცვლილების ხარჯზე 1980 წელთან შედარებით საერთო მოსავლიანობა ამაღლდა 8,7 პროცენტით, ხოლო 1966 წელთან შედარებით — 19 პროცენტით.

აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობის სტრუქტურის ცვლილებები ცალკეული მაღალმოსავლიანი კულტურების (ჩაი, ციტრუსები) ხარჯზე შეიძლება გავაგრძელოთ. ამით გაიზარდა საერთო მოსავლიანობა. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ცალკეული კულტურების (მაგალითად, ციტრუსების) ხვედრითი წილის მკვეთრი ამაღლება აძლიერებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შედეგების დამოკიდებულებას კლიმატური პირობებისაგან.

სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების შენარჩუნება, რომლებიც განსხვავებულად რეაგირებენ კლიმატურ პირობებზე, გარკვეულად გა-

ნაპირობებს არაკეთილსასურველი ბუნებრივი პირობების უარყოფითი შედეგების კომპენსირებას. ამასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანაში სასურსათო პროგრამის განხორციელების აუცილებლობაც.

2. ინტენსიფიკაციის ძირითადი ფაქტორების გავლენა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის მთავარ მაჩვენებელზე — სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გამოსავალი მიწის ფართობის ერთეულზე. წარმოების ინტენსიფიკაციის ეფექტიანობის ამაღლების საფუძველია მისი კომპლექსური მექანიზაცია. სოფლის მეურნეობაში ყველა საწარმოო პროცესის კომპლექსური მექანიზაცია მოითხოვს სხვადასხვა ნიადაგობრივ-კლიმატური ზონისათვის მანქანების შესაბამისი სისტემის შექმნას. ასე მაგალითად, წარმოების ინტენსიფიკაციის პირობებში „ჩვენ გვინდა ისეთი ტექნიკა გვექონდეს, რომელიც საშუალებას მოგვცემს ხენა დავამთავროთ 12 დღეში (დღეს კი ვამთავრებთ 25 დღეში), მარცვლეულის თესვა — 3 დღეში (გრძელდება 7 დღემდე)“⁴.

სოფლის მეურნეობას სჭირდება მაღალმწარმოებლური, საიმედო, ხანგამძლე, ეკონომიური და უნივერსალური ტექნიკა, რომელიც სხვადასხვა საშუაოს ერთ სვლაზე შეითვისებს, ყოველგვარ ამინდში მოსავლის უდნაკარგო აღების საშუალებას მოგვცემს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამხრეთისა და სუბტროპიკული კულტურების რეგიონის მთიანი რელიეფისათვის აუცილებელია რიგი განსაკუთრებული, მცირე გაბარიტების მქონე მანქანა-იარაღების შექმნა და სერიული გამოშვება.

მაღალგანვითარებული მანქანების სისტემის შექმნა საშუალებას მოგვცემს შოვანდინოთ სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონეში განსხვავების ლიკვიდაცია. საკვლევი რეგიონის სოფლის მეურნეობაში არათანაბარია არა მხოლოდ ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (ჩაი, თამბაქო, სიმინდი, ციტრუსები), არამედ სასოფლო-სამეურნეო რაიონების მიხედვით ერთი და იგივე საწარმოო პროცესების მექანიზაციის დონეც.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდების ზრდასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში უკვე არსებული საწარმოო სიმძლავრეების რაციონალური გამოყენება, სწორი მოვლა, დროული შეკეთება, ცვლიანობის კოეფიციენტის ამაღლება.

ტექნიკასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითადი საწარმოო ფონდების სხვა შემადგენელი ელემენტების ეფექტიანობის ამაღლებას. კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის გამოყენებით შევადგინეთ სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციასა და ძირითად საწარმოო ფონდებს შორის რაოდენობრივი კავშირი.

საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის აღნიშნული დამოკიდებულება (1975-1984 წწ.) წარმოვიღებთ შესაბამისად რეგრესიის შემდეგი განტოლებებით:

$$y_1 = 5,730 + 0,636x_1; \quad y_2 = 44,743 + 0,168x_2,$$

4. შ. კერესელიძე. ტექნიკა სოფლის სიმდიდრეა. ვაზ. „კომუნისტი“, 1985 წ., 1 ივნისი.

სადაც x_1 და x_2 — შესაბამისად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულებაა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 100 ჰა-ზე გაანგარიშებით, ათასი მან.

y_1 და y_2 — შესაბამისად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობაა ფართობის იმავე ერთეულზე, ათასი მან.

მიღებული განტოლებების თანახმად, ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 100 ჰა-ზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების ზრდა 1 ათასი მანეთით იწვევს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდას საშუალოდ 636 მანეთით, საბჭოთა მეურნეობებში კი — 168 მანეთით.

კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობამ კოლმეურნეობებისათვის შეადგინა 0,964, საბჭოთა მეურნეობებისათვის — 0,921, რაც ასაბუთებს მიწის ფართობის ერთეულიდან პროდუქციის გამოსავალსა და ფონდურწევლეყოფის მაჩვენებელს შორის მჭიდრო კავშირის არსებობას. გამოთვლები გვიჩვენებენ, რომ საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ცვლილების 92,8, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში 84,9 პროცენტს განსაზღვრავს აღნიშნული ფაქტორი.

1975-1984 წწ-ის მონაცემების დამუშავების შედეგად, საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობებისათვის მივიღეთ რეგრესიის შემდეგი განტოლება:

$$y = -21,317 + 0,453x_1 + 0,793x_2 + 1,077x_3 + 0,913x_4, \quad (1)$$

სადაც x_1 — სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულებაა, ათასი მან;

x_2 — სოფლის მეურნეობაში შრომითი დანახარჯებია, ათასი კაც-სთ;

x_3 — მინერალურ სასუქებზე დანახარჯებია, ათასი მან;

x_4 — გამოყენებული საკვების ღირებულებაა, ათასი მან;

y — სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციაა, ათასი მან.

ყველა შემთხვევაში განხილული ფაქტორი და მათ შორის შედეგობრივი მაჩვენებელიც განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 100 ჰა-ზე.

(I) განტოლების თანახმად, საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 100 ჰა-ზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების ერთი ათასი მანეთით ზრდა იწვევს მთლიანი პროდუქციის ზრდას საშუალოდ 453 მანეთით, შრომითი დანახარჯების ზრდა ერთი ათასი კაც-სთ-ით — 793 მანეთით ზრდას, მინერალურ სასუქებზე დანახარჯების ზრდა ერთი ათასი მანეთით — 1077 მანეთით ზრდას, ხოლო გამოყენებული საკვების ზრდა ღირებულებით გამოხატულებაში ერთი ათასი მანეთით — 913 მანეთით ზრდას.

მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტის მაღალი მნიშვნელობა ($R = 0,976$) ასაბუთებს მჭიდრო კავშირის არსებობას ერთის მხრივ განხილულ ფაქტორებსა და მეორეს მხრივ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობას შორის. დეტერმინაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა (0,953) კი გვიჩვენებს, რომ საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ვარიაციის 95,3 %-ს განსაზღვრავს გამოყოფილი ფაქტორები.

5. „მაინე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია



ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1957-1984 წწ-ში სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 100 ჰა-დან მთლიანი პროდუქციის გამოსავლის ფაქტორი მნიშვნელობები განსხვავდება (I) განტოლების მიხედვით გამოთვლილისაგან მხოლოდ 0-6 %-ით.

1981-1984 წწ. აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებში ცალკეული სასოფლო-სამეურნეო რაიონის მიხედვით მთლიანი პროდუქციის სიდიდებზე განხილული ფაქტორების გავლენის შესასწავლად შევადგინეთ მრავალფაქტორული კორელაციური მოდელი. იმ დაშვებით, რომ აღნიშნულ ფაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთეულ ფართობზე მთლიანი პროდუქციის გამოსავალს შორის წრფივი კავშირია, გამოვთვალეთ წყვილი და მრავლობითი კორელაციის და დეტერმინაციის მნიშვნელობები.

1981-1984 წწ. გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობებში თითქმის არ გამოვლინდა კორელაციური კავშირი დახარჯული საკვების ღირებულებასა და სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციას შორის ($r=0,037$). აგრეთვე დაბალია ეს კავშირი ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებშიც ($r=0,384$).

ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებით, განვიხილეთ მხოლოდ პირველი სამი ფაქტორის გავლენა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობაზე. გამოთვლები გვიჩვენებს, რომ ქ. გაგრის ზონაში გამოყოფილი ფაქტორების ზემოქმედებით განპირობებულია მთლიანი პროდუქციის გამოსავლის ცვლილების 98,8 %, გუდაუთის რაიონში — 75,9 %, სოხუმის რაიონში — 68,7 %, გულრიფშის რაიონში — 96,6 %, ოჩამჩირის რაიონში — 64,5 %, ხოლო ვალის რაიონში — 88,5 %.

საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობებისათვის ცალკეული სასოფლო-სამეურნეო რაიონის მიხედვით ელასტიურობის კერძო კოეფიციენტები და β კოეფიციენტები გამოთვლილი და მოცემულია № 3 ცხრილში.

ც ხ რ ი ლ ი 3

ელასტიურობის კერძო კოეფიციენტებისა და β -კოეფიციენტების მნიშვნელობები გამრთვლილი აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებისათვის ცალკეული სასოფლო-სამეურნეო რაიონის მიხედვით (1981—1984 წწ.)

სასოფლო-სამეურნეო რაიონები	ელასტიურობის კერძო კოეფიციენტები			β -კოეფიციენტები		
	α_1	α_2	α_3	β_1	β_2	β_3
ქ. გაგრის ზონა	0,518	0,325	0,320	0,569	0,251	0,225
გუდაუთის რაიონი	0,845	0,175	0,203	0,717	0,082	0,132
სოხუმის რაიონი	0,429	0,180	0,776	0,287	0,113	0,487
გულრიფშის რაიონი	0,574	0,234	0,220	0,611	0,186	0,238
ოჩამჩირის რაიონი	0,608	0,300	0,003	0,611	0,249	0,002
ვალის რაიონი	0,301	0,424	0,235	0,1139	0,1143	0,009

ელასტიურობის კერძო კოეფიციენტებისა და β — კოეფიციენტების მნიშვნელობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გამოყოფილი ფაქტორებიდან ქ. გაგრის ზონაში, გუდაუთის, გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების კოლმეურნეობებში მთლიანი პროდუქციის მოცულობაზე როგორც ფაქტორების აბსოლუტური ნაზრდით, ასევე მათი რხევის გათვალისწინებით, ყველაზე მეტ გავლენას ახდენს x_1 ფაქტორი — სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდები, ხოლო სოხუმისა და ვალის რაიონებში შესა-

ბამისად x_3 ფაქტორი — მინერალური სასუქები და x_2 ფაქტორი — შრომითი დანახარჯები.

როგორც ვიცი, ზოგადად, საზოგადოებრივი წარმოების და ასევე მისი ყოველი დარგის სამეურნეო ანგარიშიანი ეფექტიანობა განისაზღვრება წარმოების შედეგების შეფარდებით დანახარჯებთან.

საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობებისათვის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სიდიდებზე საერთოდ ყველა სახის დანახარჯების გავლენა გამოისახება შემდეგი განტოლებით:

$$y = 18,714 + 0,523x,$$

ხოლო საბჭოთა მეურნეობებისათვის —

$$y = 111,492 + 0,81x,$$

სადაც x — ძირითად წარმოებაზე საერთო დანახარჯების სიდიდეა სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 100 ჰა-ზე გაანგარიშებით, ათასი მან.;

y — სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციაა ფართობის იმავე ერთეულზე გაანგარიშებით, ათასი მან.

კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობამ კოლმეურნეობებისათვის შეადგინა 0,970, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისათვის — 0,968.

ელასტიურობის კოეფიციენტების მნიშვნელობები გვიჩვენებენ, რომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 100 ჰა-ზე საერთო დანახარჯების ზრდა 1 %-ით კოლმეურნეობებში საშუალოდ იწვევს მთლიანი პროდუქციის ზრდას 0,65 %-ით, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 0,5 %-ით. ეს წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელია. მაგრამ მაღალი ეკონომიკური ეფექტიანობის მისაღებად ამ ზრდას თან უნდა ახლდეს დანახარჯების ერთ მანეთზე სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის გზმოსავლის ზრდა.

3. ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური მაჩვენებელი. ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის ცალკეულ მაჩვენებლებს და მათი ტენდენციების ანალიზს არ შეუძლია მოგვცეს, რთული ეკონომიკურ-სოციალური საწარმოო პროცესის ამომწურავი დახასიათება, რაც განსაკუთრებით აქტუალურია სოფლის მეურნეობისათვის. არც სისტემური მიდგომის საფუძველზე შეგვიძლია დასაბუთებულად განვსაზღვროთ წარმოების ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობა, ვინაიდან მაჩვენებელთა სისტემის გამოყენება საშუალებას არ გვაძლევს ცალსახა პასუხი გავცეთ კითხვაზე, თუ საკვლევი რეგიონის რომელ საწარმოშია მაღალი ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობა სხვა საწარმოებთან შედარებით. ამ წინააღმდეგობას წარმოშობს ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა სხვადასხვა თანაფარდობა, რის გამოც ერთ-ერთი მაჩვენებლის მიხედვით საწარმო შეიძლება მივაკუთვნოთ რეგიონში ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის მაღალი დონის მქონე საწარმოთა ჯგუფს, ხოლო სხვა მაჩვენებლის მიხედვით საშუალოს ან დაბალს.

ზემოთ აღნიშნულმა წარმოშვა ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური მაჩვენებლის აგების აუცილებლობა. კომპლექსური მაჩვენებლის აგების საკითხი გადაიჭრება, თუ პირველ რიგში გავითვალისწინებთ ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს და, მეორე, მივალწვეთ მათ შესაღარიბობას.

ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური მაჩვენებლის ასაგებად, მითითებული პირობების დაცვით, წარმატებით გამოვიყენებთ მრავალგანზომილებიანი ანალიზის ტაქსონომიკურ მეთოდს⁵. ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა სტატისტიკურ ერთობლიობაში, რომელთა დაკვირვების ერთეულები აღწერილია ნიშანთა მთელი სისტემით, გამოვავლინოთ კანონზომიერებანი, განვაზოგადოთ ნიშანთა ეს სისტემა და გამოვსახოთ ისინი ერთი მაჩვენებლით.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებისათვის (საშუალოდ 1981-1984 წწ.) ავაგეთ ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური მაჩვენებელი. მახასიათებელ ნიშნად ავიღეთ ძირითადი საწარმოო ფონდებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შემდეგი მაჩვენებლები: პროდუქტიულობა (სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია* სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 1 ჰა-ზე გაანგარიშებით, ათასი მან.); შრომის ნაყოფიერება (სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია უშუალოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ერთ საშუალო წლიურ მუშაკზე გაანგარიშებით ათასი მან.); საწარმოო დანახარჯების ეფექტიანობა (სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია საწარმოო დანახარჯების 1 მან-ზე გაანგარიშებით, მან.); ფონდუკუება (სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საწარმოო ფონდების 1 მან-ზე გაანგარიშებით, მან.) რენტაბელობა (წმინდა შემოსავლის თანაფარდობა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან).

კომპლექსური მაჩვენებლის გაანგარიშების პირველ ეტაპზე ვაწარმოებთ დასახელებული ნიშნების სტანდარტიზაციას. სტანდარტიზაციის პროცესი მოასწორებს ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების მნიშვნელობებს, ამასთან აბსოლუტური* გადახრისა და რხევის გათვალისწინებით მათ ხდის შესადაარისს.

გაანგარიშების შემდეგ ეტაპზე ვეძებთ ეფექტიანობის თითოეული მაჩვენებლის მაქსიმალურ მნიშვნელობას დაკვირვებათა მთელი ერთობლიობისათვის და გამოვსახავთ მათ გეომეტრიული წერტილის სახით — A_0 (Y_{01} ; Y_{02} ; Y_{03} ; Y_{04} ; Y_{05}), რომელიც წარმოადგენს ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური მაჩვენებლის „ეტალონს“.

1981-1984 წწ. აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებისათვის კომპლექსური მაჩვენებლის ეტალონს აქვს სახე — A_0 (2.57; 3.12; 1.63; 3.23; 2.00).

კომპლექსური მაჩვენებლის განსაზღვრის შემდეგ ეტაპზე დაკვირვების ყოველი ობიექტისათვის ვითვლით მანძილს მაჩვენებლების სტანდარტიზირებულ მნიშვნელობებსა და A_0 წერტილის შორის.

ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური მაჩვენებლის მნიშვნელობების ანალიზის თანახმად, საკვლევი რეგიონის კოლმეურნეობებიდან, ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობა ყველაზე მაღა-

⁵ Весплав Глюта. Сравнительный многомерный анализ в экономических исследованиях. М., «Статистика», 1980, с. 11, 16—17.

* შენიშვნა. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია აღებულია 1973 წლის შესაღარი ფასებში.

⁶ Весплав Глюта. Сравнительный многомерный анализ в экономических исследованиях. с. 17.

ლია ოჩამჩირის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში, ხოლო ყველაზე დაბალი სოხუმის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური მაჩვენებლის მნიშვნელობების ანალიზი ცალკეული სასოფლო-სამეურნეო რაიონების მიხედვით კი გვიჩვენებს, რომ ქ. გაგრის ზონაში ძირითადი საწარმოო ფონდები და სხვა სასოფლო-სამეურნეო რესურსები შედარებით კარგად გამოიყენება „კიარაზის“ კოლმეურნეობაში.

საკვლევი რეგიონის ცალკეული სასოფლო-სამეურნეო რაიონების მიხედვით ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის მაღალი და დაბალი მაჩვენებლის მქონე კოლმეურნეობები გამოყოფილია № 4 ცხრილში.

ც ხ რ ი ღ 4

აფხაზეთის ასსრ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური მაჩვენებლის მნიშვნელობა ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით (1981-1984 წწ.)

სასოფლო-სამეურნეო რაიონები	კოლმეურნეობათა დასახელება	ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური მაჩვენებლის მნიშვნელობა
ქ. გაგრის ზონა	„კიარაზი“	0,4295
	ილიჩის სახელობის	0,4252
	კიროვის სახელობის	0,1682
გუდაუთის რაიონი	„დღორიფში“	0,7469
	XIX პარტყრილობის სახელობის	0,0939
სოხუმის რაიონი	რუსთაველის სახელობის	0,5242
	ლენინის სახელობის	0,0293
გულრიფშის რაიონი	შაუმიანის სახელობის	0,4101
	ბუშკინის სახელობის	0,2114
ოჩამჩირის რაიონი	რუსთაველის სახელობის	0,8992
	ბარათაშვილის სახელობის	0,1902
გალის რაიონი	ბარათაშვილის სახელობის	0,6542
	ლენინის სახელობის	0,6238
	კიროვის სახელობის	0,2725

ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა საკვლევ რეგიონში ხასიათდება ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური მაჩვენებლის ყველაზე მაღალი მნიშვნელობით.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტიანობის კომპლექსური მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს ერთ მთლიანობაში შევადვასოთ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მიწის, შრომითი რესურსების, ძირითადი საწარმოო ფონდების და სხვა რესურსების გამოყენების, საწარმოთა შემოსავლიანობისა და სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობა.

М.В. ЭСЕБУА

АНАЛИЗ ВЛИЯНИЯ ИНТЕНСИВНЫХ ФАКТОРОВ
 НА ПОКАЗАТЕЛИ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЭФФЕКТИВНОСТИ
 СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО ПРОИЗВОДСТВА
 АБХАЗСКОЙ АССР

Резюме

С целью анализа влияния интенсивных факторов на результаты сельскохозяйственного производства рассмотрены: структура земельных угодий по основным сельскохозяйственным культурам, комплексная механизация и фондооснащенность, использование трудовых ресурсов, минеральных удобрений и кормов. Индексным методом и многофакторным анализом изучено влияние указанных факторов на общую урожайность основных сельскохозяйственных культур и на главный результативный показатель интенсификации сельскохозяйственного производства — выход валовой продукции сельского хозяйства на единицу земельной площади.

С применением таксономического метода многомерного анализа на основе стандартизации основных показателей экономической эффективности (продуктивность площади сельскохозяйственных угодий, производительность труда, эффективность производственных затрат, фондоотдача и рентабельность) выведен комплексный показатель экономической эффективности интенсификации сельского хозяйства, который использован для качественного анализа эффективности интенсификации в колхозах Абхазской АССР.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონო-
 მიის განყოფილებამ



ს ა მ ა რ თ ა ლ ი

Т. В. ЦЕРЕТЕЛИ. В. Г. МАКАШВИЛИ

ПОНЯТИЕ ВИНЫ В УГОЛОВНОМ ПРАВЕ

Проблема вины занимает одно из центральных мест в уголовном праве. Нести ответ за совершенное может только тот, кто виновен. В современном уголовном праве вина и ответственность — коррелятивные понятия. В принципе, если нет вины, нет уголовной ответственности. Есть вина — возникает вопрос об ответственности перед государством, обществом. Поэтому установление, из каких элементов складывается понятие вины, каково их содержание имеет фундаментальное значение для обоснования уголовной ответственности.

По распространенному мнению вина выражается в психическом отношении к совершенному общественно опасному деянию, предусмотренному уголовным законом. Вина есть психическое авторство, психическое участие в совершенном преступлении.

Из такого понимания прежде всего вытекает, что вина является составной частью понятия преступления. Поэтому из понятия вины исключаются все моменты, которые не выявились в совершенном деянии, а лежат вне деяния как такового. Всякая попытка оторвать понятие вины от преступного деяния может привести к расплывчатому и неопределенному понятию вины, лишенному четких границ и ясного содержания. В этом легко убедиться, обратившись ко взглядам буржуазных криминалистов, которые выдвинули понятия «материальной вины», или «вины характера», или «антисоциального настроения». Все эти конструкции были направлены на то, чтобы в понятии вины нашли бы отражение типологические особенности преступника, чтобы можно было бы учесть при выборе мер воздействия моменты, которые не нашли прямого выражения в конкретном деянии, в то же время отрицательно характеризуют личность преступника. Наиболее авторитетной попыткой согласовать зависимость наказания от принадлежности лица к определенному типу преступника с идеей о наказании, назначаемом в соответствии с тем, что совершено, Клаус Роксин считает теорию Э. Мецгера, который выдвинул идею «вины за ведение определенного образа жизни». Это понимание вины призвано в одних случаях полностью заменить, а в других дополнить традиционное понимание «вины за отдельное деяние». Таким образом, по Мецгеру уголовно-правовая вина преступника является не только виной за совершение конкретного преступления, но и виной за ведение того образа жизни, который выбил его из «колен нормальной жизни»¹. Следует отметить, что эта конструкция сложилась в связи с вопросом об ошибке в правовом запрете. Так, Э. Мецгер считал, что

¹ Клаус Роксин, Основания уголовной ответственности и личность преступника, сб. «Актуальные вопросы уголовного права, криминологии и уголовного процесса», Тбилиси, 1985, с. 23.

если лицо, постоянно живущее в среде воров и потерявшее представление о запрещенности и предосудительности кражи, не может быть осуждено за совершенную им кражу, т. е. конкретное преступное деяние, однако оно может быть и должно быть осуждено за тот образ жизни, который довел его до «правовой слепоты» (позднее Мецгер называет это состояние «враждебностью праву»). В этом лице можно упрекнуть, в этом оно виновно. Несколько уточнил формулировку Мецгера Бокельман. Сущность вины, по его мнению, заключается не в неправильном образе жизни, а в неправильном выборе своего жизненного пути. В конструкции Мецгера и Бокельмана остается необъяснимым, как определить в жизни человека, в ее направленности, что обусловлено его волей и может быть поставлено ему в упрек, и что должно быть отнесено за счет капризов судьбы².

Несколько иначе рассуждает Энгисш, который признает, что лицу можно поставить в упрек отрицательные черты характера (злонамеренность, неустойчивость или распущенность), если они находят выражение в определенном поведении, независимо от того, как складывался характер. В таком виде теория Энгисша мало чем отличается от концепции «вины характера», проповедуемой последователями Листа³ и давно раскритикованной самими буржуазными криминалистами.

В таком отходе от понятия «вины за конкретные деяния» и попытки обосновать вину за «образ жизни», «за неправильный выбор жизненного пути», за черты характера, присущие лицу, обнаруживается тенденция строить уголовную ответственность, основываясь на личности, исходя из ее свойств, опасных для общества и государства. Предлагаемые неопределенные критерии при решении вопросов вины, предоставление суду широкого усмотрения не могут способствовать принятию единообразных решений, основанных на законе и справедливости. Это уголовное право, которое по образному выражению немецких криминалистов давно называется «уголовным правом деятеля», содержит реакционные идеи, приводящие к ломке законности и насаждению произвола при отправлении уголовного правосудия.

Исходя из задач дальнейшего совершенствования уголовного законодательства, было бы целесообразно дополнить соответствующие названия глав особенной части УК союзных республик указанием посягательства не только на достоинство, но и на честь.

ჟურნალის ამ ნომერში კვლავ ვაგრძელებთ ქართველ მეცნიერ-იურისტთა 1984 წ. ოქტომბერში ქ. ქუთაისში გამართულ შეხვედრაზე წარმოთქმული მოხსენებებისა და სიტყვების ბეჭდვას (დასაწყისი იხ. „მაცნე“ ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1985, 4, 1986, 1).

Г. Г. ТОДРИЯ

ПРЕСТУПНОСТЬ НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ — ПРОБЛЕМА СТОЛИЧНОГО ГОРОДА

1. Интерес к проблеме преступности несовершеннолетних в столичном городе обусловлен, по крайней мере, тремя обстоятельствами: во-первых, этот вид преступности четко выявляет недостатки того сложного процесса нравственного формирования, который связан с этапом становления духовных предпосылок и правовых ориентаций личности; во-вторых, она отвечает на многие вопросы, связанные с преступностью взрослых; в-третьих, преступность несовершеннолетних приобретает все необходимые признаки именно в столичном городе, т. е. в той социальной среде, где наиболее полно представлены все экономические, социальные и социально-психологические тенденции развития региона. Все сказанное, несомненно, находит свое подтверждение и в таком столичном городе как Тбилиси.

2. Основные тенденции преступности несовершеннолетних обнаруживаются по целому ряду ее изменений. Однако наиболее четко они проявляются при анализе негативной роли, в частности, динамики преступности несовершеннолетних. Далее, закономерность констатируется и по месту этой преступности в социальных наслонениях жизни города. Здесь основное внимание обращается на занятость населения, хотя можно сказать, что существенную характеристику дают и другие социально-экономические параметры. И, наконец, существенные черты преступности несовершеннолетних заслуживают внимания при выявлении т. н. регионального протекания преступности.

Все указанные направления тенденций преступности несовершеннолетних сводятся к следующим кратким характеристикам.

3. Негативная роль преступности несовершеннолетних обнаруживается по той направленности, которая пронизывает различный ряд следующих друг за другом преступлений. Прежде всего обращает на себя внимание то, что спектр субъективной направленности распределяется по схеме: корыстные преступления — корыстно-насильственные — насильственные. Эта линия не носит случайный характер. Об этом свидетельствуют два факта. Прежде всего наблюдается «старение» преступности. И второй факт — вопреки влиянию социального контроля, преступления все же чаще совершают лица, состоящие на учете в органах внутренних дел и в прошлом судимые. Таким образом, тенденция к нарушению отношений потребления (на это указывают доминирующие корыстные преступления) носит строго выраженный характер.



რომან შენაველია

საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ზრდა და მისი სამოქალაქო სამართალსუბიექტობის შინაარსი

განვითარებული სოციალიზმის პირობებში პარტიის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად — როგორც აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა — შემოქმედებითად უნდა იქნეს გამოყენებული სოციალისტური მეურნეობრიობის ფუძემდებლური პრინციპები. ეს კი ნიშნავს, ეკონომიკის გეგმურ განვითარებას, საწარმოებისა და ორგანიზაციების დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გაზრდას, სოციალისტური საკუთრების განმტკიცებას და მმართველობის სისტემის შემდგომ სრულყოფას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული მიზნის განხორციელებაში უდიდესი როლი ეკუთვნის საბჭოთა სახელმწიფოს. უზრუნველყოფს რა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის შესრულებას, იგი სამეურნეო ორგანიზატორული და სხვა ფუნქციების სრულყოფის საფუძველზე ახორციელებს საწარმოს ძალთა სწრაფ განვითარებას და წარმოების სრულყოფას, აგრეთვე სამეურნეო მექანიზმის ეკონომიკური ღვედების ერთობლიობისა და სტიმულირების ქმედითობის ამაღლებას.

საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების ყოველმხრივი განვითარება და მისი გამოსვლა საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის უშუალო ორგანიზატორად მიუთითებს მისი ეკონომიკური როლის ზრდაზე. ამასთან ერთად უფრო სრულყოფილი ხდება საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლებით-პოლიტიკური საქმიანობა.

მნიშვნელოვნად იზრდება სახელმწიფოსა და სამართლის ზემოქმედება ეკონომიკურ ურთიერთობათა მთელ სისტემაზე. სახელმწიფო ხდება სახალხო მეურნეობის გეგმური ხელმძღვანელობის ცენტრი. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს სახელმწიფო კარგავს ზედნაშენურ ხასიათს და გადაიქცევა სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის შემადგენელ ელემენტად. ეკონომიკური ფუნქციების ზრდის მიუხედავად, სახელმწიფო მაინც რჩება ზედნაშენურ კატეგორიად. საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური მოღვაწეობის შინაარსი განსაზღვრავს მის მონაწილეობას სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში. თავისი ორგანოების მეშვეობით სახელმწიფო მონაწილეობას ღებულობს მრავალმხრივ ქონებრივ ურთიერთობებში. სამართლის ნორმებით მათი რეგულირების შემდეგ ისინი ღებულობენ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა ფორმას. საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლით რეგულირება საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკისა და კერძოდ, ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფოს მონაწილეობა სამოქალაქო-სამართლებრივ ურ-

გორც თავისი, ისე სახელმწიფოს სახელით. გამმიჯნავ კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს მათი ქონებრივი განკერძოებულობის ხასიათი. სახელმწიფო ორგანო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში თავისი სახელით გამოდის ისეთ შემთხვევებში, როცა იგი განკარგავს მის ოპერატიულ მმართველობაში არსებულ ქონებას. ასეთ დროს სახელმწიფო ორგანოს აქვს დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა. თუკი ასეთი ორგანო ისეთ ქონებას განკარგავს, რომელიც ოპერატიულ მმართველობაში გადაცემული არა აქვს სხვა სუბიექტს და იმყოფება სახელმწიფოს უშუალო გამგებლობაში, მაშინ ხდება სახელმწიფოს სამართალსუბიექტობის რეალიზაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის ასახვა სამოქალაქო კანონმდებლობაში უდავოდ გამოიხატება საბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალსუბიექტობასთან დაკავშირებულ ყოველგვარ გაუგებრობას.

მიხეილ კაპელია

საბჭოთა სამართალი და ეროვნული ჩვეულება-ტრადიციები

ვანუშომელია სამართლის ნორმის აღჭურვა ისეთი თვისებებით, რაც სულიერ მოთხოვნებზე და აქცევს მის შესრულებას.

კანონმდებლის უპირატეს საზრუნავს, სამართლის ნორმათა მოქმედების ეფექტიურობა უნდა წარმოადგენდეს. აქ იღებს სათავეს სამართლის აღმზრდელი თვისებით ფუნქციაც.

საკავშირო მაშტაბით, სამართლის ნორმის ეფექტურად მოქმედების პირობას, ერთიანი, სოციალისტური თანაცხოვრების მოთხოვნათა გათვალისწინებაც წარმოადგენს, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებისათვის დამატებით, დადებითად შეფასებული ეროვნული ჩვეულებები და ტრადიციები. მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენული უფლებების ყველაზე უფრო ხელშესახებ გამოხატულებას რესპუბლიკური კანონმდებლობა წარმოადგენს, რომელსაც რესპუბლიკის თავისებურებანი უდევს საფუძვლად. სამუხაზოდ, უფრო ხშირად „რესპუბლიკურ თავისებურებად“ მხოლოდ მდებარეობით (გეოგრაფიული) განპირობებული თავისებურებანი მიაჩნიათ და ყურადღების გარეშე რჩებათ „ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი“.

საბჭოთა სწავლულები — ფსიქოლოგები, ფილოსოფოსები, ეთნოგრაფები და ა. შ. „ეროვნულ თავისებურებებში“ ეროვნულ ფსიქიკას, ფსიქოლოგიას, ეროვნულ კულტურას და ერის ისტორიულ წარსულს დებენ. ეს ის ფენომენებია რომლებიც ერის ჩვეულებებსა და ტრადიციებშიც არიან აკუმულირებულნი. ისინი მხარს უჭერენ ან სამკედრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებიან სხვადასხვა ხასიათის სოციალურ ნორმებს, მათ შორის სამართლის ნორმებსაც. ამდენად ხელაღებით მათი უგულვებლყოფა უგუნურობა იქნებოდა. საქმე ისაა მოფიქრებულ იქნეს, როგორ ჩავაყენოთ ისინი თანამედროვეობის სამსახურში.

ჩვენს სინამდვილეში, სამართალთან მიმართებით, ეროვნული ჩვეულებების და ტრადიციების გამოყენების შესაძლებლობა-მნიშვნელობა ასე გვესახება:

1. ეროვნული ჩვეულებები და ტრადიციები გამოიყენებული უნდა იქნეს რესპუბლიკურ კანონმდებლობაში. დავიმოწმებთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 33 და 34 მუხლები ჩამოთვლიან რა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. უფლებას იძლევიან მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლებმა ადგილობრივ ვითარებათა გათვალისწინებითაც სრულყოფილი. სამუხაზოდ, ქართულმა კანონმდებელმა არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა. სხვას რომ თავი დავანებოთ, განა ქართული ჩვეულება — კანონმდებლობით, დალატით ჩადენილი დანაშული ოდითგანვე არ ითვლებოდა დამამძიმებელ

გარემოებად? განა დღესაც ღალატით ჩადენილ მკვლელობას, დაჭრას და სხვა დანაშაულებრივ ქმედებას მეტად მძიმედ არ აღიქვამს და რეაგირებს ჩვენი ხალხი? ან რატომ არ შეიძლება კანონმა დამამძიმებლად ჩათვალოს დანაშაული ჩადენილი ქლის მიმართ?!

კანონი არასდროს არ უნდა დაუპირისპირდეს ჯანსაღ ეროვნულ ჩვეულებებს და ტრადიციებს. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითიც: ჩვენი ეროვნული ჩვეულებები და ტრადიციები თავგამოდებით ებრძვიან არარეგისტრირებულ, ქარაფშუტულ ქორწინებას. საბინაო კანონმდებლობა კი საესებით ერთნაირი მდგომარეობის დროს, ბინით დაკმაყოფილებისას დიდ უპირატესობას ანიჭებს მარტოხელა დედას, ხოლო უგულვებელყოფს იმ დაობლებულ ბავშვთა ინტერესებს, რომელთა მშობლებიც თავის დროზე რეგისტრირებულნი იყვნენ კანონიერად. რატომ უნდა გაეთიშოს ასე კანონი ხალხს? უფრო მეტიც, რატომ უნდა დაინახოს კანონში უღირსმა მფარველი, ღირსეულმა კი მოწინააღმდეგე? კარგად გვესმის კანონის ქვეტექსტი, მაგრამ ჩვენმა არ ამართლებს იგი შედეგს.

სხვა მაგალითიც, ჩვენს ეროვნულ თავისებურებას წარმოადგენს, მრავალთაობიანი ოჯახების ერთ ჭერქვეშ ცხოვრება (ბაბუადან დაწყებული დამთავრებული შვილიშვილით თავიანთი ოჯახებით). მტკიცებას არ საჭიროებს სიკეთე ასეთი ოჯახებისა. იფიქრა კი კანონმდებელმა ისეთი ოჯახების უზრუნველყოფაზე სათანადო განლაგების და ფართის ბინებით?

2. ეროვნული ჩვეულებები და ტრადიციები შეიძლება გამოვიყენოთ სოციალისტური ცხოვრების წესების დაცვისა და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. ფართო გზა უნდა მიეცეს სამეზობლო დავების გადაწყვეტას ხალხის მიერ შემუშავებული „სამეზობლო სამართლის“ მიხედვით, რაც არც ერთ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვის მოთხოვნას.

ეროვნული ჩვეულებები და ტრადიციები ამზადებენ ჩვენს გოგონებს მრავალ დედად, მეუღლედ და რძლად. სწორედ რომ მათი მოთხოვნით აღზრდილთ ძალუძთ ბედნიერების შეტანა ქმრის ოჯახში. განა ეროვნული პოზიციებიდან უკეთ არ ხერხდება მრავალშვილიანობის აღორძინება, ასევე მდედრისათვის ალკოჰოლური სასმელისა და სიგარეტის აკრძალვა? ასეთი მისიის მატარებელ სოციალურ ნორმათა უგულვებელყოფას, სოციალისტური ცხოვრების წესების დარღვევა თუ დანაშაულებრივი ქმედებანიც მოჰყვება ხშირად.

3. სამართლებრივი ხასიათის ჩვეულებები და ტრადიციები საფუძვლად ედება ეროვნული იურიდიული აზროვნების განვითარებას. დავას არ იწვევს, რომ მეცნიერის, შემოქმედის ნაღვაში იმ ხალხის ნააზრევად ითვლება რა ენაზედაც დაიწერა იგი. ამდენად უგულვებელყოფა და გამოუყენებლობა, ზეპირი გადმოცემით თუ წერილობით ჩვენამდე მოღწეული სამართლებრივი ხასიათის ნააზრევისა, ყოველად გაუმართლებელია. ამ ხასიათის მემკვიდრეობათა შორის რად ღირს

1 დილეტანტი იტყვის „ეს მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოსო“. ჩვენ კი სხვა გვსურს, სწორედ, რომ კანონმა განაცხადოს ყველას გასაგონად: „უკეთეს ჩადენ შენხედ დანდობილის ღალატს (მოკლავ, დაჭრი და ა. შ.), ან ბოროტი განზრახვით ხელყოფ ერის სიძლიერის — ქალის ღირსებას, იცოდე მომეტებულად დაისჯები“.

ასეთი ძირძველი ტერმინები: განზრახი (მრჩეველი, რომელიც განზრახვას აღებინებს), შესმენილი (დამნაშავე), ძალმწე (დამხმარე), სიტყვთა შემწე (სიტყვით წამჭეზებელი, სიტყვით დამხმარე), უთნო (უკანონო მოქმედი), განჩემება, განსაკუთრება (საკუთრებაში მოქცევა) სახელოვანი (ხელი=თანამდებობას, აქედან სახელოვანი, ე. ი. რაიმე თანამდებობის მქონე პირი), მკვლელობრივი (მკვლელობის დარი, როგორც მკვლელი). საზრი (მხოლოდ გვიან პერიოდში გაჩნდა მის შემცვლელად არაბული სიტყვა — მიზანი), ერთუფლება (განუყოფელი უფლება), მისაგებელი (სანაცვლო, სამაგიერო), მამბრალობელი (ბრალის დამდები), ერთსულნი (ერთი მიზნის მისაღწევად გაერთიანებლნი) და სხვა ბევრად უკეთესნიც.

ნულზე დაიყვანება ეროვნული ჩვეულებების და ტრადიციების სამართალშემოქმედებაში გამოყენების შესაძლებლობა უკეთეს: ა) ხელს შეუშლიან ადამიანთა ჰუმანური სულისკვეთებით აღზრდას, ბ) ბარიერს შეუქმნიან ხალხთა მეგობრობას და გ) გვიბიძგებენ კარჩაეცილობისაკენ.

ბევრი რამ კეთდება ჩვენში ყოველგვარი საკავშიროს სრულყოფისათვის, რომლის გამდიდრების ერთ-ერთ წყაროდ ეროვნული შენაკადიცაა მიჩნეული. საკავშირო სამართალშემოქმედებას თავანკარად უნდა შეერთოს ეროვნული კანონმდებლობაც.



ახალი პერიოდი

ლოთოგასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის სოციალურ-ეკონომიკური საკითხები თანამედროვე ეტაპზე

70-იანი წლების შუა პერიოდიდან ჩვენს რესპუბლიკაში ალკოჰოლიზმთან დაკავშირებით აშკარად შეიმჩნევა ნეგატიური ტენდენციების ზრდა, რაც გვიკარნახებს ამ მოვლენის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებათა შემუშავებისა და პრაქტიკულად განხორციელების აუცილებლობას. ამ ამოცანიდან გამომდინარე რესპუბლიკაში ჩატარდა ალკოჰოლიზმის კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევა. შევისწავლეთ ისეთი საკითხები, როგორცაა ალკოჰოლიზმის მდგომარეობა, სტრუქტურა, დინამიკა და გეოგრაფია, დავიანგარიშეთ ის ეკონომიკური ზარალი, რაც მოსდევს სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებას და სხვა.

კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევით დადგინდა, რომ ალკოჰოლიკებს შორის მამაკაცები შეადგენენ 89,9 %-ს, ხოლო ქალები — 9,9 %-ს.

ნიშნდობლივია, რომ ალკოჰოლიკების უმრავლესობა განათლების დაბალი დონით ხასიათდება. მათ შორის 56,7 %-ს არა აქვს საშუალო განათლება. გამოკითხულთა შორის ბევრს არ ჰყავს არც ერთი ან ერთ-ერთი მშობელი, თანაც უმრავლესმა მათგანმა ისინი სიჭაბუკის ასაკში დაკარგა და ამიტომ ე. წ. არასრულ ოჯახში იზრდებოდა.

ალკოჰოლიკების მნიშვნელოვანი ნაწილი (26,6 %) არ ეწევა არავითარ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, ანუ არის მუქთახორა. მომუშავეთაგან ბევრი ხშირად იცვლის სამუშაო ადგილს, არის უდისციპლინო, სამუშაოს გამცდენი და ა. შ. მათგან ცალკეულმა „რეკორდსმენმა“ უკვე მოასწრო 30-ზე მეტი სამუშაო ადგილის გამოცვლა.

გამოკითხულ ალკოჰოლიკთა უდიდეს უმრავლესობას (82,9 %) სხვადასხვა დროს უკვე გავლილი აქვს ნებაყოფლობითი ან იძულებითი მკურნალობის კურსი, რამაც სასურველი შედეგი არ მოგვცა, რადგან ყველა მათგანმა კვლავ გააგრძელა სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენება.

გამოკვლევით დადგინდა აგრეთვე, რომ დიდია იმ ეკონომიკური ზარალის მოცულობა, რომელსაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა განიცდის ლოთობისა და ალკოჰოლიზმის შედეგად.

ცნობილია, რომ ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება მნიშვნელოვნად აქვეითებს საწარმოო-შრომით მაჩვენებლებს. ალკოჰოლის მიღების შედეგად ქვეითდება ყურადღება და აღქმა, ირღვევა მოძრაობის კოორდინაცია და ა. შ. ძლიერი ალკოჰოლური თრობის მომდევნო დღესაც აღამიანი ჯერ კიდევ ვერ უბრუნდება ნორმალურ მდგომარეობას. მას აღენიშნება გუნება-განწყობის დაქვეითება, მოთენილობა, ხშირად თავის ტკივილი და სხვა, რამაც არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს შრომის ნაყოფიერებაზე. ამაზე მეტყველებს შრომის ნაყოფიერების შემცირების მაჩვენებელი გამოზარხოშების

მდგომარეობაში მუშაობის დროს. კერძოდ, სპეციალური დაკვირვების შედეგების მიხედვით ამ მაჩვენებელმა საშუალოდ ყველა დაკვირვებაში მონაწილე მუშისათვის შეადგინა 0,173. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი სამუშაო დროის 17 %-ს მუშაობდნენ გამოზარხოშების მდგომარეობაში. ამასთან ერთად, დაკვირვებამ ცხადყო, რომ გამოზარხოშების მდგომარეობაში მუშაობის დროს, ნორმალურ მდგომარეობაში მუშაობასთან შედარებით, გამოიმუშავება საშუალოდ 15,3 %-ით მცირდება.

ამგვარად, იმ პირდაპირმა ეკონომიკურმა დანაკარგებმა, რაც გამოზარხოშების მდგომარეობაში მუშაობამ გამოიწვია მატერიალური წარმოების სფეროში, საქართველოში 70-იანი წლების შუა ხანს საშუალოდ ერთ წელიწადში შეადგინა დაახლოებით 74,4 მლნ. მანეთი.

პრობლემას წარმოადგენს ის ზარალიც, რომელსაც რესპუბლიკა განიცდის მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულთა ლოთობითა და ალკოპოლიზმით გამოწვეული სიკვდილიანობის, სიმთვრალეში მომხდარი ავტოავარიებს, სხვა სამართალდარღვევათა და რიგი სხვა სახის დანაკარგების გამო. მთლიანად 70-იანი წლების შუა ხანისათვის ამ ზარალმა შეადგინა 116 მლნ. მანეთი.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ზარალი დიდია არა მხოლოდ მწარმოებლურ სფეროში, არამედ არამწარმოებლურ სფეროში. კერძოდ, არამწარმოებლურ სფეროში დასაქმებულთა შორის ლოთობისა და ალკოპოლიზმის გავრცელების გამო რესპუბლიკისათვის მიყენებულმა ზარალმა აღნიშნული პერიოდისათვის საშუალოდ წლიურად შეადგინა 80,9 მლნ. მანეთი.

ამგვარად, 70-იანი წლების შუა ხანისათვის ლოთობისა და ალკოპოლიზმის შედეგად რესპუბლიკამ განიცადა დაახლოებით 200 მლნ. მანეთის ეკონომიკური ზარალი, თანაც ეს ციფრი მინიმალურია, რომლის დაანგარიშება სხვადასხვა მიზეზის გამო ან ძნელია ან შეუძლებელია.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკა იღებს სპირტიანი სასმელების წარმოებისა და რეალიზაციის გზით წმინდა მოგებას. 70-იანი წლების შუა ხანისათვის მან დაახლოებით 150 მლნ. მანეთი შეადგინა, რაც 50 მლნ. მანეთით ნაკლებია ზარალზე. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობისათვის ლოთობისა და ალკოპოლიზმის შედეგად მიყენებული ზარალი აღნიშნულ პერიოდში შეადგენდა მხოლოდ 50 მლნ. მანეთს (ზარალს გამოკლებული წმინდა მოგება). ეს ზარალი 200 მლნ. მანეთად რჩება და არ შეიძლება იყოს რაიმე გზით კომპენსირებული, რადგან ძირითადად წარმოიშობა არა ფატალური აუცილებლობის, არამედ სპირტიანი სასმელების წარმოებასა და მოხმარების საქმეში არსებული სერიოზული შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამო.

ზემოაღნიშნული გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია განგვესაზღვრა რესპუბლიკაში ლოთობისა და ალკოპოლიზმის პროფილაქტიკის ძირითადი მიმართულებები:

— პირველყოფლისა აუცილებელია შემცირდეს მაგარი და შემავარებელი სპირტიანი სასმელების წარმოება და რეალიზაცია.

— საჭიროა მკაცრად აღიკვეთოს სპირტიანი სასმელების ფალსიფიკაცია მათი წარმოებისა და რეალიზაციის დროს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შინ დამზადებული ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლას. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე



მა უნდა გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. რესპუბლიკის შორეულ ძიონ რაიონებში, სადაც დღეს მოსახლეობა ცნობილი მიზეზების გამო ძირითადად ხმარობს გაუსუფთავებელ, თვითნახად არაყს (რახს, უბიტაურს), განსაკუთრებით მევენეს ჯანმრთელობისათვის, უნდა გავრცელდეს უალკოჰოლო სასმელებისა და მცირეგრადუსიანი ღვინის მოხმარების კულტურა.

— ლოთობისა და ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკის მიზნით საჭიროა მოკლე ვადაში ხარისხოვნად ახალ დონემდე ავამაღლოთ საზოგადოებრივი კვების იმ საწარმოების მუშაობა, რომელთაც კულტურული დასვენებისა და გართობის ფუნქციები აკისრიათ, რათა ისინი შეესაბამებოდნენ თანამედროვე მაღალ მოთხოვნებს.

— ალკოჰოლიზმის თავიდან აცილებისათვის საჭიროა საქართველოს სსრ-ში საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესება.

— ამ ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის პირველყოვლისა აუცილებელია რესტორნების, ბარებისა და კაფეების გადაყვანა უალკოჰოლო და მცირეალკოჰოლიანი სასმელების რეალიზაციაზე, აგრეთვე მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპების შესაბამისი რეორგანიზაცია.

— საზოგადოებრივი კვების სისტემის რეორგანიზაციისას აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს მათ გამსხვილებას, რაც ხელს შეუწყობს სავაჭრო და საწარმოო პროცესების მექანიზაციას, დაზოგავს მომსახურე პერსონალის დროს, აამაღლებს მომსახურების კულტურას და ა. შ.

ზემოაღნიშნულა და რიგი სხვა ღონისძიებების განხორციელება, რასაკვირველია, დიდ კაპიტალდაზღვრებებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ამას არ უნდა შევეშინდეთ, რადგან სწორად განხორციელების შემთხვევაში, ისინი არა მარტო სოციალურ, არამედ ეკონომიკურ სარგებლობასაც მოგვცემა.

ОБСУЖДЕНИЕ МОНОГРАФИИ В. М. КОГАНА «СОЦИАЛЬНЫЙ МЕХАНИЗМ УГОЛОВНО-ПРАВОВОГО ВОЗДЕЙСТВИЯ»

21 марта 1985 г. на совместном заседании ученого совета Сектора правоведения Института экономики и права АН ГССР и кафедры уголовного права Тбилисского государственного университета состоялось обсуждение монографии В. М. Когана «Социальный механизм уголовно-правового воздействия» в присутствии автора.

Обсуждение проходило под председательством д. ю. н. Т. Г. Шавгулидзе.

В выступлении доцента ТГУ М. Г. Угрехелидзе было указано на значение книги В. М. Когана для развития такого важного научного направления, каким является социология уголовного права. В этой связи, отметил он, книга в значительной степени расширяет и углубляет наши представления как о социальной обусловленности уголовного закона, так и об его эффективности. Наблюдения автора в этой части и сформулированные им положения перерастают рамки утверждений чисто познавательного значения; они приложимы к социальной, в том числе — законодательной и судебной практике. Это тем более ценно, что исследование не замыкается в какой-либо одной области общественных наук, позволяя, тем самым, обеспечить многоплановый, междисциплинарный подход к решению важных практических задач.

Автору удалось творчески, во многом новаторски подойти к освещению не только коренных вопросов исследуемой темы (противоречия общественного развития при социализме и уголовное право, содержание и форма уголовного права, социальные условия и и соблюдение закона), но даже исторических аспектов развития уголовного законодательства, подчиняя ход своих рассуждений последовательному развитию мысли и облекая весьма убедительные выводы в ясную, не было бы преувеличением сказать, порой афористическую манеру изложения материала (стр. 108 — о судимости; стр. 144 — о формализме в уголовном праве и др.). На этом общем фоне, сказал в заключение М. Г. Угрехелидзе, даже самые спорные положения, относящиеся преимущественно к догматике уголовного права (основания уголовно-правового запрета — стр. 78; классификация составов в зависимости от их законодательной конструкции — стр. 107 и др.) воспринимаются читателем как живая и интересная часть самостоятельного творческого поиска автора.

Заслуженный юрист Грузинской ССР В. Г. Макашвили, говоря о достоинствах обсуждаемой монографии, подчеркнул, что в ней при рассмотрении всех затронутых вопросов одновременно используются различные подходы: социологический, криминологический, юридико-догматический. При этом все указанные аспекты не изолированы друг от друга, а находятся в тесном взаимодействии. Большим достоинством книги является то, что в ней при раскрытии социального



механизма уголовно-правового воздействия отводится большое место моральному фактору. Заслуживает внимания позиция автора в вопросе об оценочном моменте в понятии вины (с. 123). На сравнительно большом материале показано значение формальной определенности уголовного права (с. 108—112). Правильна мысль, высказанная в книге, что при существовании в законодательстве в качестве наказания смертной казни мотивационное значение лишения свободы как наказания снижается (с. 46). Социально остро и логически точно раскрывается различная природа спекуляции в условиях буржуазного государства и в условиях социалистического государства.

Наряду с несомненными достоинствами книги, не все положения, развиваемые в ней, безупречны. На стр. 80 в аксиоматической форме выставлена довольно распространенная в советской юридической литературе формула, что состав преступления является единственным основанием уголовной ответственности. Между тем, известно, что существуют и другие точки зрения, игнорировать которые вряд ли оправдано. Трудно согласиться с автором, что в общей части УК должны содержаться правила, по которым можно было бы связывать соответствующие санкции с той или иной категорией преступлений, в частности, было бы предусмотрено, по каким преступлениям может быть назначен максимальный срок лишения свободы. Выдвигая спорное предложение, следовало бы дать ориентировочную формулировку такой рекомендации (проект соответствующей статьи). Неубедительны и примеры, которые, по мнению автора, иллюстрируют отрицательные последствия отсутствия указанного правила (с. 70—71). Автор оперирует (с. 146) понятием судебной декриминализации, предложенным С. М. Строговичем. На наш взгляд, введение в научный оборот этого понятия не является удачным. Ни понятие криминализации, ни понятие декриминализации не может быть связано с судебной деятельностью, оба акта — исключительная прерогатива законодателя. Отмеченные шероховатости, сказал⁶ в заключение В. Г. Макашвили, носят частный характер и не снижают научной ценности обсуждаемой книги, которая займет свое определенное место в развитии криминологической и уголовно-правовой мысли.

В своем выступлении к. ю. н. С. Г. Пачкория обратил внимание на то, что каждая из глав обсуждаемой работы представляет целую область научного познания. Исходя из задач исследования, автор пошел по пути краткого рассмотрения накопленных в соответствующих областях проблем. Это, конечно, было чревато опасностью снижения уровня научного анализа. Однако В. М. Когану удалось преодолеть эту опасность: затронутые в книге вопросы рассмотрены достаточно полно и глубоко. В постановке и исследовании многих актуальных проблем проявляется острота и оригинальность мышления автора.

В последнее время на страницах специальной литературы часто обсуждаются вопросы о действии общественных противоречий при социализме. Анализируя в главе I обусловленность уголовного права, автор обращается к исследованию общественных противоречий как факторов, определяющих существование преступности. Рассмотрение этих вопросов с точки зрения уголовного права и, соответственно, моральных оснований уголовной ответственности приобретает особую остроту. Возникает сомнение, справедливо ли привлекать к уголовной ответственности лиц, совершивших преступления, если сами эти преступления порождены противоречиями общественного развития.

8. „მაცნე“, ეკონომიკისა და სოციალური სფერო



В выступлении к. ю. н. Г. Ш. Лежава было указано на актуальность научной разработки проблем, связанных с действием уголовно-правовых норм в социальном контексте. Монография В. М. Когана, — сказал выступающий, — в значительной мере восполняет пробелы, имевшиеся в исследовании социальных аспектов уголовно-правового регулирования. В ней не только показан целостный механизм уголовно-правового воздействия на социальные отношения, но и установлены элементы этого механизма, а также выявлена их диалектическая взаимосвязь.

Общая схема исследования (обусловливание — формулирование — реализация уголовного права) конкретизируется в монографии в виде разработанных автором концептуальных схем, придающих научному труду стройный и завершенный характер. В монографии В. М. Когана поставлен ряд острых проблем, волнующих не только науку, но и юридическую практику, и предложены пути их возможного решения (недостаточная стабильность уголовно-правовых норм — с. 142—143; необоснованное расширение круга преступлений, за совершение которых предусмотрена смертная казнь — с. 45; нецелесообразность соединения в одном органе функции выявления преступлений и функции их раскрытия, благоприятствующее искажениям при регистрации количественных параметров преступности — с. 158; отсутствие четких критериев для отделения состава хулиганства от других преступлений и административных проступков — с. 102). Привлекает внимание исследование механизма возникновения «преступной субкультуры» и ее влияния на криминогенную обстановку в обществе. Здесь для анализа «преступной субкультуры» найдена исходная точка: соотношение формальной и неформальной организации, показаны характерные черты неформальной организации, имеющей антиобщественную ориентацию. Логично, что в связи с этим вопросом автор рассматривает «криминальную субкультуру», возникающую в местах лишения свободы. По наблюдению автора, эта субкультура имеет сходство с сословно-кастовой моралью феодального общества (с. 136—140). Деятельность уголовной юстиции В. М. Коган справедливо рассматривает не только как систему учреждений, лиц и материальных средств, но и как совокупность стандартов поведения, воплощенных в социальных ролях сотрудников правоохранительных органов. Это весьма важный и, к сожалению, малоисследованный аспект функционирования системы уголовной юстиции в обществе. Между тем, — подчеркнул Г. Ш. Лежава, — изучение «стандартизированных образцов поведения» работников уголовной юстиции позволяет, наряду с прочим, лучше понять некоторые процессы, связанные с селекцией правонарушителей, привлекаемых к ответственности.

По мнению выступающего, термин «уголовно-правовое воздействие», который фигурирует в заглавии монографии, применительно к задачам исследования является неточным. Это понятие, строго говоря, может быть отнесено только к определенным адресатам

уголовного права: рядовым гражданам, а также преступникам. На этих адресатов уголовное право действительно «воздействует». Однако, как хорошо видно из содержания монографии, в социальный механизм действия уголовного права включена и система уголовной юстиции: должностные лица и государственные органы. Было бы неправильным говорить в отношении них об уголовно-правовом воздействии. Более точным в этом плане представляется термин «уголовно-правовое регулирование». Именно в этом смысле автор говорит о регулятивной функции уголовно-правовой нормы по отношению к деятельности уголовной юстиции (с. 144). Подводя итог выступлению, Г. Ш. Лежава отметил, что обсуждаемая книга В. М. Когана явилась важным шагом по пути системного анализа социального механизма уголовно-правового регулирования.

В дискуссии по затронутым в монографии проблемам также приняли участие зав. кафедрой уголовного права ТГУ, д. ю. н. Г. Т. Ткешелидзе, к. ю. н. Г. Н. Начкебия, к. ю. н. Г. Г. Тодрия, к. ю. н. И. М. Бачиашвили.

В заключение В. М. Коган выразил благодарность за организацию обсуждения монографии и ответил на вопросы, поставленные в ходе дискуссии.

Г. ЛЕЖАВА

ღვწაწმოსილი მეცნიერის სმოსნას

შესრულდა 70 წელი თვალსაჩინო ქართველი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელის, 1939 წლიდან სკკპ წევრის ისიდორე სამსონის ძე დოლიძის დაბადებიდან.

ი. დოლიძე დაიბადა 1915 წლის 5 აპრილს ყოფილი ოზურგეთის მაზრის სოფელ ხვარბეთში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ბათუმის საიდუმნებლო ტექნიკუმის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1933—1938 წლებში სწავლობდა ჯერ თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ რუსეთში, სვერდლოვსკის იურიდიულ ინსტიტუტში. 1938 წელს წარმატებით აბარებს გამოცდებს მოსკოვის იურიდიულ მეცნიერებათა საკავშირო ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1941 წელს ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იცავს საკანდიდატო დისერტაციას ქართული სამართლის ისტორიის სპეციალობით. ამავე წლის სექტემბრიდან ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, სადაც თავისი მოღვაწეობის 41 წლის მანძილზე წაიკითხა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის კურსები.

1943-1944 წლებში ი. დოლიძე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტსაგანმანათლებლო სექტორის გამგედ, შემდეგ საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს (1945-1946 წწ.) იგი ინგლისში საბჭოთა კავშირის საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომელია.

1947-1948 წლებში ი. დოლიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი. 1949-1951 წლებში ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსია, ხოლო 1953-1956 წლებში — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე. 1957 წელს მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. სადოქტორო ნაშრომის თემა იყო ბეჭა-აღბუღას კანონების სახელწოდებით ცნობილი სამართლის წიგნი, რომელიც ძვირფას მასალას შეიცავს XIII—XIV საუკუნეების მესხეთისა და სრულიად საქართველოს სოციალური იურიდიული წყობილების შესახებ.

1957-1960 წლებში ი. დოლიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია, ხოლო 1960 წელს ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად სამართლის ისტორიის დარგში. ამავე დროს იგი აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო და ხელმძღვანელობდა ჰუმანიტარული დარგების სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობას ჩვენს რესპუბლიკაში.

1965 წელს ი. დოლიძეს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1967 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, 1982 წლამდე, ი. დოლიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებას.

მიუხედავად სხვადასხვა პასუხსავე თანამდებობაზე მუშაობისა, იგი დიდი შრომისმოყვარეობის წყალობით უკვე 35 წლის ასაკში აქვეყნებს თავის პირველ ცალკე წიგნად გამოცემულ ნაშრომს „ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები“. აქ თარგმნილია სალიკური სამართალი. ფრაგმენტები სხვა ე. წ. ბარბაროსული სამართლის წიგნებიდან (რიპუარების, ბურგუნდების, ვესტგუთების, ალემანების, ბავარიელების და სხვა გერმანული ტომების საკანონმდებლო ძეგლებიდან), რასაც თან ახლავს სათანადო გამოკვლევა-განვითარებული ფეოდალიზმის ხანის (XI-XVI სს.) სამართლის ძეგლების შემდეგი თარგმანი სახელწოდებით — „შუასაუკუნეების სამართალი“, ტ. 2. გამოქვეყნდა 1962 წელს. ეს 644 გვერდიანი წიგნი შეიცავს ინგლისური, ფრანგული და გერმანული სამართლის უმთავრეს ძეგლებს. თხზულებაში ასახულია ფეოდალური სამართლის მთავარი დარგები: სახელმწიფო, სამოქალაქო და სისხლის სამართალი. გარკვეული ადგილი აქვს აგრეთვე დათმობილი სამაროცესო სამართლის ნორმებსაც. იგი კარგ სამსახურს უწევს ყველა იმ პირთ, ვინც დაინტერესებულია გაეცნოს ფეოდალური ევროპის ყოფა-ცხოვრების ამათუ იმ ასპექტს. გარდა ამისა, განსვენებულ მეცნიერს გამოუქვეყნებელი დარჩა ფეოდალური ეპოქის დასავლეთ ევროპის სამართლებრივი ძეგლების ქართული თარგმანები. ავტორს გამოსაცემად მომზადებული ჰქონდა შუასაუკუნეების სამართლის სერიის კიდევ სამი ტომი. 1960 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა ი. დოლიძის „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“. ეს წიგნი განკუთვნილი იყო დამხმარე სახელმძღვანელოდ სტუდენტებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ი. დოლიძის სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავდა ზოგადი სამართლის, კერძოდ, დასავლეთ ევროპის ხალხებისა და ძველი აღმოსავლეთის სამართლის საკითხებს, მის სამეცნიერო მოღვაწეობაში მაინც განსაკუთრებული ადგილი ეკავა ქართული სამართლის ისტორიის პრობლემებს. პირველი წიგნი, რომელიც ავტორმა ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს მიუძღვნა, XIV საუკუნის მესხეთის საკანონმდებლო ძეგლია — ბექასა და ალბულას ცნობილი კანონები. ნაშრომი 1953 წელს გამოაქვეყნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ სახელწოდებით „ძველი ქართული სამართალი“. აღნიშნული თხზულება ი. დოლიძის სადოქტორო დისერტაცია იყო და დაიცვა 1956 წელს.

აკად. ნ. ბერძენიშვილმა წერილობით წარმოდგენილ დასკვნაში აღნიშნა, რომ ი. დოლიძის „დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სამართლის წიგნის შედგენილობისა და სისტემის საფუძვლიანი გარკვევა“. ნ. ბერძენიშვილის აზრით, განსაკუთრებით საყურადღებოა ი. დოლიძის მიერ გამოთქმული ახალი მოსაზრება ბაგრატის სამართლის თაობაზე. ბერძენიშვილმა სადისერტაციო ნაშრომის მნიშვნელოვან ღირსებად მიიჩნია ბექასა და ალბულას სამართლის წიგნის საკანონმდებლო წყაროების გამოკვლევა.

1957 წელს თბილისის სახელმწიფო გამომცემლობამ დასტამბა „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“. წიგნს თან ერთვის „ძეგლის დადების“ ტექსტი

და ლექსიკონი. მისი რედაქტორი იყო პროფ. ილია აბულაძე. ნაშრომს სამეცნიერო ლიტერატურაში დადებითად გამოეხმაურნენ.

პროფ. ი. დოლიძემ თავის გამოკვლევაში გააშუქა სასჯელთა მთელი რიგი სახეები, რომლებიც მანამდე თითქმის შეუსწავლელი იყო.

დიდი შრომა აქვს გაწეული პროფ. დოლიძეს შუა საუკუნეების ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის მეცნიერული დამუშავების საქმეში. აკად. ივ. ჯავახიშვილმა შეისწავლა ქართული სამართლის ტერმინოლოგია მონღოლთა შემოსევამდე. შუა საუკუნეების შემდგომი პერიოდის იურიდიული ტერმინოლოგია სრულიად შეუსწავლელი იყო. თავის გამოკვლევებში ი. დოლიძემ შოგვეცა XIII-XIV საუკუნეების ქართული სამართლის ტერმინოლოგიის მეცნიერული დამუშავება, დაადგინა ბევრი უაღრესად საინტერესო ტერმინის შინაარსი და მნიშვნელობა, რაც მეტად აუცილებელი იყო შუა საუკუნეების ქართული სამართლის ისტორიის საკითხების გარკვევისათვის.

1960 წელს დაისტამბა ი. დოლიძის შრომა „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“, რომელშიც გამოკვლეულია ქართული ადათობრივი სამართლის მთელი რიგი ინსტიტუტები.

1963 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ დაბეჭდა „ქართული სამართლის ძეგლები“ ტ. I, რომელიც შეიცავს ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულს. როგორც ცნობილია, ვახტანგ მეექვსის განკარგულებით შეადგინეს სამართლის წიგნთა კრებული, სადაც მოთავსებული იყო, როგორც ძველი ქართული სამართლის წიგნები (სამართალი კათალიკოზთა, სამართალი მეფის გიორგისა, სამართალი ბექასი და აღბულასი, სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა), აგრეთვე უცხო წარმოშობის ძეგლები — სამართალი მოსესი, სამართალი ბერძნული, და სამართალი სომხური.

მეცნიერის სიცოცხლეში გამოიცა შვიდი სქელტანიანი ტომი, ხოლო მერვე ტომი დაიბეჭდა მისი გარდაცვალების შემდეგ, 1985 წელს. მერვე ტომში შესული არხა-ოქმები ქრონოლოგიურად, 1789 წლიდან აგრძელებს ამ რიგის ადრინდელი მასალების პუბლიკაციას, რომელიც დასტამბულია წინამორბედ შვიდ ტომში. გარდა ამისა მერვე ტომი გამდიდრებულია თემატიკურადაც. იგი შეიცავს კერძო-სამართლებრივ აქტებსაც (ნასყიდობის, გაცვლილობის, ანდერძის, სესხის, ჩუქების, გირავნობის, შეყრილობის, სახლისკაცობის, ამხანაგობის და სხვ.), რომლებსაც სამართლის თუ სოციალური ისტორიის შესწავლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ. „ქართული სამართლის ძეგლები“ მიუხედავად გამოცემაში გაპარული ზოგიერთი ხარვეზისა, დიდმნიშვნელოვანი შენაძენია ქართველი ერისათვის.

ამ ფუნდამენტური შრომების გარდა ი. დოლიძეს ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის სტატია. მკვლევარმა დიდი შრომა გასწია „ვახტანგ VI სამართლის წიგნის“ კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის; რაც დაგვირგვინდა 1981 წელს გამოცემული წიგნით „სამართალი ვახტანგ VI“. წიგნში შეჭამებულია შრომა და მას აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

ი. დოლიძის რედაქტორობით გამოქვეყნდა ნიკო ურბნელის „რჩეული ნაწერები“, აკად. ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა მეექვსე და მეშვიდე ტომები.

ღვაწლმოსილი მეცნიერი კიდევ ბევრს გაკეთებას აპირებდა. სურდა გამოეცა ამჟამად დასრულებული „დასტურლამალის“ კრიტიკულად დადგენი-

ლი ტექსტი, შუა საუკუნეების სამართლის ძეგლების მესამე, მეოთხე და მეხუთე ტომების თარგმანები, ნ. ბარათაშვილის და ეგნატე ნინოშვილის პოლიტიკური შეხედულებები; ვარდა ამისა იგი აპირებდა საქართველოში ბატონყმობის საკითხებზე მუშაობას, რასაც ადასტურებს ის უამრავი ფაქტიური მასალა, რომელიც მას შეგროვილი დარჩა.

მრავალმხრივი იყო მისი საზოგადოებრივი მოვალეობანიც: წლების განმავლობაში იგი იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და სამართლის მეცნიერებათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი და „ქართული სამართლის ძეგლების“ სერიის რედაქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიის წევრი, ჟურნალ „მაცნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის სარედაქციო კოლეგიის წევრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი საბჭოს მდივანი, იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს ი. დოლიძის ღვაწლი. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მედლებით.

ისიღორე დოლიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მომავალი თაობების გულში.

კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომებზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო ნამუშევრების გამოსავლინებლად 1986 წლისათვის აცხადებს კონკურსს.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ორი მედალი და ფულადი პრემია, თითოეული 200 მანეთის ოდენობით, რომელსაც ყოველწლიურად დეკემბერში ანიჭებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ახალგაზრდა მეცნიერებს საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის.

მედლები და პრემიები მიენიჭებათ ცალკეულ მეცნიერებს საუკეთესო მეცნიერული ნამუშევრებისათვის (მეცნიერულ ნაშრომთა სერიისათვის ერთიანი თემატიკის მიხედვით), აღმოჩენებისათვის, გამოგონებებისათვის.

მედლებისა და პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაიშვებიან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მეცნიერი და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლები, მასწავლებლები, სტაჟიორ-მკვლევარები, ასპირანტები, რომელთა ასაკიც არ აღემატება 33 წელს.

კანდიდატების წამოყენების უფლება აქვთ:

ა) სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბჭოებს;

ბ) სამინისტროებს, უწყებებს;

გ) სამრეწველო საწარმოთა და საკონსტრუქტორო ბიუროების ტექნიკურ საბჭოებს.

ორგანიზაციები, რომელნიც წამოაყენებენ კანდიდატებს, ვალდებული არიან არა უგვიანეს ოქტომბრისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სათანადო განყოფილებაში წარწერით „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მედლის პრემიითურთ მოსაპოვებლად“ წარმოადგინონ:

ა) მოტივირებული წარდგენა, რომელიც შეიცავს ნამუშევრის მეცნიერულ დახასიათებას;

ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნამუშევრის (ნაშრომთა სერიის), აღმოჩენის ან გამოგონების მასალები 3 ეგზემპლარად;

გ) ცნობები ავტორის შესახებ (ძირითადი სამეცნიერო ნაშრომების, აღმოჩენების, გამოგონებების სია, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, დაბადების წელი, ბინის მისამართი).

ცნობები ტელეფონით: 93—29—86, 93—88—89.

610/103

ფასი 85 კპ.

ინდექსი

76196
საქართველოს
საბჭოთავო
ბიბლიოთეკა

